პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კავოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—96
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— პრაღაში გაიხსნა საბჭოთა განათლების გამოფენა.
— ვარშავაში ჩავიდა ლიტვის დელეგაცია პოლონეთ-ლიტვის კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.
— ამანულა-ხანი ჩავიდა სტამბოლში.
— აფეთქება ჰამბურგის ქიმიურ ფაბრიკაში.
— 19 მაისს მოსკოვში დაკრძალეს ვილიამ ხეივუდის ნეშტი.
— 21 მაისს დაიწყო ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟი

სამშაბათი, 22 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 116 (2159)

საქართველოს კომპარტიის (ბ) მესამე მოწვევის ცეკას მესამე პლენუმი

შესდგება ა. წ. 5 ივნისს

სახ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ღოღობერიძე

წინასწარი შედეგები

საბოლოო ცნობები გერმანიის რეიხსტაგის არჩევნების შედეგების შესახებ არ არის მიღებული, მაგრამ ის წინასწარი ციფრები, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ, საკმარისია საერთო დასკვნების გასაკეთებლად, მით უფრო, რომ დამატებითი ცნობებს, როგორიც არ უნდა იყვენ ისინი, არ შეუძლიათ უკვე გამორკვეულ მდგომარეობის მნიშვნელოვნად და არსებითად შეცვლა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტებმა საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს; მათ წინასწარი ცნობების თანახმად, მიიღეს 54 მანდატი, მაშინ, როცა 1924 წ. დეკემბრის არჩევნებში გაიყვანეს 45 დეპუტატი. ეს წარმატება უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ პირობებს, რომლებშიც კომუნისტებს მოუხდათ საარჩევნო კამპანიის წარმოება.

მთელი სახელმწიფო მანქანა მათ წინააღმდეგ იყო ამოძრავებული. მასიური დაპატიმრება, სამოსამართლო პროცესები, დარბევა-აწიოკება პოლიციის, ფაშისტების და სოციალ-დემოკრატიის რაზმების მხრით — ასეთი იყო ჩვენი გერმანელ ამხანაგების ხვედრი. ამავე დროს ფართო ადგილი ეჭირა მუშების დაშინებას მწარმოებელთა მხრით, რომ მათ სამუშაოდან დაითხოვენ, თუ კომუნისტებს მისცემდენ ხმას. მთელმა ბურჟუაზიულმა და მენშევიკურმა პრესამ საშინელი ცილისწამების კორიანტელი დააყენა კომუნისტების წინააღმდეგ. იხარჯებოდა უამრავი საშუალებები, იცემოდა ურიცხვი გაზეთები, რომ ამომრჩეველთა თვალში სახელი გაეტეხათ კომუნისტებისათვის, როგორც სახელმწიფოს „მოღალატეებისათვის", „ჯაშუშებისათვის" და სხვ. ბურჟუაზიამ და სოციალ დემოკრატიის ზედა-ფენებმა განახორციელეს მთლიანი ფრონტი საერთო მტრის — ერთად-ერთი რევოლიუციონურ პარტიის წინააღმდეგ.

კომპარტიის საარჩევნო კამპანიის შეფერხებაში მცირე როლი არ უთამაშია, აგრეთვე კომუნიზმის რენეგატების დამრღვეველ მუშაობას. კომპარტიიდან გაძევებული ტროცკისტული ოპოზიცია დამოუკიდებლად გამოდიოდა არჩევნებში და თავისი საძაგელი გამოსვლებით კომპარტიის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პირდაპირ რეკორდი აიღო, გადააჭარბა სოციალ-მოღალატეებსაც კი. ამიტომაც იყო, რომ ის უკანასკნელთა მხრით დიდი თანაგრძნობით და მფარველობით სარგებლობდა, ვინაიდან მისი საშუალებით ცდილობდენ ისინი კომპარტიის რიგების შერყევას. მართალია, ეს რენეგატული ჯგუფი თვითონ საბოლოოდ გაიხრწნა, მაგრამ არჩევნების პირველ ხანებში მან რამოდენიმედ მაინც შესძლო თავისი გამცემლური როლის თამაში.

მიუხედავათ ყველა ამისა, კომუნისტებისათვის მიცემულ ხმების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

შედარებით ხმების და მანდატების დიდი რიცხვი მიიღეს მენშევიკებმა. რა თქმა უნდა, ეს აიხსნება არა მათი გავლენის ზრდით მუშათა მასსებში. მათ გადაჭრით აიღეს გეზი წვრილ ბურჟუაზიულ ფენებზე, როგორც ეს შეეფერება მათ ბუნებას: ისინი ხომ დიდი ხანია იქცენ წვრილ ბურჟუაზიის პარტიად. და ეს არა მარტო იდეოლოგიურად,— სოციალ - დემოკრატია თავის რიგებს უკანასკნელ წლეებში ავსებს ხელოსნებით, წვრილ ვაჭრებით, საშუალო მოხელეებით, გლეხობის ნაწილით და სხვ. მენშევიკებმა საარჩევნო კამპანიაც შეუგუეს ამ მეშჩანურ ფენების სულიერ განწყობილებას და მოთხოვნილებებს. ამ მხრივ, სხვათა შორის, დამახასიათებელია ასეთი საარჩევნო ხერხი, როგორც უფასოდ რამოდენიმე ასეული ათას, თავის საარჩევნო ფურცლებში გახვეულ საპნის დაგზავნა დიასახლისებისათვის. ასეთი გზით გამარჯვება პარტიისათვის, რომელსაც თავისი თავი პროლეტარიატის პარტიად მოაქვს, არა გვგონია სახარბიელო იყოს.

სოციალ-დემოკრატია გაიზარდა დანარჩენ ბურჟუაზიულ და მემამულეთა პარტიების ხარჯზე. კერძოდ მეტად შემცირდა ნაციონალისტების ხვედრითი წონა: მათ რეიხსტაგში გაიყვანეს 72 კაცი წინანდელი 111-ის მაგივრად.

აქ უეჭველად უდიდესი როლი ითამაშეს საგარეო პოლიტიკის მოსაზრებებმა. თითქო მოსალოდნელი იყო, რომ არჩევნებში პუანკარეს გამარჯვების საპასუხოდ გერმანიაშიც გაძლიერდებოდენ ნაციონალისტები. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქმე ის არის, რომ პუანკარემ, გერმანიის არჩევნების მოლოდინში,— რომ ნაციონალისტების გამარჯვებისათვის ხელი შეეშალა,— თავი შეიკავა გერმანიისადმი მტრული დამოკიდებულების გამოაშკარავებისაგან. პირიქით, დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, თითქო პუანკარეს სურდეს გერმანიასთან შეთანხმება და მის მიმართ დათმობაზე წასვლა. ასეთ ხმებს გულმოდგინეთ ავრცელებდენ პირველ ყოვლისა გერმანელი სოციალ-დემოკრატები. მათი წარმომადგენელი „ფორვერტს"-ის ერ-ერთი რედაქტორი შიფი საგანგებოდ ეწვია პუანკარეს, რომელთაც საუბარი ჰქონდათ საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ. შიფმა საუბრის შემდეგ მოაქო პუანკარე და განაცხადა, რომ უკანასკნელი გერმანიისადმი მეგობრული გრძნობებითაა გამსჭვალული, ოღონდ საჭიროა ნდობის დამსახურება და ნაციონალისტების გავლენის შესუსტება, რომ შესაძლებელი გახდეს საფრანგეთთან საერთო ენის გამონახვა. ასეთმა აგიტაციამ გასჭრა და სოციალ-დემოკრატები პუანკარეს უნდა უმადლოდენ თავის მანდატების რიცხვის მატებას რეიხსტაგში. თავის თავად ცხადია, რომ პუანკარეს „მეგობრობა" გერმანიისადმი გამოიხატება ამ ქვეყნის დამონების სურვილში, მაგრამ გერმანელი მენშევიკები ამას არ დაგიდევენ, ოღონდ სამინისტრო პორტფელები და თბილი ადგილები ჩაიგდონ ხელთ. ასეთი პორტფელები და ადგილები კი მათთვის უზრუნველყოფილი იქნება. გერმანიაში ალბად შესდგება ე. წ. დიდი კოალიცია სოციალ-დემოკრატების, სახალხო პარტიის, ცენტრის და დემოკრატების მონაწილეობით.

აშკარაა, რომ ეს სრულებით არ ნიშნავს მშრომელთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ცვლილება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ეხლა ბურჟუაზია უფრო მეტად, ვინემ წინედ, სოციალ-დემოკრატიის ხელით გაატარებს მუშ. კლასის ექსპლოატაციას. ამან კი არ შეიძლება უკანასკნელში არ გაზარდოს უკმაყოფილება გამცემლებისადმი. კომპარტია ამ გარემოებას გამოიყენებს პროლეტარულ მასსების შემდგომი რევოლიუციონური დარაზმვისათვის როგორც ბურჟუაზიის, ისე მისი ფაქტიური და ოფიციალური მოკავშირის —მენშევიკების წინააღმდეგ.

გერმანიის რეიხსტაგის არჩევნები

წინასწარი ცნობებით კომუნისტებმა მიიღეს 51 მანდატი

ახალი შემადგენლობის რეიხსტაგი მოწვეული იქნება ივნისის მეორე ნახევარში

რეიხსტაგის არჩევნები გერმანიაში

არჩევნების წინასწარი შედეგები

ბერლინი, 20 მაისი. გერმანიის რეიხსტაგის არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. 21 მაისს დილის 6 ს. 30 წუთზე გამორკვეული იყო არა საბოლოო შედეგები:

კომუნისტებმა მიიღეს 51 მანდატი, 45 მანდატის მაგივრად 1924 წლის არჩევნებში, სოციალ-დემოკრატებმა—150 მანდატი 131-ის მაგივრად, ნაციონალისტებმა 72 მანდატი 111-ის მაგივრად, ცენტრის პარტიამ 60 მანდატი 69-ის ნაცვლად, სახალხო პარტიამ 52 მანდატი 51-ის მაგივრად, დემოკრატებმა 25 მანდატი 32 მაგივრად, ბავარიის სახალხო პარტიამ 16 მანდატი 19-ის მაგივრად, სამეურნეო პარტიამ 23 მანდატი 11-ის ნაცვლად, ნაციონალ-სოციალისტებმა —13. ამგვარად, სულ დაჭერილია 642 ადგილი. წინანდელ რეიხსტაგში იყო 493 დეპუტატი. (ადს)

კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში

ბერლინი. 20 მაისი. რეიხსტაგის უკვე ამორჩეულ დეპუტატთა შორის არის გერმანიის კომპარტიის ყველა ცნობილი ლიდერი, მათ შორის **ტელმანი, კლარა ცეტკინი, პიკი, შტეკერი** და სხვ. **კომპარტიამ ახლა გაცილებით მეტი ხმები მოაგროვა, ვიდრე 1924 წლის დეკემბრის არჩევნების დროს. მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით იგი მეხუთე ადგილის ნაცვლად მეოთხე ადგილს იჭერს.**

ძალიან იმატა სოციალ-დემოკრატების ხმების რაოდენობამ წვრილ-ბურჟუაზიული ამომრჩევლების ხარჯზე, რომლებმაც წინათ ნაციონალისტებს მისცეს ხმა. (ადს)

კომპარტიის დიდი გამარჯვება

ბერლინი, 20 მაისი. საღამოს 9 საათისათვის მიღებულია არჩევნების მხოლოდ ნაწილობრივ შედეგები ბერლინის საარჩევნო რაიონის ზოგიერთ უბნებიდან და პროვინციიდან. მიღებული ცნობები გვიჩვენებს, **რომ ძალიან გაიზარდა კომპარტიის სიებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა;** მოიმატა აგრეთვე სოციალ-დემოკრატების მიერ შეგროვილი ხმების რაოდენობამ. **ხმები დაჰკარგეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა, განსაკუთრებით ნაციონალისტებმა. პირველი შედეგებიდან სჩანს, რომ კომპარტიის მიერ ბერლინში მიღებული ხმების რაოდენობა აღემატება არა მარტო იმ ხმების რაოდენობას, რომლებიც კომპარტიამ ბერლინის რაიონში მიიღო რეიხსტაგის უკანასკნელი არჩევნების დროს 1924 წლის დეკემბერში, არამედ იმ ხმების რეკორდულ ციფრებსაც, რომლებიც კომპარტიამ მიიღო 1924 წლის მაისის არჩევნების დროს.** (ადს)

მოსალოდნელია მარქსის გადადგომა

ბერლინი, 20 მაისი. გაზეთების აზრით, ორშაბათს, როცა საბოლოოდ გამოირკვევა არჩევნების შედეგები, მარქსის მთავრობა გადადგება. კონსტიტუციის თანახმად, ახალი შემადგენლობის რეიხსტაგი მოწვეულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ივნისის მეორე ნახევრისა

არჩევნების დღე მშვიდობიანად ჩატარდა

ბერლინი, 20 მაისი. არჩევნების დღე ბერლინში მშვიდობიანად ჩატარდა. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ამომრჩეველთა პროცენტი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ არჩევნებში, ძალიან დიდია და აღწევს 85 პროცენტამდე (ადს).

ცნობები ღამის 12 საათისათვის

ბერლინი, 20 მაისი. ღამის 12 საათისათვის ცალკე რაიონებიდან და ქალაქებიდან მიღებულ იქნა შემდეგი ნაწილობრივი შედეგები: ლეიპციგის საარჩევნო რაიონში, უკანასკნელი ოფიციალური ცნობებით, მიცემულ იქნა 754.180 ხმა, ე. ი. 30.000 ხმით მეტი, ვიდრე რეიხსტაგის წინანდელ არჩევნებში. **კომპარტიამ მიიღო 121.390 ხმა წინააღმდეგ 90.840 ხმისა წარსულ არჩევნებში.** ლეიპციგის ოლქში სულ არჩეულ იქნა 4 სოციალ-დემოკრატი, 2 კომუნისტი, 1 სახალხო პარტიის კანდიდატი. **აღმოსავლეთ-დიუსელდორფის ოლქში (ქვედა რეინი) კომუნისტებმა მიიღეს 121.794 ხმა, ე. ი. 26.000 ხმით მეტი, ვიდრე წარსულ არჩევნებში.** არჩეულ იქნა 2 კომუნისტი, 2 სოციალ-დემოკრატი, 4 ცენტრის და 1 სახალხო პარტიის კანდიდატი. დრეზდენში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 77 პროცენტმა; **კომუნისტებმა მიიღეს 42.642 ხმა, ე. ი. 19.000 ხმით მეტი, ვიდრე წარსულ არჩევნებში. ჰესენ-დარმშტადტის ოლქში,** არა სრული ცნობებით, **კომუნისტებმა მიიღეს 50.000 ხმა, ე. ი. 33.642 ხმით მეტი, ვიდრე წარსულ არჩევნებში.** (ადს)

ფაშისტების პროვოკაცია

ბერლინი, 20 მაისი. უკანასკნელ საარჩევნო გამოსვლებთან დაკავშირებით, შაბათს, ღამით ბერლინში მოხდა რამოდენიმე შეტაკება, რომელიც გამოწვეული იყო ფაშისტური ორგანიზაციების და რესპუბლიკანურ დროშის სოც.-დემოკრატიულ კავშირის რაზმების პროვოკაციული მოქმედებით. ბევრ ადგილებში პოლიციამ კომუნისტების დემონსტრაციები გარეკა რეზინის ჯოხებით და რამდენიმეჯერ ესროლა კიდეც დემონსტრანტებს ცარიელი ვაზნებით. კვირას ღამით ფოლადის მუზარადის ორგანიზაციის წევრები, რომლებიც ქალაქში დადიოდენ საბარგო ავტომობილებით, ესროდენ მუშა-კომუნისტებს საარჩევნო პლაკატების ქუჩაში გაკვრის დროს (ადს)).

დაწვრილებითი ცნობები ჰამბურგში მომხდარ შეტაკების შესახებ

ბერლინი, 20 მაისი. გამოქვეყნებულია დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც შეეხება რესპუბლიკანური დროშის კავშირის რაზმის თავდასხმას კომუნისტებზე ჰამბურგში. ეს [illegible] დროშის კავშირის წევრებმა უმიზეზოდ აუტეხეს სროლა გერმანიის კომპარტიის საპროპაგანდო ავტომობილს. თავდამსხმელებმა მძიმედ დასჭრეს 5 კომუნისტი, მოკლულია რესპუბლიკანური დროშის კავშირის ერთი წევრი. პოლიციამ დააპატიმრა რესპუბლიკანური დროშის კავშირის 8 წევრი. დაპატიმრებულებს ჩამოართვეს რევოლვერები და ტყვიები. კომუნისტებზე თავდასხმამ დიდათ აღელვა მოსახლეობა (ადს).

კომუნისტები იბრძვიან არა მანდატებისათვის, არამედ მშრომელთა ინტერესებისათვის

ბერლინი, 20 მაისი. გერმანიის კომპარტიამ „სპორტის სასახლეში" მოაწყო საარჩევნო მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტელმანმა.

„კომუნისტები იბრძვიან,—სთქვა ამხ. ტელმანმა,—არა მანდატებისათვის, არამედ მშრომელთა მასების უფლებებისა და ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირის დაცვისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის და აგრეთვე სოც.-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ხოტბას ასხამს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ჩვენ ვაწარმოებთ საარჩევნო ბრძოლას, რათა მოუწოდოთ გერმანიის მუშათა მასებს პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, როგორც ეხლა ვახდენთ მასების მობილიზაციას, ისე არჩევნების შემდეგ ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას მუშათა კლასის გამარჯვებისათვის".

მიტინგმა ამხ. ტელმანს მქუხარე ოვაცია გაუმართა (ადს).

საბჭოთა კავშირი, ჩეხო-სლოვაკია და უნგრეთი

ვენა, 20 მაისი. უნგრეთის პრესამ გააფთრებული კამპანია გაჩაღა საბჭოთა კავშირსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის გამართული სავაჭრო მოლაპარაკების წინააღმდეგ. პრესის თავდასხმა გამოწვეულია შიშით, რომ ეს მოლაპარაკება დამთავრდება არა მარტო სავაჭრო ხელშეკრულების დადებით, არამედ ჩეხო-სლოვაკიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობით. (ადს)

ამანულა-ხანი სტამბოლში

ანგორა, 20 მაისი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სტამბოლში ჩავიდა ავღანისტანის ფადიშაჰი, რომელმაც მიიღო პრესის წარმომადგენლები. მიმართა რა მათ სიტყვით თურქულ ენაზე, ფადიშაჰმა განაცხადა, რომ მოხარულია, რომ იმყოფება თურქებს შორის, რომლებიც მისთვის ყველა ერებზე უფრო ძვირფასია. ბოსფორში შესვლისას ფადიშაჰს შეეგება თურქეთის კრეისერები „გამიდიე" და „მეჯიდიე" და ნაღმოსნები.

საღამოს 19 მაისს ამანულა-ხანი სტამბოლიდან სპეციალური მატარებლით გაემგზავრა ანგორაში. (ადს)

ბრძოლა ჩინეთში

პეკინის მთავრობის განცხადება

პეკინი, 20 მაისი. პრესა აქვეყნებს პრემიერ პან-ფუს განცხადებას პეკინის მთავრობის სახელით. პან-ფუმ განაცხადა:

„სამწუხაროა, რომ სამხრეთელებმა, რომლებიც იმყოფებიან ფინ-იუ-სიანის გავლენის ქვეშ, უყურადღებოთ დასტოვეს ჩან-ძო-ლინის მოწოდება ზავის ჩამოგდების შესახებ. როგორც სჩანს ფინ-იუ-სიანს სურს განაგრძოს სამოქალაქო ომი. ვინაიდან მშვიდობიანობის დამყარების ცდამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, სამხედრო ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ დამსჯელი ექსპედიცია ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ. ამ ექსპედიციით უნდა დამთავრდეს კომუნისტების გასანადგურებლათ დაწყებულია კამპანია, ვინაიდან ფინ-იუ-სიანს ჯერ კიდევ აქვს კავშირი კომუნისტებთან.

შემდეგ პრემიერი იმედს გამოსთქვამს, რომ ჩან-ძო-ლინი მიაღწევს შეთანხმებას იმათთან, ვინც „ხალხს პარტიაზე მაღლა აყენებს". (ადს)

მუკდენელების კონტრ შეტევა

პეკინი, 20 მაისი. მუკდენელებს გადაწყვეტილი აქვთ გადავიდნენ კონტრ შეტევაზე. ამასთან დაკავშირებით მუკდენელებმა ვანგაუს რაიონში იერიში მიიტანეს შანსის ჯარების წინააღმდეგ.

სუნ-ჩუან-ფანი დანიშნულია მუკდენის ჯარების მთავარ სარდლათ ტიანძინ - პუკოუს რკ. გზის ხაზის ფრონტზე (ადს).

იაპონიის „მოსაზრებანი"

პეკინი, 20 მაისი. ნიპონ დემპოს დეპეშათა სააგენტოს ცნობით, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა ჩინეთში მოქმედების დროს იხელმძღვანელოს შემდეგი მოსაზრებებით: პეკინ — ტიანძინის რაიონის დამცველ ჯარების მიზანი უნდა იქნეს იაპონელი მოქალაქეების და მათი ოჯახის წევრების და ქონების დაცვა და ამავე დროს მშვიდობიანი მიმოსვლის უზრუნველყოფა პეკინსა და ტიანძინს შორის; სამხრეთელების და ჩრდილოეთელების სამხედრო ნაწილები განიარაღებულ უნდა იქნენ, თუ ისინი [illegible] უცხოეთის კონცესიებს; არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეიქმნეს ჩან-ძო-ლინის მშვიდობიანი უკან დახევისათვის მანჯურიაში; ხოლო, თუ მისი ჯარები შეებრძოლებიან სამხრეთელებს და დამარცხების შემდეგ შეეცდებიან დაბრუნდენ მანჯურიაში, მაშინ ისინი განიარაღებულ უნდა იქნენ ჩაგილის და მანჯურიის საზღვარზე; **სამხრეთის ჯარებს არ უნდა მიეცეს მანჯურიის ტერიტორიაზე გადასვლის ნებართვა.**

იაპონიის აეროდრომი პეკინში

პეკინი, 20 მაისი. ტიანძინის გაზეთი „ი-ში-ბაო" იუწყება, რომ იაპონიამ გადასწყვიტა ააგოს პეკინში აეროდრომი. (ადს)

შეერთებულ შტატების პოზიცია

ვაშინგტონი, 20 მაისი. კელოგმა განაცხადა, რომ ინგლისს და იაპონიას არ მიუმართავთ შეერთებულ შტატებისათვის წინადადებით პეკინ - ტიანძინის რკ. გზის დაცვაში მონაწილეობის მიღების შესახებ. შეერთებული შტატები არავითარი ზომების მიღებას არ აპირებენ ამ მიმართულებით. (ადს)

კომუნისტების დასჯა სიკვდილით

ნიუ-იორკი, 20 მაისი. „ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, ჩინეთის ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა 13 „კომუნისტი - აგიტატორი", რომლებიც დაიჭირეს სვატოუს მიდამოებში. (ადს)

ამერიკის ჯარები პეკინში და ტიანძინში

ვაშინგტონი, 20 მაისი. კელოგმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ის საჭიროდ სთვლის სახელმწიფოების შეთანხმებულ მოქმედებას ტიანშინში და პეკინში უცხოეთის უბნების დასაცავად, მაგრამ შეერთებულ შტატების მთავრობა არ აპირებს ამერიკის ჯარების დაბანაკებას პეკინ-ტიანძინის რკინისგზის გასწვრივ.

„ამერიკის ჯარები—განაცხადა კელოგმა—წინანდებურათ პეკინში და ტიანძინში რჩება". (ადს).

იაპონიის ზრახვები

ვაშინგტონი, 20 მაისი. შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა უარი განაცხადა იმაზე, რომ ოფიციალურად გამოეთქვა აზრი იაპონიის მიერ მანჯურიის საკითხზე ჩინეთისათვის გაგზავნილ ულტიმატუმის შესახებ. შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობას არავითარი მოლაპარაკება არ უწარმოებია შეერთებულ შტატების მთავრობასთან თავისი მოქმედების შესახებ მანჯურიის საკითხში. წარმომადგენელის სიტყვით შეერთებულ შტატებს არ უცვნია იაპონიის არავითარი სპეციალური ინტერესები მანჯურიაში, გარდა იჯარით აღებულ ტერიტორიისა და სამხრეთ მანჯურიის რკ. გზისა. კითხვაზე — არღვევს, თუ არა იაპონიის ულტიმატუმი ღია კარების პრინციპს და 9 სახელმწიფოს შორის ვაშინგტონში დადებულ ხელშეკრულებას, გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მთელი რიგი მუხლები უზრუნველყოფენ ჩინეთის დამოუკიდებლობას და უცხო სახელმწიფოების ჩაურევლობას მის შინაურ საქმეებში.

სახელმწიფო დეპარტამენტის წრეებში ერთგვარი შიშს გამოსთქვამენ იაპონიის გეგმების გამო მანჯურიაში. ამერიკის პრესა, კომენტარიებს უკეთებს რა ჩინეთიდან მიღებულ ცნობებს, აღნიშნავს, რომ **იაპონია აპირებს პროტექტორატის დაწესებას მანჯურიაზე.**

წითლების მოქმედება

შანხაი, 20 მაისი. გაზეთ „ნანკინ-ტაიმს"-ის ცნობით, აჯანყებულთა რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტი ჩენ-ვენი, დაიკავა სამაზრო ქალაქი ლენზი (ანხუეს პროვინცია). **აჯანყებულებმა სიკვდილით დასაჯეს მილიციის უფროსი და გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური პატიმრები. ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლება გაიქცა. აჯანყებულთა რაზმები კომუნისტების ხელმძღვანელობით განაგრძობენ მოქმედებას ციუნშანის მაზრაში** (გუანდუნის პროვინცია). **აქ აჯანყებულებმა დაიკავეს [illegible] შან. ხაი ფუნის მაზრაში გრძელდება გააფთრებული ბრძოლა მთავრობის ჯარებსა და რევოლიუციონურ არმიას შორის. რევოლიუციონურ ჯარებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, დაიკავეს ნავთსადგური ხვაბიუ, გუანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ** სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგის ძალების სიმრავლის გამო იძულებული გახდენ დაეხიათ ტანგანუსაკენ. (ადს).

რკინის გზის მუშების დასჯა სიკვდილით

შანხაი, 20 მაისი. გაზეთი „სინ-ვენ-ბაო" აქვეყნებს ცნობას რკ. გზის მუშების დასჯის შესახებ სიკვდილით ტანშანში (პეკინ-მუკდენის რკ. გზაზე). მუშები სიკვდილით დასაჯეს იმიტომ, რომ მათ უარი სთქვეს რკ. გზის მოძრავი შემადგენლობის გადაგზავნაზე მუკდენში. (ადს).

ყუმბარების დაშენა ტაიანისათვის

შანხაი, 20 მაისი. იაპონიის სამხედრო აეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქ ტაიანს, 50 კილომეტრის მანძილზე ცზინანის სამხრეთით, ტიანძინ-პუკოუს რკინის გზის მახლობლათ.

ჩან-ძო-ლინი უკანასკნელ ძალღონეს იკრებს

პეკინი, 20 მაისი. იაპონელების ორგანოს (პეკინში) „ნორტ ჩაინა სტანდარტ"-ის ცნობით, ჩან-ძო-ლინმა დაადასტურა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება დარჩეს პეკინში.

„მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი,—განაცხადა ჩან-ძო-ლინმა,—მთელი ჩემი ძალ-ღონე და ყველა საშუალებები მოვიხმარო მომავალ ბრძოლაში. მე არ მივაქცევ ყურადღებას ჩემს მდგომარეობას მანჯურიაში, რადგან საჭიროდ მიმაჩნია ბოლომდე მივიყვანო ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ".

იაპონიის მემორანდუმი

ტოკიო, 20 მაისი. იაპონიის პრესა გაცხოველებით იხილავს იაპონიის მთავრობის მემორანდუმს, რომელიც გადაეცა პეკინის მთავრობას, ჩან-კაი-შის, ფინ-იუ-სიანს და ენ-სი-შანს.

გაზეთი „ნიცი ნიცი", კომენტარიებს უკეთებს რა მემორანდუმს, გამოსთქვამს შიშს, რომ თუ სახელმწიფოები არ დაეთანხმენ იაპონიის წინადადებას უცხოელთა კონცესიების გარშემო ათმილიონიანი ზონის დაწესების შესახებ, მარტო იაპონიას დაეკისრება პასუხისმგებლობა ჩინეთის ამბებისათვის.

გაზეთი „ასახი" საჭიროთ სთვლის რა მშვიდობიანობის შენარჩუნებას მანჯურიაში, გამოსთქვამს შიშს, რომ ამ მშვიდობიანობის შენარჩუნების შედეგათ შეიძლება დახმარება გაეწიოს ჩან-ძო-ლინს. (ადს).

4.000 მოკლული ჩინელი

პეკინი, 20 მაისი. იაპონიის გენერალურ კონსულის ((ცინდაოში) ფუ-ცზიტას მოხსენება ცზინანის ამბების შესახებ აღნიშნავს, რომ **ცზინანში მოკლულ ჩინელ ჯარისკაცების რიცხვი აღწევს 4.000-მდე.** (ადს).

მუშათა პროტესტი

ნიუ-იორკი, 20 მაისი, ასოშიეიტედ პრესის ცნობით, კანტონში ჩინელმა მტვირთავებმა და ნავთსადგურის მუშებმა იაპონიის ჯარების ძალადობის წინააღმდეგ ნიშნად უარი სთქვეს იაპონიის გემების განტვირთვაზე. (ადს).

ინგლისის პასუხი კელოგის ნოტაზე

ლონდონი, 20 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თავის პასუხში კელოგის ნოტაზე ომის აკრძალვის შესახებ ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ მისი აზრით, ამერიკის და საფრანგეთის პროექტებს შორის არ არის სერიოზული განსხვავება. ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ ამერიკის იმ წინადადებებსა და იმ ვალდებულებებს შორის, რომელიც ინგლისმა აიღო თავის თავზე ლოკარნოს ხელშეკრულების და ერთა ლიგის წესდების თანახმად, არ არსებობს არავითარი ანტაგონიზმი, თუმცა ლოკარნოს ხელშეკრულება და ერთა ლიგის წესდება რამოდენიმეთ უფრო შორს მიდიან, ვინემ ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის, უარყოფა, რამდენათაც ისინი ითვალისწინებენ სანქციებს ვალდებულებათა დარღვევისათვის. ამიტომ ინგლისის მთავრობა საჭიროდ სთვლის, რათა ამერიკის წინადადებაში შეტანილ იქნეს საფრანგეთის პროექტის სათანადო მუხლი.

შემდეგ ინგლისის მთავრობა აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ზოგიერთ **კუთხეების კეთილდღეობას და ხელშეუხლებლობას განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის და ინგლისი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებს რაიმე ჩარევას ამ მხარეთა საქმეებში.** ამ მხარეების დაცვა თავდასხმისაგან ბრიტანეთის იმპერიის თავდაცვის საქმეს წარმოადგენს.

აშკარაა, რომ ინგლისის მთავრობა ამერიკის წინადადებას ღებულობს განსაზღვრული პირობით და რომ ეს მას არ ართმევს მოქმედების თავისუფლებას. (ადს)

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვა

ვილნო, 20 მაისი. მხარეთა კამათი ბელორუსთა გრომადის პროცესზე დამთავრდა. თავმჯდომარემ უკანასკნელი სიტყვა მისცა ბრალდებულებს.

პირველად უკანასკნელ სიტყვას ამბობს ტარაშკევიჩი, რომელიც ბელორუსულ ენაზე ლაპარაკობს. ტარაშკევიჩი დაწვრილებით ახასიათებს ბელორუსთა ეროვნულ მოძრაობის განვითარებას უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში.

„მე უნდა შევეხო ჩემ დამოკიდებულებაზე საბჭოთა კავშირთან,—ამბობს ამხ. ტარაშკევიჩი,— მე უნდა ვაღიარო, რომ 1923 წლამდე მაინც და მაინც არ მწამდა ის ეროვნული სახელმწიფოებრივი ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვს საბჭოთა ბელორუსიაში. მაგრამ პოლონეთის ერთმა დიდი თანამდებობის მოხელემ, რომელიც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა, დაადასტურა, რომ იქ ბელორუსიისა და უკრაინის საკითხები ფართოდაა დასმული და მაშინ დავრწმუნდი, რომ საბჭოთა მთავრობა სწორად სწყვეტს ეროვნულ საკითხს. პოლონეთის მთავრობამ მე არ დამრთო ნება წავსულიყავი აკადემიურ კონფერენციაზე მინსკში, მაგრამ იქ გამოცემული ლიტერატურისა და ჩატარებულ ბელორუსიზაციის მიხედვით მე ვრწმუნდებოდი, რომ იქ ბევრი რამ კეთდება". საბჭოები,—განაგრძობს ტარაშკევიჩი,—ეს სოციალისტური მთავრობის პირველი ნაბიჯია. ამას ადასტურებს ყველა,—საბჭოების მტრებიც კი. რომ არ ყოფილიყო საბჭოები, იქნებოდა „მთლიანი, განუყოფელი რუსეთი".

„ჰრომადის ლიკვიდაცია,—ამბობს დასასრულ ტარაშკევიჩი,—დაიწყო ადმინისტრატიული ძალმომრეობით. დღე ეს ძალმომრეობა დამთავრდება სამართლიანი განაჩენით—გამართლებით. ამას მოითხოვს თქვენგან ბელორუსის ხალხის აღშფოთებული სინდისი".

სასამართლომ შეადგინა უკვე იმ საკითხების სია, რომლებიც უნდა გამოიტანოს განაჩენში. თვითეულ ბრალდებულს უწინარეს ყოვლისა აძლევენ ორ შეკითხვას. პირველი შეკითხვა ასეთია: დამნაშავეა თუ არა ბრალდებული იმაში, რომ მან მიიღო მონაწილეობა ბელორუსიის გრომადაში შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა წესწყობილების დამყარებას, ამ ტერიტორიის პოლონეთისაგან ჩამოცილებას და საბჭოთა რუსეთისათვის შეერთებას! მეორე შეკითხვა: იკისრა თუ არა ბრალდებულმა რაიმე ვალდებულება მეზობელ სახელმწიფოს მიმართ?

განაჩენი გამოტანილი იქნება 22 მაისს (ადს).

ბელა კუნის საქმე

უნგრეთის კომპარტიის ცეკას მიმართვა

ვენა, 20 მაისი. ავსტრიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე"-ში გამოქვეყნებულია უნგრეთის კომპარტიის ცეკას მიმართვა საერთაშორისო პროლეტარიატისადმი. ცეკა მოუწოდებს მუშათა კლასს მიიღოს ზომები ბელა კუნის გადასარჩენად. (ადს)

ობერის ლიგა მოითხოვს კუნის გადაცემას

ბერლინი, 20 მაისი. „კომინტერნის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ლიგის" საბჭომ, რომლის თავმჯდომარეა ვოროვსკის მკვლელის კონრადის დამცველი შვეიცარელი ვექილი ობერი, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ბელა კუნის გადაცემას უნგრეთისათვის. (ადს)

საბჭოთა გამოფენა პრაღაში

პრაღა, 20 მაისი. პრაღაში გაიხსნა საბჭოთა სკოლის და საბჭოთა განათლების მოძრავი გამოფენა. კლერიკალური პრესა უკმაყოფილოა გამოფენის გახსნით, აცხადებს რა, რომ ეს არის მოხერხებული საბჭოთა პროპაგანდა.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთები, ეხებიან რა გამოფენას, აღნიშნავენ საბჭოთა განათლების უდიდესე მიღწევებს. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კოოპერატივების დელეგაცია ამხ. ს. ორჯონიკიძესთან

ტრაქტორიზაციის ცენტრის საკითხი

მოსკოვი, 21 მაისი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ორჯონიკიძე ინახულა კოოპერატივების დელეგაციამ, რომელსაც მასთან ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი სოფლის სამეურნეო საკითხების შესახებ.

სოფლის კოლექტივიზაციის ამოცანასთან დაკავშირებით, განაცხადა კოოპერაციის დელეგატებმა, ჩვენს წინაშე ისმება მთელი რიგი რთული საკითხები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის ინდივიდუალურ მეურნეობათა კოლექტიურ საფუძველზე გადაყვანის საქმეში სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. საბჭოთა კავშირში უკვე სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა სოფლის მეურნეობის ტრაქტორიზაციისათვის. მართალია ვერ ვიტყვით, რომ მოთხოვნილება ტრაქტორზე დაკმაყოფილებულია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სოფელი უაღრესად დაინტერესებულია გაუმჯობესებულ დიდ მანქანების შეძენით, სოფელმა გაიგო მათი ფასი და წინანდელთან შედარებით სოფლის მეურნეობის ტრაქტორიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

მიუხედავად ამისა, ტრაქტორიზაციის განვითარებას წინ ეღობება მრავალი დაბრკოლებანი. ვერ არის სათანადოთ დაყენებული ტრაქტორის ტეხნიკურ მუშაკთა მომზადების საქმე, არ არის მოწესრიგებული ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების დამზადება—მიწოდება, ბევრგან ტრაქტორისათვის ვერ შოულობენ სათბობ მასალასაც კი. ამის გამო ხშირად ტრაქტორი უმოქმედოთ დგას, ან მუშაობს არა სრული დატვირთვით. ის ძვირად უჯდება გლეხობას და ვერ ამართლებს იმ იმედებს, რომელთაც თავიდანვე ამყარებდენ ტრაქტორზე.

ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ტრაქტორიზაციის საქმე დღემდე მოკლებულია გეგმიან ხელმძღვანელობას. თვითეული რაიონი თავისებურად იყენებს ტრაქტორს, არ არის მოწესრიგებული არა თუ მანქანის გამოყენების, არამედ მისი შეძენის საქმეც. ჩვენგან ვერ ერკვევიან იმაში, როგორი და რა სისტემის მანქანაა საჭირო ამა თუ იმ რაიონში.

ყოველივე ამის გამო კოოპერაციის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია დაარსებულ იქნას ტრაქტორიზაციის ცენტრი, რომელიც თავის-თავზე აიღებს სოფლის ტრაქტორებით მომარაგებას და უკვე არსებულ ტრაქტორების რაციონალურ ექსპლოატაციის საქმეს.

ამხ. ს. ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ აუცილებელია დაისვას საკითხი სოფლის ტრაქტორიზაციის დაჩქარების შესახებ. ამასთან ერთად ამხ. ორჯონიკიძე შეჰპირდა კოოპერაციის მუშაკთა დელეგაციას, რომ ის საკავშირო მთავრობას მოახსენებს მათ მოსაზრებებს.

აკადემიკოს მარის მოღვაწეობის 40 წლის თავი

მოსკოვი, 21 მაისი. დღეს მოსკოვი ზეიმს უმართავს აკადემიკოს ნიკოლოზ მარს მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლის შესრულების გამო. მოსკოვის პრესაში მოთავსებულია მეცნიერების ცნობილ მუშაკთა წერილები.

ამხ. მ. პოკროვსკიმ ჟურნალისტებთან საუბარში ნიკოლოზ მარის იუბილეს გამო განაცხადა, რომ ნ. მარმა შექმნა ენის მარქსისტული თეორია.

თვით ნიკოლოზ მარი, როდესაც მან გაიგო, რომ მოსკოვი უმართავს მას საიუბილეო ზეიმს, გაემგზავრა ლენინგრადში.

ბამბის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლა

მოსკოვი, 21 მაისი. აქ შესდგა მებამბეობის კომიტეტის, დაინტერესებულ სახალხო კომისარიატების და ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც იქონია მსჯელობა ბამბის ნათესების მავნებელთაგან უზრუნველყოფის შესახებ.

თათბირზე აღინიშნა, რომ დღემდე ბამბის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მხრივ ჩვენ კიდევ არა გვაქვს სათანადო მიღწევები. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ბამბის ნათესების მავნებლებისაგან დაცვის საქმე.

თათბირმა გადასწყვიტა დაარსოს ორი საცდელი სადგური ბამბის მავნებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად. აქედან ერთი სადგური აგებული იქნება ამიერ-კავკასიაში, ხოლო მეორე შუა აზიაში.

ისლამოვის ქალის თვით მკვლელობის საქმე

მოსკოვი, 21 მაისი. მიუხედავათ იმისა, რომ წინასწარი ვარაუდით პროცესი ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის შესახებ უნდა დასრულებულიყო ოთხ დღეში, ის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

სასამართლოს წინაშე გაიარა მრავალ მოწმეებმა, მოთხოვნილ იქნა დამატებით სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტები, განმეორებით მოხდა ზოგიერთ მოწმის დაკითხვა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ აღმოჩნდა ისეთი პირებიც, რომელთაც იკისრეს ბრალდებულთა დაცვა მოწმეების სახით. ამათ შორის ყურადღებას იპყრობს ნეოკლასიკი კიუნერტი, რომელსაც კარგად იცნობს მოსკოვის ლიტერატურული წრეები. კიუნერტი ბრალდებულთა დასაცავათ იმავე საშუალებას მიმართავს, რასაც თვით ბრალდებული. მას არ ყოფნის გამბედაობა, რომ გაამართლოს ალტშულერ-ანოხინ-ავრუშჩენკოს კამპანია, ამიტომ ცდილობს უარყოფით დაახასიათოს განსვენებული ისლამოვის ქალი. კიუნერტი ამბობს, თითქოს ისლამოვის ქალი ზნეობრივათ დაცემული ადამიანი იყო. ამის დასადასტურებლად ის აცხადებს შემდეგს: „ისლამოვის ქალმა რამდენჯერმე მთხოვა მე მეშოვნა მისთვის პორნოგრაფიული სურათები"-ო. როცა ამის შემდეგ კიუნერტს ეკითხებიან, თუ რით ახსნის ის, რომ ისლამოვის ქალი ვერ შეურიგდა ალტშულერის კამპანიის მიერ მის მიმართ ჩადენილ სისაძაგლეს და თავი მოიკლა, კიუნერტი მჭერმეტყველურად სდუმს.

კიუნერტის შემდეგ გამოდიან სხვა მოწმეებიც, რომელნიც განსვენებულ ისლამოვას ქალს ახასიათებენ, როგორც სპეტაკ ადამიანს, ენერგიულ და ენტუზიასტ ახალგაზრდას. ზოგიერთი მოწმეების სიტყვით კიუნერტს გარდაცვალებულის სახელის შელანძღვით სურს მეგობრული დახმარება გაუწიოს კულტურულ ჩუბაროვშჩინის გმირებს—ალტშულერს და მის კამპანიას.

სასამართლომ სცნო, რომ საქმე უკვე საკმაოთ გამორკვეულია და თავის 20 მაისის სხდომაზე მოწმეების დაკითხვა დასრულებულათ გამოაცხადა. დაიწყო მხარეების კამათი.

დამცველი რუბინშტეინი წარსდგა სასამართლოს წინაშე გაუგონარი შუამდგომლობით. მან სთხოვა სასამართლოს, რათა სასამართლოს სხდომის ანგარიშები შემოწმებულ იქნას, სანამ ისინი გაზეთებში გაიგზავნება. პრესის წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს სასამართლოს წინაშე დამცველის ამგვარ უტაქტო გამოსვლის გამო. სასამართლომ უარი უთხრა რუბინშტეინს მის შუამდგომლობაზე.

ინგლისის იმპერიალისტების სიტყვა და საქმე

„პრავდა"-ში უკვე მოთავსებული იყო ცნობა, რომ ლორდ კეშენდენმა თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ჩინეთის საკითხის გამო და შეეხო სამხედრო, საოკუპაციო და საინტერვენციო „გართულებას" შორეულ აღმოსავლეთში. თავისი „ფხიზელი მშვიდობიანობის სიყვარულით" სახელგანთქმული მცხოვანი ბრიტანელი არისტოკრატის სიტყვის დედა-აზრი შემდეგით გამოიხატება: 1. ინგლისს შეუძლებლად მიაჩნია ერთა ლიგის ჩარევა ჩინეთის საქმეებში. 2. ნანკინის მთავრობის სამისო თხოვნა ლიგამ უნდა უარჰყოს, ვინაიდან არ არსებობს „სადაო პუნქტი", რომ ლიგას შეეძლოს მშვიდობიანობის აღდგენა ჩინეთში (ნანკინის მთავრობა ერთა ლიგაში არ შედის); ცზინანის ამბები და იაპონია - ჩინეთის კონფლიქტი ერთა ლიგას „არ ეხება".

კეშენდენის ეს დებულებანი არაფერს მოულოდნელს ან გასაოცარს არ შეიცავს. ინგლისის კაპიტალის მსახური გამოხატავს ინგლისის იმპერიალიზმის ნებისყოფასა და „ინტერესებს" შორეულ აღმოსავლეთში. სხვა პირობებში კეშენდენის სიტყვა უნდა მიგვეღო ინგლისის ხალხისათვის მხოლოდ ჩვეულებრივ და საკმაოდ უფერულ „დიპლომატიურ" თვალის ახვევად.

მაგრამ ახლა ლორდ კეშენდენი გაიქცა საერთაშორისო სცენაზე იმ დიდი ფარსის „გმირად", რომელიც მოკლებული არაა სიმწვავესა და პიკანტობას. საქმე იმაშია, რომ ლორდის გამოსვლა ჩინეთის საკითხის გამო მოხდა თითქმის მეორე დღეს იმის შემდეგ, რაც იგი ჟენევაში გამოვიდა. სწორედ ამაშია მოქცეული იუმორისტული ბოროტების მთელი სიმძიმე.

ასე თუ ისე, ჟენევის განიარაღების კონფერენცია საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობით გაიმართა. ასე თუ ისე, ჟენევის დისკუსია განიარაღების შესახებ — ფაქტია, რომელსაც ვერაფრით გააქარწყლებთ. შეერთებულმა იმპერიალისტურმა ბანაკმა სწორედ ლორდ კეშენდენი აიტაცა ხელში, როგორც „ძლევამოსილი" მთავარი მებრძოლი განიარაღების საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ბევრი ოფლი, მხნეობა და ყალბი ცრემლი დახარჯა კეშენდენმა, რომ ძირს გაერთხო „საბჭოთა ცბიერი გველი" ლიტვინოვი, რომ დაემტკიცებია დაუმტკიცებელი თეზისი: მშვიდობიანობის მტერი — საბჭოთა კავშირია, ხოლო მშვიდობიანობის ქომაგი — კეშენდენის ზურგს უკან მდგომი იმპერიალისტური სახელმწიფოების კომპლოტი.

რას ვხედავთ ახლა? ჟენევაში ბუკი და ნაღარა ჩაჩუმდა, ხოლო ჩინეთში იაპონიის ზარბაზნებმა დაიგრიალა. ლორდ კეშენდენის ფართოდ გახმაურებული რეცეპტებით „მშვიდობიანობის ისეთ საუცხოვო ინსტრუმენტს", როგორიც ერთა ლიგაა, თავისი მტკიცე სიტყვით უნდა აეცილებია სისხლის ღვრა. დატანჯულმა კაცობრიობამ თვალი კეშენდენს მიაპყრო.

და სწორედ აქ იწყება სეირი.

ის პაციფისტი ლორდი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ინგლისი სამხედრო თვალსაზრისით „თავით ფეხამდე გაშიშვლებულიაო", რომელსაც სტანჯავდა უგუნური შიში, ვაი თუ ზარბაზნების მოსპობის შემდეგ ადამიანები ერთმანეთს „ჯიბის დანებით" დაერიონო, რომელიც წყევლა - კრულვას უგზავნიდა საბჭოებს იმის გამო, რომ საყოველთაო მშვიდობიანობისა და ნამდვილი განიარაღების დამცველის „ერთა ლიგის მუშაობას საბოტაჟს უწევენო", — აი სწორედ იგივე ლორდი კვერს უკრავს ომს ჩინეთში და ერთა ლიგის „ჩაურეველობას" ამ საქმეში. დიპლომატიური ხრიკები, რასაკვირველია, ვერ დაჰფარავს კეშენდენის, ე. ი. ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციის ნამდვილ აზრს ინგლისის იმპერიალიზმისათვის ხელსაყრელია სამხედრო ძარცვა-რბევა ჩინეთში, ცეცხლის ალი და სისხლის მღვრელი ოპერაციები ჩინეთის ხალხზე, მისთვის ხელსაყრელია იაპონიის ანტიამერიკული მანევრები. ამიტომ, დაე, ერთა ლიგა „მშვიდობიანობის ინსტრუმენტი" იყოს ჩერჩეტებისათვის და სოციალ - დემოკრატებისათვის, მაგრამ იგი ხელს ნუ შეუშლის იმპერიალისტების წადილს შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა ბოროტი ადამიანები კადნიერად „უწევენ საბოტაჟს" ერთა ლიგის კეთილ საქმიანობას. საბჭოთა ბოროტი ადამიანები ძირს უთხრიან იმ „ერთა ლიგის დიად მუშაობას", რომელიც „აგერ უკვე 7 წელიწადია, რაც მშვიდობიანობისა და განიარაღების საქმეს აკეთებს"; ჟენევის ტრიბუნიდან—რადიოს, მოსყიდულ პრესის და საზოგადოებრივი თვალთმაქცობის იერიქონის საშუალებით გაისმოდა კეშენდენის მრისხანე ძახილი.

რამდენიმე კვირის შემდეგ, პირველივე შემოწმების, პირველივე ინციდენტის დროს, რომელშიაც კრიტიკას იარაღმა ადგილი დაუთმო ცეცხლსა და ტყვიას, კეშენდენის მთელი პათოსი ბაყაყის გაბერილ პათოსად, ყშნო დიპლომატიური შულერის მანჭვა - გრეხად გადაიქცა. სინამდვილემ კეშენდენს პირზე მიაფურთხა. იგი იძულებული გახდა ეღიარებია, რომ ინგლისს სწყურია სისხლი, რომ შორეული აღმოსავლეთის ომი მის სურვილს შეეფერება, რომ „ერთა ლიგის მშვიდობიანი მუშაობის საბოტაჟს" თვით ერთა ლიგა ეწევა, რომელმაც, თურმე, „ხელი არ უნდა შეუშალოს" ჩინეთში ატეხილ ომს.

საბჭოთა დელეგაციის თეზისებს და იმპერიალისტების „კონტრ - თეზისებს" ჟენევის კონფერენციაზე მკაცრ გამოცდას აძლევს შანდუნის ამბები. ჩვენს მხილებას კეშენდენისა და კომპანიის მიმართ ბრწყინვალედ, ემპირიულად ადასტურებს სინამდვილე. ჩვენი სიმართლისა და იმპერიალისტების სიყალბის რეგისტრაციას საკუთარი ხელით აწარმოებს თვით ლორდი კეშენდენი, რაც უფრო მეტად, რაც უფრო კადნიერად და თავხედად ინავარდებს იმპერიალისტების მახვილი დაჯანჯღული ხალხების ზურგზე, რაც უფრო ხშირად გადაიქცევა იმპერიალისტების „შაქარი" გასისხლიანებულ ძირმწარად. მით უფრო ნათელი და გასაგები იქნება ბოლშევიკური სიმართლე მთელი მსოფლიოს უფართოესი მილიონიანი მასსებისათვის. მით უფრო გუმბერაზული და გამანადგურებელი იქნება რევოლიუციონური მასების წინააღმდეგობა მილიტარისტული ბარბაროსობისა და იმპერიალისტური რეჟიმის მიმართ.

„პრავდა", 20 მაისი.

უკანასკნელი ცნობები

არჩევნები გერმანიაში

ბერლინი, 21 მაისი. წინასწარი ოფიციალური გამოანგარიშებით, რეიხსტაგის არჩევნებში სულ მიცემულ იქნა 30.592.000 ხმა. ხმები განაწილებულია შემდეგნაირად—(ფრჩხილებში მოყვანილია არჩევნების შედეგები 1924 წლის დეკემბერში): კომუნისტებმა მიიღეს 3233000 (2679000) ხმა, 54 მანდატი, 45 მანდატის მაგიერად; სოციალ-დემოკრატებმა—9.111.000 (7.788.000), 152 მანდატი, 131-ის მაგიერად; ხალ. პარტიამ—2670000 (3017000), 44 25 მანდატი, 32-ის მაგიერად; ცენტრმა—3.705.000 (4.061.000), 62 მანდატი 69-ის მაგიერად; ხალხთა პარტიამ — 2670000 (4.061.000), 62 მანდატი 69-ის მაგიერად; ხალხთა პარტიამ—26700000 (3.017.000), 44 მანდატი, 19-ის მაგიერად; სამეურნეო პარტიამ 1.391.000 (1025000), 23 მანდატი 17-ის მაგიერად; ნაციონალ-სოციალისტებმა—გიტლერის მიმდევრებმა—807.000 (906.000) 12 მანდატი 14-ის მაგიერად.

დანარჩენმა ჯგუფებმა ხმა მიიღეს შედარებით მცირე რაოდენობით. ულტრა მემარცხენე კომუნისტებმა მიიღეს 80000 ხმა, არც ერთი მანდატი არ მიუღიათ (ადს).

არჩევნები პრუსიის ლანდტაგში

ბერლინი, 21 მაისი. წინასწარი გამოანგარიშებით, პრუსიის ლანდტაგის არჩევნების შედეგები ასეთია: 22 საარჩევნო ოლქში მიცემულია 16.142.827 ხმა. მანდატები განაწილებულია ამგვარად: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 114 მანდატი, წინად ჰქონდათ—114; ნაციონალისტებმა—67, ჰქონდათ—109; ცენტრის პარტიამ—59, წინად ჰქონდათ—81, კომუნისტებმა—50, წინად ჰქონდათ—44, ხალხთა პარტიამ 37, წინად ჰქონდათ—45; დემოკრატებმა—19, წინად ჰქონდათ—27, სამეურნეო პარტიამ—19, წინად—17; ნაციონალისტებმა—10, წინად ჰქონდათ—11. (ადს).

ჩენ-სიუანის წინადადება

პეკინი, 20 მაისი. ინგლისური გაზეთი „პეკინ ენდ ტიან-ძინ ტაიმსი", რომელიც ტიანძინში გამოდის, იხილავს რა ჩინეთის მდგომარეობას, სწერს:

„საფუძვლით უჭერენ მხარს იაპონელთა წრეების მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ ყველა სახელმწიფოებმა ერთად ურჩიონ ჩინეთში მებრძოლ მხარეებს, რათა აღადგინონ მშვიდობიანობა. ეს რჩევა ადვილად შეიძლება იქნას შესრულებული ჩენ-სი-მანის მიერ წარმოდგენილი კომპრომისის საფუძველზე (ჩენ-სი-მანს აწერენ წინადადებას, რომლის თანახმად პეკინი არ უნდა დაიკავოს ერთი მეორესთან მებრძოლი რომელიმე ჯგუფის ჯარებმა და ხელისუფლება პეკინში უნდა გადაეცეს „მამასახლისთა საბჭოს"; ეს საბჭო უნდა შესდგეს ისეთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეებისაგან, რომლებიც აქტიურ როლს არ თამაშობენ რომელიმე ჯგუფში) (ადს).

სიკვდილით დასჯა პროპაგანდისათვის

პეკინი, 20 მაისი. გაზეთების ცნობით, სამართველო ცინანში იმყოფება იაპონიის სამხედრო სარდლობის ხელში.

იაპონიის ჯარების უფროსმა ფუკუდამ ჩინეთში გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ სიკვდილით დაისჯებიან ის პირნი, რომლებიც პროპაგანდას გასწევენ იაპონიის წინააღმდეგ (ადს).

ჩან კაი-ში ჩრდილოელებთან ბრძოლის წინააღმდეგია

პეკინი, 20 მაისი. გოვენის ცნობით შანხაიდან, ჩან კაი-ში ემხრობა სამხედრო მოქმედების შეწყვეტას პეკინის მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო ფინ იუი-სიანი მოითხოვს ჩრდილოეთის ექსპედიციის გაგრძელებას (ადს).

მაქსიმ გორკი ბერლინში

ბერლინი, 21 მაისი. ჩამოვიდა მაქსიმ გორკი, რომელიც საბჭოთა კავშირში მიემგზავრება. (ადს).

ალბერ ტომა ფაშისტებს იცავს

პრაგა, 20 მაისი. ერთა ლიგის შრომის საერთაშორისო ბიუროს დირექტორის, ფრანგი სოციალისტის ალბერ ტომას საქციელმა, რომელიც ამას წინათ მუსოლინის ეწვია და შეაქო ფაშისტური პროფმოძრაობის წარმატება, ისე აღაშფოთა ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატი, რომ გერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „სოციალ-დემოკრატიც" კი იძულებულია სასტიკად გაილაშქროს ტომას წინააღმდეგ.

კლერიკალების ცენტრალურმა ორგანომ „ლიდოვე ლისტიმ" მეთაურად დაბეჭდა ალბერ ტომას ხოტბა-წერილი კლერიკალური პროფორგანიზაციების თავმჯდომარის მიმართ.

გაზეთი კომენტარებს უკეთებს ამ წერილს და დასძენს:

„სოციალისტი ტომას ეს წერილი უკუაგდებს სოციალისტების ყველა იერიშს კლერიკალური პროფმოძრაობის წინააღმდეგ და ადასტურებს სოციალური მუშაობის სისწორეს ქრისტეს მოძღვრების თანახმად". (ადს).

„ავგური" პოლონეთში

ვარშავა, 20 მაისი. უკანასკნელი კვირის განმავლობაში ვარშავაში იმყოფება „ავგური"—პოლიაკოვსკი, ინგლისელი ჟურნალისტი, წარმოშობით რუსი, რომელიც ჩვეულებრივ ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრის შეხედულებებს გამოხატავს; იგი ვარშავაში ჩამოვიდა „ჩიკაგო ტრიბუნის" ევროპული ბიუროს დირექტორ სტილთან ერთად. მათ ბაასი ჰქონდათ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებთან და შემდეგ დანციგში წავიდნენ. ვარშავის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მოგზაურობა „ავგურისა", რომელსაც უკანასკნელ ხანებში მჭიდრო ურთიერთობა აქვს პოლონეთის საზღვარგარეთული პროპაგანდის ხელმძღვანელებთან, დაკავშირებულია პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხთან. ამ წრეებში ფიქრობენ, რომ „ავგურმა" იკისრა წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიის პროპაგანდას პოლონეთის კორიდორის საზღვრების გადათვალიერების საკითხში. (ადს).

პოლონეთ—ლიტვის მოლაპარაკება

ვარშავა, 20 მაისი. ვარშავაში ჩამოვიდა ლიტვის დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს პოლონეთ-ლიტვის კომისიის მუშაობაში ეკონომიური და სატრანზიტო საკითხების გარშემო. (ადს)

ხალუპას მხილება

პრაღა, 20 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამორიცხულმა, ყოფილმა დეპუტატმა ხალუპამ გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიაც ამხელს სოციალ-დემოკრატების ბელადების აფიორას ფულის გარშემო და მექრთამეობას. ხალუპას მხილებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებში. (ადს)

პერსელის დამარცხება

მოსკოვი, 21 მაისი. მოსკოვში მიღებული ცნობებით, ავეჯის დამამზადებელთა კავშირის ტრედიუნიონების სექტემბრის კონგრესისათვის დელეგატების არჩევნების დროს დამარცხდა პერსელი. პერსელის მაგივრად არჩეულ იქნა ტომკინსი—კავშირის ლონდონის ორგანიზატორი, კომპარტიის წევრი.

აფეთქება ქიმიურ ფაბრიკაში

ბერლინი, 20 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: ჰამბურგში შტოლცენბერგის ფირმის ქიმიურ ფაბრიკაში აფეთქდა ფოსგენის რეზერვუარი და შხამიანი გაზი. მეზობელ ქუჩებზე მგზავრები უგრძნობლად დაეცნენ. მოსახლეობა შიშმა შეიპყრო. 3 მოწამლული უკვე გარდაიცვალა. მხოლოდ ერთ მოსპიტალში 32 დაშავებული მიიყვანეს; მათგან ბევრის სიცოცხლე საფრთხეშია. (ადს).

სხვადასხვა

ხეივუდის ხსოვნის პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 20 მაისი. ვილიამ ხეივუდის გარდაცვალების გამო, უორკერს პარტიის (კომპარტია) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს შეერთებულ შტატების მუშებს პატივი სცენ განსვენებულის ხსოვნას.

ბრიტანეთის საქონლის ბოიკოტი ინდოეთში

ქაბული, 20 მაისი. ინდოეთის პრესის ცნობით, ინდოეთში კვლავ ფართოდ ტარდება ბრიტანეთის საქონლის ბოიკოტი. მთელ რიგ ქალაქებში მასიურ მიტინგებზე ეწყობა ინგლისის საქონლის და მთელი უცხოეთის მანუფაქტურის ბოიკოტის ლიგები. პროპაგანდის საწარმოებლად ბომბეიში არჩეულია სპეციალური კომიტეტი. ბენგალის პროვინციაში სვარაჯისტების პარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია ბოიკოტის სასარგებლოთ. (ადს).

საბჭოთა კავშირში

გორკის მუზეუმი

მოსკოვი, 21 მაისი. ამ დღეებში მოსკოვში იხსნება გორკის მუზეუმი. მოსკოვში, ლენინგრადში და პროვინციაში მუზეუმისათვის შეკრებილია 3.000 ძვირფასი ექსპონატი. კავშირის მოშორებული კუთხეებიდან მიღებულია მასალები. მათ შორის ზოგიერთები უნიკუმებს წარმოადგენენ. მუზეუმი მოთავსებულია ლენინის ბიბლიოთეკაში სპეციალურად გამოყოფილ ორ დარბაზში (ადს).

დანიშვნა

მოსკოვი, 21 მაისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. პ. ე. მიხაილოვი დანიშნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილედ სპარსეთში.

ამხ. მენჟინსკის შვებულებაში წასვლა

მოსკოვი, 21 მაისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ თვეანახევრის შვებულება მისცა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარეს ამხ. მენჟინსკის.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

დნეპროპეტროვსკი, 21 მაისი. დღეს, სალამოს დაიწყო ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟი. პირველ სხდომაზე გათამაშებულ იქნა 1.000 მოგება. ას-ას მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ სერიის ყველა ნომრებს: 6663, 7871, 17976, 18151, 24380, 37004, 57561, 57941, 67348, 83767, 93378, 104624, 106582, 116797, 122040, 123567, 125423, 147289, 156438, 157776.

7 საათის სამუშაო დღის პირველი შედეგები

(საკავშ. კომპ. (ბ) ცეკას დადგენილება)

მოსკოვი, 21 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო დადგენილება საფეიქრო წარმოებათა ჯგუფის შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის წინასწარ შედეგების შესახებ.

„საფეიქრო წარმოებათა ჯგუფის გადასვლა შვიდი საათის სამუშაო დღეზე,—ნათქვამია დადგენილებაში,—მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ჩატარდა მუშაობის შემჭიდროება და კოლექტიურ ხელშეკრულების ხელახლად დადება, რამაც მთელი რიგი დაბრკოლებანი შექმნა შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების საქმეში. მგრამ მაინც უკვე ეხლავე ნათლად გამოაშკარავდა მთელი რიგი დადებითი შედეგები. მასთან ერთად, ამ წარმოებათა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის დროს გამოირკვა არსებითი ნაკლულოვანებანი. უმთავრესი ნაკლულოვანებანი შემდეგში მდგომარეობს: შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასაყვანი წარმოებანი საკმაოდ არ არიან მომზადებული საორგანიზაციო-ტეხნიკური მხრივ, მეტად სუსტად იქნა ჩატარებული მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ, რასაც ხელს უშლიდა იმას, რომ მუშათა ფართო მასების წინაშე გამოაშკარავებულიყო შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის პოლიტიკური მნიშვნელობა; მუშა-ხელის დაჩქარებით შერჩევის გამო ზოგიერთ ადგილას წარმოებებში ჩაბმულ იქნა ისეთი ჯგუფები, რომლებიც თავისი სოციალური და ქონებრივი მდგომარეობით უცხონი არიან წარმოებისათვის (შეძლებული გლეხები); საფაბრიკო-საქარხნო სკოლების საკმაოდ შეუგუებლობამ მრეწველობის მოთხოვნილებებისადმი გამოიწვია ის, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოწაფეთა უმრავლესობა ნაკლებად მომზადებული გამოდგა საწარმოო მუშაობისათვის; პროფკავშირები საკმაო მონაწილეობას არ ღებულობდა რეფორმის ჩატარებაში: იგი ცუდად აშუქებდა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის პრაქტიკის საკითხებს, ხშირად აფერხებდა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებულ საქმეებს.

ამ ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლად ცეკამ დაადგინა: პარტორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანოებს და პირველ რიგში პროფკავშირების უმთავრეს ამოცანად ცნობილ იქნას მასიური მუშაობის დაყენება წარმოებებში იმგვარად, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლისათვის მოსამზადებელი ღონისძიებანი ჩატარდეს მუშათა მხრივ მაქსიმალური დახმარებით; დაჩქარდეს წარმოებათა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის გეგმის დამუშავება მთავრობის კომისიის მიერ; სამეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასაყვან წარმოებებს თავის დროზე მიეცეს ნედლეული და დამხმარე მასალები; მთავრობის კომისიამ სათანადო ორგანიზაციების დახმარებით დასახოს ღონისძიებანი მუშათა საბინაო საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილებისათვის; მიღებულ იქნას ზომები კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობასთან დაკავშირებით. დაევალოს ცეკას აგიტპროპს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას მიიღოს ზომები, რათა გაუმჯობესებულ იქნას ინფორმაცია შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ და სისწორით იქნას გაშუქებული ნაკლულოვანებანი; წარმოებებში სამუშაო მომუშავე მუშების შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით აუცილებლად იქნას ცნობილი დამატებითი თანხების გადადება შრომის დასაცავად და უშიშროების ტეხნიკისათვის (ადს).

შახტის საქმე

მოსკოვი, 21 მაისი. 21 მაისის დილის სხდომაზე ამხ. ვიშინსკიმ წაიკითხა მელითონეთა კავშირის (ბერლინში) გამგეობის შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს წინაშე, რომ ბრალდებულ მეიერის დასაცავად დაშვებულ იქნას ვექილი მუნტე, რომელიც სასამართლოს სხდომებს ესწრება როგორც გერმანიის ფირმის „ელექტრონის საყოველთაო საზოგადოების" კონსულტანტი. მეიერის დამცველი პროფესორი ვორმსი თხოულობს, რომ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას. სასამართლომ დაადგინა ეს შუამდგომლობა არ იქნას ცნობილი საპატიოდ, ვინაიდან ვორმსის დამცველს, ვექილ მუნტეს მონაწილეობის გარეშე აქვს სრული საშუალება კონსულტაცია განახორციელოს საქმის მცოდნე პირების მოწვევის საშუალებით. შემდეგ ამხ. ვიშინსკი კითხულობს ბრალდებულ სუშჩევსკის განცხადებას, რომელშიაც სუშჩევსკი გამოსთქვამს ეჭვს, რომ თუ საკმაოდ არ იქნება უზრუნველყოფილი დაცვით, ვინაიდან დამცველთა დეინიკემ მასთან პირველად შეხვედრის დროს სუშჩევსკის კითხვაზე, თუ რა ელის მას, უპასუხა:

„ვერ დაგამშვიდებთ: თქვენი აღიარება საკმაოა დახვრეტისათვის. თქვენი ხსნა შეუძლია მხოლოდ იმას, რომ თქვენ ბევრი ხართ—50 კაცს არ დახვრეტავენ, არ დახვრეტავენ 20 კაცსაც კი; დახვრეტავენ რამოდენიმე მეთაურებს და შეიძლება არ მოხვდეთ მათ რიცხვში. სასჯელის ვადაზე ლაპარაკიც კი არ ღირს, მხოლოდ მოხერხდეს დახვრეტის თავიდან აშორება"-ო.

მეორე ბრალდებული კაზარინოვი, რომელსაც აგრეთვე იცავს დეინიკე, თავის განცხადებაში სასამართლოს მიმართ, თხოულობს, რომ მისი დაცვა გადაეცეს სხვა პირს, ვინაიდან დეინიკემ უთხრა მას, „რომ თუ ბრალდებული წავა თავის დანაშაულთა აღიარების გზით, მას დახვრეტავენ"-ო. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა: კაზარინოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას და დეინიკე მისი დამცველობისაგან განთავისუფლებულ იქნას; ამავე დროს განთავისუფლებულ იქნას დეინიკე სუშჩევსკის დაცვისაგანაც. ამასთან ერთად, ვინაიდან კაზარინოვის და სუშჩევსკის განცხადება ისეთივეა, როგორიც იყო მატოვის და ბრატანოვსკის უკვე წინედ განხილული განცხადებანი, და, რადგან კაზარინოვის განცხადებიდან ჩანს, რომ დამცველ დეინიკესა და დამცველ მურავიოვს შორის ალბად არსებობდა შეთანხმება, დაევალოს პროკურატურას მოახდინოს სათანადო გამოძიება ამ საქმეზე. დამცველები შუამდგომლობენ, რომ სუშჩევსკის და კაზარინოვის დამცველად დროებით დაინიშნოს ლევენბერგი. სასამართლო აკმაყოფილებს დამცველთა თხოვნას. ამის შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას (ადს).

ბიულეტენი ამხ. ა. ი. რიკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 21 მაისი. 18 მაისს ტემპერატურა 37, 19 მაისს 36. უმნიშვნელო ტკივილები გასინჯვის დროს, დამოუკიდებელი ტკივილები არ აქვს. განწყობილება და საერთო მდგომარეობა კარგია. გართულებებს ადგილი არ ჰქონია. ავადმყოფს ნება დართული აქვს სიარული სახლში და კიბეებზე. ყოველდღიური ბიულეტენების შემდგომი გამოქვეყნება შეწყვეტილია.

პროფესორი **ბურმინი**, ექიმი **ლევინი**, პროფესორი **ლიტრიხი**. 1928 წლ. 19 მაისი.

ვილიამ ხეივუდის დაკრძალვა

მოსკოვი, 21 მაისი. 19 მაისს მოხდა ამერიკის პროფმოძრაობის ცნობილ მოღვაწის ვილიამ ხეივუდის დაკრძალვა. დილიდანვე კუბოსთან განუწყვეტლივ იცვლებოდა საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულში იდგნენ დასავლეთის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტები, კომინტერნის აღმასკომის წევრები ამხ. შმერალი, ენგდალი, რომელი, სენ-კატაიამა, არნოტი, გარდი, პროფინტერნიდან ამხ. ლოზოვსკი და სხვ. ბილდახანთან გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. კომინტერნის აღმასკომის წევრმა ამხ. ენგდალმა დაახასიათა ხეივუდის მნიშვნელობა ამერიკის პროფესიონალურ და სოციალისტურ მოძრაობაში. კომინტერნის სახელით გამოვიდა ამხ. შმერალი. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ პროფინტერნის სახელით ამხ. გარდი, საკავშირო კომპარტიის ცეკასა და მოსკოვის კომიტეტის სახელით ამხ. ციხონი, იაპონიის კომპარტიის და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა სახელით ამხ. სენ-კატაიამა, ინგლისის კომპარტიის სახელით ამხ. არნოტი და ამერიკის პროფკავშირების სახელით ამხ. დანნი.

სამოქალაქო პანაშვიდის, [illegible] შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაემართა კრემატორიუმისაკენ (ადს).

თბილისის საბჭოს სექციებში

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია

გუშინ შედგა თბილისის საბჭოსთან ახლად დაარსებულ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის საორგანიზაციო სხდომა. ჯერ-ჯერობით სექციაში ჩაეწერა საბჭოს 25 წევრი და 18 მიმაგრებული მუშა. პირველი მოხსენება ახალი სექციის ამოცანების შესახებ გააკეთა საორგანიზაციო განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ტუაგლაძემ, რომელმაც სექციის წევრებს დაწვრილებით გააცნო მ. გ. ინსპექციის სექციის დანიშნულება. ახალი სექციის ამოცანებს შეადგენს თბილისის საბჭოს დაწესებულებათა აპარატის გამოკვლევა, შესწავლა და მათი სტრუქტურის შეცვლა მისი გამარტივების მიზნით. ამავე სექციამ სისტემატიური ბრძოლა უნდა აწარმოოს საბჭოს დაწესებულებებში შემჩნეულ საქმის გაჭიანურებასთან, [illegible] და აპარატის სხვა ბიუროკრატიულ გადამახინჯებებისაკენ.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა სექციის ბიურო, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: **მარქაროვი, ანთიძე, კოზლოვსკი, პერტაია** და **მინასიანი**.

ბრძოლა სახლების უგეგმო მშენებლობასთან

კომუნალურმა სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგის მოადგილის ამხ. შ. სიხარულიძის მოხსენება თბილისის განაპირა უბნებში სახლების უგეგმო აგებისა და მიწების დატაცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქის განაპირა უბნებში ადგილი აქვს ფართოდ არა სასურველ მოვლენას: განაპირა უბნების მცხოვრებნი, სრულიად დაუკითხავად აგებს პატარა სახლებს იმ მიწებზე, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ არის დაგეგმილი. ასეთი მდგომარეობა სრულიად მოუთმენელია, რადგანაც ეს ხელს უშლის გეგმიან საბინაო მშენებლობას მთელ ქალაქში. მომხსენებელმა საჭიროდ სცნო გადამჭრელი ზომების მიღება ამ დაუშვებელ მოვლენის საწინააღმდეგოთ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექციამ მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნა, რომ განაპირა უბნებში და საერთოდ მთელი ქალაქის ფარგლებში ყოვლად დაუშვებელია დაუგეგმავ მიწებზე სახლების, ან სხვა რაიმე შენობების აგება.

სექციამ გადასწყვიტა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე აღძრას საკითხი განაპირა უბნების დაგეგმვის დაჩქარების შესახებ, რომ მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მიეცეს დაუწყონ ბინების აშენება.

სექციამ დაადგინა გამოაცხადოს პრესაში, რომ სასტიკად აკრძალულია დაუგეგმავ მიწებზე სახლების აგება და თუ ვინმე აგებს, ყოველ მიზეზის გარეშე დაურღვევენ აგებულ სახლს ადმინისტრაციული წესით. გადაწყდა დღემდე უგეგმოთ აშენებული სახლები დაირღვეს.

შემდეგ სექციამ მოისმინა მოხსენება საბინაო და წარმოებათა კომისიების მუშაობის შესახებ და დაადგინა მიიღოს სასტიკი ზომები ხსენებულ კომისიათა მუშაობის გასაცხოველებლად.

ლუდის ქარხანა

სამეურნეო-სამრეწველო სექციაში სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ლუდის ქარხნის გამოსაკვლევად დანიშნულ კომისიის მოხსენება ამ ქარხნის მუშაობის შესახებ. კომისიის დასკვნის თანახმად სექციამ მიიღო შემდეგი პრაქტიკული ხასიათის წინადადებები. მიღებულ უნდა იქნას ზომები მომავალი საოპერაციო წლისათვის ქარხნის უზრუნველსაყოფად ქერის საკმაო რაოდენობით იმ მიზნით, რომ არ შეფერხდეს ლუდის დამზადება, ვინაიდან ამჟამად ბოთლების სიცოტის დიდი ნაკლებობაა, საჭიროა გაძლიერდეს ლუდის პატარა კასრებში ჩასხმა. ამ მიზნით ქარხანამ უნდა გაადიდოს სალუდე კასრების წარმოება თავის სახელოსნოში. დასასრულ, სექცია საჭიროდ სცნობს [illegible] ლუდის [illegible] გადატანა ადგილიდან-ადგილზე ავტომანქანების საშუალებით.

„სოფლის კავშირი-"ს რწმუნებულთა მეორე ყრილობა

ყრილობის გახსნა

კვირას, საღამოს, პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის („სოფლის კავშირი"-ს) რწმუნებულთა მეორე ყრილობა.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: **სტალინი, რიკოვი, კალინინი, მოლოტოვი; ტომსკი; ორჯონიკიძე, მოლოტოვი, ცხაკაია, კამინსკი, ელიავა, მამია ორახელაშვილი, მახარაძე, ქართველიშვილი** და **კახიანი**.

ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ, ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი

დღის წესრიგი

1) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირის წარმომადგენელთა მოხსენება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ, 2) „სოფლის კავშირის" გამგეობის მოხსენება 1927 საოპერაციო წლის საქმიანობის შესახებ; 3) სარევიზიო კომისიის ანგარიში, 4) ანგარიშების განხილვა-დამტკიცება და მოგების განაწილება; 5) 1927-28 წლ. გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; საინფორმაციო მოხსენება 1927-28 საოპერაციო წლის პირველი და მეორე კვარტალში მუშაობის შესახებ; 6) კოლექტიურ მეურნეობათა სექციის მოხსენება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ; 7) სასოფლო-სამეურნეო ბანკის 1926-27 წლის მუშაობის ანგარიში; 8) კოოპერატიული ბანკის მუშაობის ანგარიში; 9) „სოფლის კავშირის" წესდების განხილვა და დამტკიცება; 10) დელეგატების არჩევა საკავშირო ყრილობისათვის; 11) მმართველ ორგანოების არჩევნები და 12) მიმდინარე საკითხები.

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ამხ. **მიხა ცხაკაიას**, რომელსაც მთელი ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით ეგებება.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით—ამბობს მცხოვანი ბელადი—მხურვალეთ მივესალმები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობას. მე არ შევუდგები იმის განმარტებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-კოოპერაციას ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის. თვით თქვენი ორგანიზაციის სახელწოდება „სოფლის კავშირი" სისწორით განმარტავს მის დანიშნულებას. „სოფლის კავშირის" ძირითადი ამოცანა არის კოოპერატიულად შეაკავშიროს, ორგანიზაციულად გააერთიანოს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა—საშუალო და ღარიბი გლეხობა. ეს ამოცანა ჰქონდა დაკისრებული „სოფლის კავშირის" წინამორბედ სასოფლო კოოპერატივების გამაერთიანებელ ორგანიზაციას „წარმოკავშირს", რომელმაც ვერ გაუწია ხელმძღვანელობა სასოფლო კოოპერატივის განვითარებას ჩვენში. „სოფლის კავშირს" თითქმის თავიდან მოუხდა საქმის დაწყება და ამიტომ არის, რომ დღეს იკრიბება სასოფლო კოოპერაციის რწმუნებულთა არა მეათე და მეთერთმეტე, არამედ მეორე ყრილობა. მე გავეცანი „სოფლის კავშირის" ერთი წლის ნამუშევარს, მის ბრუნვას, წევრთა რაოდენობას, რომლის მიხედვით შეიძლება ითქვას რომ სასოფლო კოოპერაციის საქმე გამოსწორებულია, რომ მისი განვითარებას სწორი საფუძველი აქვს დადებული. მისი შემდგომი წარმატებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ სასოფლო კოოპერაციის ძირითადმა ერთეულებმა საფუძვლიანად შეიგნონ კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა ჩვენი სოფლის სამეურნეო ცხოვრებისათვის; შეიგნონ ისე, როგორც ეს ესმის პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას. მათ უნდა იცოდნენ, რომ კოოპერაციის ზრდა ჩვენს პირობებში ნიშნავს სოციალიზმის ზრდას სოფლად, რადგან სოციალისტური პრინციპების გამტარებელი სოფლად დღეს საბჭოთა პირობებში არის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია. ძველი სოფელი თავის ადათ-ჩვეულებებით თანდათან იშლება. განკერძოებული გლეხური მეურნეობის ადგილს იჭერს გაერთიანებული კოლექტიური მეურნეობა. ძველი მეურნეობის რღვევისა და ახალი მეურნეობის შენების პროცესი ხანგრძლივია. მას სჭირია მტკიცე გეგმიანი ხელმძღვანელობა, რომელიც ეკისრება სას.-სამ. კოოპერაციის სისტემას. ამ ხელმძღვანელობისათვის ძირითადი დებულებები გამომუშავებულია მე-15 პარტყრილობის მიერ. სასოფლო კოოპერაციის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ ეს დადგენილება და ამის მიხედვით უნდა წარმართონ თავიანთი ხელმძღვანელობითი მუშაობა. მხოლოდ ამ პირობებში სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა გამოიღებს შესაფერ ნაყოფს. ვუსურვებ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რომ იგი გამხდარიყოს პარტიისა და ხელისუფლების მიერ წარმოებულ სოციალისტური მშენებლობის ციხესიმაგრედ ჩვენს სოფელში. (მქუხარე ტაში).

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხ. მიხას ტრიბუნაზე სცვლის ამხ. ფილიპე, რომელსაც ყრილობა ისეთივე მხურვალე ტაშის ცემით ეგებება.

ამხ. ფილიპე, რომელიც ეხება სასოფლო კოოპერაციის როლს სახალხო მეურნეობაში, ამბობს შემდეგს:

სახალხო მეურნეობა ორი მთავარი დარგისაგან შესდგება ქალაქის მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისაგან. ეს ორი დარგი ერთი მეორესთან მჭიდროდ დაკავშირებულია. სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ დაცულიყოს წონასწორობა მეურნეობის ამ ორ მთავარ დარგს შორის. წინათ,—(და ეხლაც) ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას, სასოფლო მეურნეობის ცოტათ თუ ბევრად განვითარებული დარგებით და მეტად ჩამორჩენილი მრეწველობით. სახალხო მეურნეობის სისტემაში დარღვეული იყო წონასწორობა. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ამ წონასწორობის აღდგენა და შეუდგა მრეწველობის სხვადასხვა დარგების დანერგვას—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

მაგრამ თვითეული ქვეყნის მრეწველობის განვითარება წარმოუდგენელია ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინების გარეშე, რადგან სასოფლო მეურნეობა არის მსხვილი მრეწველობის მასაზრდოებელი წყარო. იმ პირობებში, რომელშიდაც იგი დღეს იმყოფება სასოფლო მეურნეობა, ვერ იქნება ნედლეულის მიმწოდებელი ჩვენი მრეწველობისათვის. საწარმოო საშუალებანი ჩვენს სასოფლო მეურნეობაში პრიმიტიულია, ნიადაგი გამოფიტულია და დღეს ვერ იძლევა იმდენ ნაყოფს, როგორც წარსულში იძლეოდა. ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება აუცილებლად უნდა ამაღლდეს. მაგრამ ეს ვერ მოხდება, თუ არ შეიცვალა ჩვენი მეურნეობის წარმოების ფორმები. დაქუცმაცებული მეურნეობაში მაღალ ტეხნიკურ საწარმოო იარაღების შემოღება, მიწის განოყიერება, სარწყავი სისტემის გაფართოება და საერთოდ მთელი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია განუხორციელებელი საქმეა.

სოფლის მეურნ. ინტენსიფიკაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წვრილ სამეურნეო ერთეულების გაერთიანება, მათი შეკავშირება. ამ შეკავშირების ფორმები უკვე გამონახულია. ეს არის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები და არტელები. კოლექტიური მეურნეობა და ახალი ფორმების ორგანიზაცია არის დღევანდელი დღის ამოცანა, მაგრამ არ კმარა მარტო კოლექტივების გამრავლება, მათ სჭირიათ მუდმივი და ტკიცე ხელმძღვანელობა. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა მათი დატოვება უხელმძღვანელოთ, თავის ანაბარად ცუდი შედეგების მეტს არაფერს იძლევა. კოლექტიურ მეურნეობისათვის ჩვენ მოგვეპოვება ხელსაყრელი პირობები, გვყავს მომზადებული სპეციალისტები, აგრონომების საკმაო რაოდენობა; მაგრამ თვითონ სპეცების მუშაობა სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე უნაყოფო და უშედეგოა. საჭიროა სპეციალისტების მიზანშეწონილი გამოყენება, მათი მუშაობის გეგმიან კალაპოტში ჩაყენება. კოლექტიური მეურნეობანი ჩვენში სულ ახალ საქმეს წარმოადგენს. მათ ბევრი ნაკლი და უარყოფითი თვისება ახლავთ, როგორც ფეხმოუმაგრებელ ახალ ორგანიზაციას. თუ სადმე აქვს მნიშვნელობა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, სწორედ ამ ახალ საქმეში. არც ერთი დეფექტი, არც ერთი მავნე გადახრა შეუმჩნეველი და გამოუაშკარავებელი არ უნდა დარჩეს. ქართული ანდაზაა: „ჭირი ვმალე, ვმალე, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა". უნდა ვეცადოთ, რომ ჭირი ძირშივე ჩავკლათ, ვიდრე ის თვითონვე იჩენდეს თავს. თვითკრიტიკა ამის უებარი საშუალებაა. ყრილობამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ თავის ნაკლულოვანებათა სააშკარაოზე გამოტანას, დეფექტების შესწავლას, აწონ-დაწონვას. მხოლოდ ამ საშუალებით გაუადვილებს იგი „სოფლის კავშირ"-ში შემავალ ორგანიზაციებს მომავალ მუშაობას და გაჰკაფავს გზას სოფლის მეურნეობის ახაყვანად განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. (მქუხარე ტაში).

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.

მეორე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა სოფლის კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება, რომელიც შეიცავდა ძირითადი ქსელის საქმიანობას და თვით „სოფლის კავში რი"-ს გამგეობის მუშაობის მიმოხილვას 1926-27 წელში.

„სოფლის კავშირი"-ს საქმიანობა 1926-27 წ.

მომხსენებელი ამხ. ნაფეტვარიძე

საორგანიზაციო დარგში

1926 წელს გადატანილ კრიზისის გამო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, — ამბობს მომხსენებელი,— დარღვეული იყო სისტემის მთლიანობა და ამიტომ ძირითად ქსელსა და ცენტრს შორის კავშირი შესუსტდა. მუშაობას ამ კავშირის აღსადგენად და გასაძლიერებლად სისტემატიური ხასიათი მიეცა მხოლოდ „სოფლის კავშირის" ჩამოყალიბების შემდეგ. თავიდანვე საორგანიზაციო განყოფილების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა „სოფლის კავშირის" გარშემო შემოკრება სასოფლო-სამეურნეო განაერთები და დამყარება ნორმალური საორგანიზაციო და სამეურნეო ურთიერთობა ცენტრსა და პერიფერიებს შორის. განყოფილებამ მუშაობის დასაწყისშივე მიზნად დაისახა ძირითად ქსელის მმართველ ორგანოების ორგანიზაციული ჩამოყალიბება, სარევიზიო კომისიის მუშაობის გაუმჯობესება, წევრთა რიცხვის გადიდება და ღარიბ გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმა, საპაიო და სპეციალურ თანხების დაგროვება და გეგმიანობის შეტანა სამეურნეო მუშაობაში, საანგარიშო წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თითქმის მთელი ქსელი ფაქტიურად დაუკავშირდა „სოფლის კავშირს". ამავე ხნის განმავლობაში იზრდებოდა და ფართოვდებოდა გლეხთა საწარმოო ერთეულების რიცხვი კოლექტიურ მეურნეობებისა და სამანქანო ამხანაგობების სახით. სას.-სამ. კოოპერაციის მშენებლობამ მიიღო სამი მთავარი კოოპერატიული სახე: 1) უნივერსალური სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი; 2) სპეციალური ამხანაგობანი (მევენახეთა, მეღვინეთა, მეხილეთა, მესაქონლეთა; წველა - დღვების არტელები და სხვ.) და 3) კოლ. მეურნეობანი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში შეკავშირებულ მოსახლეობის რიცხვი 1925 წლის პირველ ოქტომბერთან შედარებით გადიდებულია 10,7 პროც. მაშინ, როდესაც კოოპერატიულ ამხანაგობების რიცხვი შემცირებულია. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია განსაკუთრებულ სიძლიერით ვითარდებოდა იქ, სადაც მეურნეობას საქონლიანობის ხასიათი ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველოში თვითეულ სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო და სპეციალურ ამხანაგობაზე მოდის 1538 მეურნეობა, ხოლო დასავლეთ საქართველოში—2.791 მეურნეობა, საერთოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში საქართველოში შეკავშირებულია 97.554 მეურნეობა, რაც საქართველოს მეურნეობათა საერთო რიცხვის 25,63 პროც. შეადგენს. მოსახლეობის შეკავშირების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს სიღნაღის მაზრას 49,69 პროც., ბორჩალოს მაზრა—42,58 პროც. თბილისის მაზრა 41,07 პროც., ოზურგეთის მაზრა—35,98 პროცენტ; ყველაზე ჩამორჩენილი რაიონია სამხრეთ-ოსეთი,—10,01 პროც.

თუ მხედველობაში მივიღებთ სამელიორაციო - სამანქანო ამხანაგობებს და კოლმეურნეობებს, სასოფლო კოოპერაციაში გაერთიანებულ წევრთა რიცხვი გაიზრდება და პროცენტული შეფარდება იქნება დაახლოებით 30,7; სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები ფიზიკურ პიროვნებათა გარდა აერთიანებდნენ 2.681 სხვადასხვა სახის კოოპერატიულ კოლექტიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას 40.579 წევრით. რაც შეეხება წევრთა სოციალურ შემადგენლობას ამ თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით ყველა ამხანაგობები შესწავლილი არ არის. გამოკვლეულ იქნა მხოლოდ 69 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, სადაც ხელმოკლე და ღარიბი ფენები შეადგენენ 45 პროცენტს. საშუალო 48-ს და შეძლებული 7 პროცენტს. საერთოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აკავშირებს ღარიბსა და საშუალო ფენებს, მთავარი ადგილი კი უჭირავს საშუალო ფენებს, ამიტომ სას.-სამ კოოპერაციის უახლოესი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი ღარიბების შეკავშირება, ამ მიზნით იმ კოოპერატიულ შენაერთებთან, რომლებმაც მოგებით დაამთავრეს წელი, მოეწყო ღარიბთა ფონდი, ამ ფონდის ჯამი ქვეს საფეხურის ორგანიზაციებში უდრის 25.800 მანეთს, „სოფლის კავშირთან"—32.221 მანეთს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მმართველ ორგანოების შემადგენლობას აქ დაცულია ღარიბ და საშუალო ფენების ხელმძღვანელობა. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა შემადგენლობა ჯერ-ჯერობით კიდევ ვერა სდგას სათანადო კვალიფიკაციის სიმაღლეზე. ძალიან ხშირად გამგეობის წევრები ვერ იჩენენ საჭირო აქტიობას და ინიციატივას. მთელი თავისი საქმიანობა შეფარდებული აქვთ სახელმწიფოდან მიღებულ თანხების განაწილებით. სარევიზიო კომისიებს უმრავლეს შემთხვევაში ახასიათებს სრული უმოქმედობა და ზედმეტი ფორმალიზმი, რაც უმთავრესად წევრთა მოუმზადებლობით და ზოგჯერ პასუხისმგებლობის შეუგნებლობით აიხსნება. მმართველ და საკონტროლო ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენს ამჟამად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მორიგ ამოცანას.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის

(სოფლად მუშაობის განყოფილებათა ძირითადი ამოცანები)

ნაციონალური კომპარტიების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ბიუროებს, საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს.

ძვირფასო ამხანაგებო

მე-15 პარტიულმა ყრილობამ, წამოაყენა რა მთელი სიგრძე-სიგანით სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეხლანდელი პერიოდის უშუალო ამოცანა, იმ მიზნით, რათა გაძლიერებულ იქნას პარტიის მუშაობა სოფლად, გამოიტანა გადაწყვეტილება პარტიულ კომიტეტებთან სოფლად მუშაობის განყოფილებების მოწყობის შესახებ.

პარტიის მუშაობას სოფლად თანამედროვე პირობებში ეძლევა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარების იმ შედარებით ნელი ტემპით, რომელიც მნიშვნელოვნად აიხსნება მით, რომ სასოფლო - სამეურნეო წარმოება უაღრესად დაქუცმაცებულია მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობად, რომლებსაც ახასიათებს უკიდურესად დაბალი ტეხნიკა ამავე დროს სოფლის მეურნეობის ეს დაქუცმაცება წარმოადგენს იმ ნიადაგს, რომელიც ჰკვებავს ბაზრის სტიქიას და ზრდის საშუალებას აძლევს კერძო კაპიტალისტურ ელემენტებს ჩვენს სოფელში. პურის დამზადების კრიზისმა მიმდინარე წელში და კულაკების შეტევის ცდებმა საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ მთლიანად დაადასტურა სისწორე მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებისა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მსხვილ სახელმწიფო მიწათმოქმედების განვითარების შესახებ, რაც წარმოადგენს სოფლის ეკონომიურ აღდგენისა და სოციალისტური განვითარების ერთადერთ გადამჭრელ გზას. მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო წარმოების სოციალისტურად გარდაქმნის საფუძველზე შევსძლებთ ჩვენ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების რადიკალურ აღდგენის მიღწევას, ჩვენი სოფლის სიღატაკისა და ჩამორჩენილობის დაძლევას და კაპიტალისტური ელემენტების (კულაკები) საბოლოოდ აღმოფხვრას სოფლად. მნიშვნელოვნად დაიპყრით რა ვაჭრობა, ჩვენ ეხლავე უნდა გადავიტანოთ ჩვენი სოფლად მუშაობის სიმძიმის ცენტრი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის დარგში.

ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა გრანდიოზული ამოცანა, რომელიც გულისხმობს უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში თავისუფალ დაუკავებელ მიწებზე უდიდეს საბჭოთა მეურნეობების ახალი ქსელის მოწყობას დაახლოვებით 100 მილიონი ფუთი საბაზრო გამოსატანი პურის პროდუქციით წლიურად. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს არა მარტო დიდი თანხების გადადებას, არამედ აგრეთვე მუშათა კლასის ორგანიზატორულ ძალების და პირველ რიგში ჩვენი პარტიის ძალების მობილიზაციას. საბჭოთა მეურნეობების განვითარებული ქსელი იქნება ტეხნიკის აწევის მძლავრი საშუალება საერთოდ მიწათ-მოქმედებაში და ბერკეტი გლეხურ მეურნეობის რეორგანიზაციისა კოოპერატიულ - კოლექტიურ საფუძვლებზე.

მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებმა კოლექტივიზაციის შესახებ გამოიწვია ფართო გამოხმაურება ღარიბ და საშუალო გლეხობაში — უკანასკნელ თვეების განმავლობაში შეიქმნა ათასობით ახალი კოლექტიური მეურნეობანი კოლექტიურ მოძრაობის გამოცდილება ნათელჰყოფს, რომ სოციალიზმისთვის ბრძოლის ამ ფრონტზედაც სავსებით შესაძლებელია და საჭიროც არის განხორციელებულ იქნას პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის კავშირი საშუალო გლეხობასთან. ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა კიდევ დიდხანს დარჩება სოფლის მეურნეობის უმთავრეს ფორმად, და საბჭოთა ხელისუფლება ყოველ მხრივ აღმოუჩენს დახმარებას ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობათა აღდგენას, მაქსიმალურად ჩააბამს მათ კოოპერაციაში და ყოველმხრივ შეზღუდავს კაპიტალისტური ელემენტების ზრდას. ამასთან ძირითად გზას სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების გადამჭრელი აღორძინებისათვის წარმოადგენს მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლა, და ამ [illegible] დასწყისში საშუალო გლეხების მასას შეუძლია და უნდა მიიღოს უფრო და უფრო ფართო და აქტიური მონაწილეობა. საშუალო გლეხობის წინაშე გადაშლილია ფართო პერსპექტივა მეურნეობის განვითარებისა ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე გლეხურ მეურნეობათა შეკავშირების საფუძველზე სულ უფრო და უფრო ძლიერ საწარმოო გაერთიანებებში — მიწის საერთოდ დამმუშავებელ ამხანაგობებში, არტელებში, კომუნებში; ასეთივე გზა ეძლევა სამანქანო ამხანაგობათა მასიურ ზრდასაც. კოოპერატიული ორგანიზაციები პარტიისა და საბჭოების ყოველმხრივი და უშუალო დახმარებით დაუღალავად უნდა მუშაობდნენ იმისათვის, რომ კოლექტივისტური მოძრაობა გადაიქცეს ღარიბ და საშუალო გლეხების ნამდვილ მასიურ მოძრაობად, იმისათვის, რომ გლეხობის არა მარტო ცალკე მოწინავე ელემენტები გადადიოდენ მეურნეობის წარმოების კოლექტიურ ფორმებზე, არამედ აგრეთვე იმისათვისაც, რომ ასეთი გადასვლა შეეხოს გლეხთა მასების ღრმა ფენებს, რათა მთელი სოფლებიც კი გადადიოდნენ მიწის საერთო დამუშავებაზე.

ამასთან ერთად უნდა გაძლიერებულ იქნას ხელმძღვანელობის გაწევა კოლექტივისტურ მოძრაობისათვის როგორც კოოპერატიულ ორგანოების, ისე საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების მხრივ. ყოველმხრივ უნდა იქნას წახალისებული თვით გლეხთა მასების ინიციატივა, ამასთანავე საჭიროა მიღწეულ იქნას გეგმიანობა სათანადო კრედიტების, მანქანების, განსაკუთრებით რთული მანქანების, ტრაქტორების და სხვ. განაწილებაში, მოხერხებულად უნდა იქნას დაყენებული კოლექტიურ მეურნეობებისათვის დახმარების გაწევა ორგანიზატორთა და აგრონომიული ძალებით და გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა არ გამოიყენონ კულაკებმა (ცრუ კოლექტიური [illegible]ობანი და სხვ.).

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და გარდაქმნის საქმეში თვალსაჩინოდ უნდა იქნას გაძლიერებული სოციალისტური მრეწველობის როლი, პირველ რიგში სამრეწველო ნედლეულის პროდუქციის (ბამბა, სელი, შაქარი, მატყლი, ტყავი და სხვ.) გადიდების დარგში კონტრაქტაციის ღონისძიებათა უფრო ფართოდ გატარების საშუალებით. კონტრაქტაციის პრაქტიკის განვითარება უნდა იქნეს არა მარტო თვით სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის, აგრეთვე პურის) თვალსაჩინო ზრდის საშუალება, არამედ აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხობის მასების საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანების მნიშვნელოვანი იარაღიც.

კიდევ ბევრად უფრო უნდა იქნას გამოყენებული სასოფლო - სამეურნეო ინდუსტრია, როგორც ბერკეტი გლეხურ მეურნეობის გარდაქმნისა კოოპერატიულ - კოლექტიურ საფუძვლებზე; სასოფლო - სამეურნეო ინდუსტრიის განვითარებისათვის კოოპერაციამ ფართოდ უნდა მიიზიდოს გლეხობის თანხები.

ლენინის კოოპერატიულ გეგმის განხორციელება, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მასიური კოლექტივიზაცია, ეხლანდელ პირობებში წარმოადგენს პროლეტარიატის მიერ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის წარმოებული კლასობრივი ბრძოლის ძირითად გამოხატულებას.

სოფლის საერთო ეკონომიური აღორძინების დროს წელგამაგრებული კულაკები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარების საქმეს უწევენ გადამჭრელ წინააღმდეგობას და ცდილობენ აიყოლიონ საშუალო გლეხობის უფრო ჩამორჩენილი ფენები. საჭიროა გადაჭრით იქნას მიღწეული ისეთი მდგომარეობა, რომ კულაკები, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ განვითარების გზაზე შემდგარი სოციალისტური აღმშენებლობა და პროლეტარულ სახელმწიფოს გაძლიერებული შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, სავსებით იქნენ პოლიტიკურად განმარტოებული.

ცეკა მიაქცევს ყველა პარტორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას იმაზე, რომ საჭიროა შემდგომი გატარება (ცხოვრებაში საბჭოთა კანონმდებლობის და ყველა იმ ღონისძიებათა კლასობრივი ხაზისა, რომელთა დანიშნულებას შეადგენს სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების ზრდის შეზღუდვა, კულაკების ექსპლოატატორულ მისწრაფებათა აღკვეთა და ღარიბ გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენა. კულაკები სავსებით და ნამდვილად უნდა დავუმორჩილოთ რევოლიუციონურ კანონიერებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური კლასობრივი ხაზის განხორციელებას საგადასახადო პოლიტიკაში, კულაკების ნამდვილად დაბეგვრას და ღარიბ გლეხობის განთავისუფლებას სასოფლო - სამეურნეო გადასახადიდან თანახმად კანონისა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ, კრედიტებისა და მანქანების წესიერ განაწილებას, ღარიბ გლეხობისათვის კანონებით გათვალისწინებულ შეღავათების მინიჭებას. დაქირავებული შრომის მტკიცედ დაცვას სოფლის მეურნეობაში, მიწით სარგებლობისა და მიწის იჯარის შესახებ არსებულ კანონმდებლობის სასტიკად დაცვას და სხვ.

საჭიროა ბევრად უფრო გაძლიერდეს მუშაობა ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების დასარაზმავად და პოლიტიკური განათლებისათვის და შევეცადოთ ყოველმხრივ განვამტკიცოთ მათი კავშირი საშუალო გლეხობასთან კულაკების წინააღმდეგ. საჭიროა ბევრად უფრო გავაფართოვოთ მუშაობა საბჭოების გამოსაცოცხლებლად, ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების, აგრეთვე საშუალო გლეხობის მასების კიდევ უფრო ჩასაბმელად საბჭოებისა და კოოპერაციის მუშაობაში, მათი მუშაობის ყოველმხრივ შესამოწმებლად ქვედა ფენების მხრივ, თვითკრიტიკის განსავითარებლად და ამასთან ერთად დეფექტების თავის დროზე გამოსასწორებლად.

აუცილებლად უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ წინ წავსწიოთ კულტურული რევოლუციის საქმე სოფლად. ბევრ რაიონებში ადგილი არა აქვს რაიმე შესამჩნევ წინსვლას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეშიაც კი, მით უფრო შეეხება ეს გაზეთებისა და მასიური ლიტერატურის გავრცელებას. ბევრად უფრო ფართოდ უნდა განავითარონ თავისი მუშაობა სოფლად აგრეთვე საშეფო კომისიებმა და პროფკავშირებმა.

მასიური მუშაობის მძლავრი განვითარებისა და საბჭოებში მომუშავე გლეხთა აქტივის ზრდის საფუძველზე კოოპერაცია პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ უნდა ცდილობდეს სახელმწიფო და კოოპერატიულ აპარატის განმტკიცებას სოფლად. უნდა გაუმჯობესებულ იქნას მოწინავე მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო გლეხების შერჩევა და დაწინაურება ამავე დროს უნდა ტარდებოდეს აპარატის გადამჭრელი გაწმენდა კლასობრივად უცხო და გახრწნილ ელემენტებისაგან და კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი უნდა იქნას დამყარებული აპარატის ყველა საფეხურებსა და გლეხობის მშრომელ მასას შორის.

დაბოლოს, აუცილებელია მუშაობის გაღრმავება სოფლის პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების რაოდენობითი და თვისობრივი განმტკიცებისათვის, მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების გაძლიერებით ჩაბმა პარტიაში, სოფლის ორგანიზაციების შემადგენლობის მუდმივი შემოწმება, მათთვის ინსტრუქციების მიწოდების გაუმჯობესება და ხელმძღვანელთა ახალი კადრის მომზადება.

ასეთია ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს პარტიას სოფლად მუშაობის დარგში.

სოფლად მუშაობის განყოფილებათა მოწყობამ ხელი უნდა შეუწყოს პარტიულ კომიტეტებს ნამდვილად განახორციელონ ეს ამოცანები.

სოფლად მუშაობის განყოფილებათა ამოცანაა: დაეხმარონ პარტიულ კომიტეტებს, რათა გაუწიონ ხელმძღვანელობა სახელმწიფო საადგილ - მამულო და საკრედიტო ორგანოების მუშაობას, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, პირველ რიგში ჯერ კიდევ მეტად სუსტ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას, ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატს და სოფლის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (გლეხკომები, საადგილმამულო საზოგადოებები და სხვ.): სისტემატიურად შეამოწმონ, თუ პარტიული თვალსაზრისით რამდენად სწორად შეასრულეს ამ ორგანიზაციებმა პარტიული დირექტივები.

სოფლად მუშაობის განყოფილებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიითვისონ საბჭოთა, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების ფუნქციები და ამავე დროს ისინი კარგად უნდა გაეცნონ ყველა იმ ღონისძიებებს, რომლებსაც მიმართავენ მიწათ-მოწყობის, საბჭოთა მეურნეობების გაფართოების, გლეხურ მეურნეობათა კოოპერატიულად შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის დარგში, სასოფლო - სამეურნეო ინდუსტრიის განვითარების კრედიტების, მანქანების და თესლის განაწილების, გადასახადების აკრების, ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლის მოწესრიგების, კონტრაქტაციის ჩატარებისა და საერთოდ სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის წარმოების გასადიდებლად სახელმწიფო მრეწველობის ფართო მონაწილეობის საქმეში და სხვ. — რათა თავის დროზე, შესაფერ მასალებისა და ადგილობრივ ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლის მიხედვით, დასვან პარტიული კომიტეტების წინაშე საკითხი პარტიულ ხაზის შემჩნეული გადამახინჯებების თავიდან აცილებისა და იმ ახალ დავალებათა მიცემის შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის ძირითად დირექტივებიდან სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაზე.

2. სოფლად მუშაობის განყოფილებებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ და შეამოწმონ სოფლის საბჭოებისა და კულტურულ - საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობა და შეეცადონ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის (სოფლის სამკითხველოები, კინო, რადიო და სხვ.) განვითარებას უფრო ჩქარი ტემპით.

ამავე მიზნით გაუწიონ ხელმძღვანელობა საგლეხო პერიოდულ პრესას, მასიურ საგლეხო ლიტერატურის გამოცემას და საშეფო მოძრაობას, ჩააბან პროფესიონალური კავშირებისა და საერთოდ ქალაქის კულტურული ძალები სოფლის კულტურულ - საგანმანათლებლო საქმეში.

3. ხელმძღვანელობა გაუწიონ ღარიბი გლეხობის ჯგუფების მუშაობას, მოიწვიონ ამ ჯგუფების თათბირები და კონფერენციები და მიიღონ ზომები ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხების აქტივის უფრო სწრაფად გასაძლიერებლად.

მოჯამაგირეებს შორის უნდა გააძლიერონ პოლიტიკურ - კულტურული მუშაობა და ხელი უნდა შეუწყონ მოჯამაგირეების, როგორც სოფლის პროლეტარული რაზმის უფრო ორგანიზაციულად შეკავშირებას და საზოგადოებრივ - პოლიტიკური წონის გადიდებას.

ამასთანავე ერთად საჭიროა ზომების მიღება მუშაობის გასაძლიერებლად ფაბრიკა - ქარხნების იმ მუშებს შორის, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ და რომლებიც დაკავშირებული არიან სოფელთან.

4. სოფლად მუშაობის განყოფილებებმა უნდა შეამოწმონ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობა (განსაკუთრებით კოოპერატიულად შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის საქმეში და აგრეთვე კულტურული მშენებლობის დარგში) იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ასრულებენ ძირითად დირექტივებს სოფლად მუშაობაში, და მიაწოდონ მათ ცოცხალი და კონკრეტიული ინსტრუქციები ამ დარგში.

5. შეამოწმონ, თუ როგორია დაყენებული სოფლის სოციალურ - ეკონომიური პროცესებისა და ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა და მოაწყონ იმ მნიშვნელოვან ღონისძიებების დამუშავება, რომელთაც მიმართავს პარტიული ორგანიზაცია, ამ მიზნით გამოიყენონ საბჭოთა, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობას აწარმოებენ სოფლად.

6. შესაფერ ორგანოების დახმარებით ხელი უნდა შეუწყონ პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განმარტებას გლეხურ მასებში.

7. მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის მუშაობის სხვადასხვა დარგების მუშაკთა კადრების შესწავლისა, შერჩევასა და მომზადებაში და არ უნდა ჩაერიონ პარტიულ კომიტეტების ორგანოების მუშაკთა განაწილებაში.

მოაწყონ გლეხური აქტივის გაძლიერებული კადრების დაწინაურების სწორი ორგანიზაცია, მიიღონ ზომები, რათა შესაფერ სასოფლო - სამეურნეო სასწავლებლებმა მოამზადონ სოფლისათვის საჭირო სპეციალისტების ახალი კადრები.

პარტიის ცეკა წინადადებას იძლევა, მოაწყონ უახლოეს დროში ყველა ნაციონალურ კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან, საოლქო კომიტეტებთან და საგუბერნიო კომიტეტებთან სოფლად მუშაობის განყოფილებები.

სოფლად პარტიული მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მეტადრე ეხლანდელ პერიოდში, — ცეკა წინადადებას იძლევა გამოყონ სოფლად მუშაობის განყოფილებებში გამგეებად და პარტკომების პასუხისმგებელ ინსტრუქტორებად საკმაოდ კვალიფიციური და ავტორიტეტიანი მუშაკები. ნაციონალურ კომპარტიების ცეკასთან, ოლქკომებთან და გუბკომებთან არსებულ სოფლად მუშაობის განყოფილების გამგის კანდიდატურას, — დროებითი ზომის სახით, — ამტკიცებს ცეკა.

საკ. კ. პ. ცეკას მდივანი
ვ. მოლოტოვი.

სოფლად მუშაობის განყოფილების
გამგე **ბაუმანი.**

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მეურნეობის ძირითადი საკითხები

(საკ. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტის და ა. კ. ს. კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლიუცია ამხ. ელიავას მოხსენების გამო)

ძირითადი ამოცანებიდან სოფლის მეურნეობის დარგში პლენუმს საჭიროდ მიაჩნია უახლოეს დრიისათვის გამოყოს შემდეგი.

სოფლის მეურნეობა

1. შემოდგომის თესვის კამპანია. ახლავე იქნას დაწყებული საორგანიზაციო და მატერიალური მზადება შემოდგომის თესვის კამპანიისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებში. მომავალ შემოდგომის თესვის კამპანიის ძირითად ამოცანებად ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ცნობილ იქნას:

ა) მარცვლეულ ბაზის განმტკიცება, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამიერ-კავკასიის პირობები, როგორც სპეციალურ და ტექნიკურ კულტურებისა და მესაქონლეობის რაიონის;

ბ) საკვები ბაზის გაფართოება მესაქონლეობისათვის (საშემოდგომო საკვები ბალახებით);

გ) ტექნიკურ კულტურების რაიონში საკმაო ხორბლის შენარჩუნების საჭიროება ახალი კულტურების განვითარებისათვის.

2. მოსავლის კამპანია. შემოდგომის თესვის კამპანიასთან ერთად საჭიროა ახლავე იქნას დაწყებული გეგმის შემუშავება და ღონისძიებათა მომზადება მოსავლის შეკრებისა და განაწილებისათვის, ამასთანავე პირველ რიგში უნდა იქნას მიღებული ზომები პურისა და სიმინდის დამზადებისათვის ჩვენს მწარმოებელ რაიონებში როგორც მოხმარების მოწესრიგების მიზნებისათვის, ისე სათესლე ფონდის შესაქმნელად.

ამ კამპანიის მეორე ძირითად ამოცანად ჩაითვალოს საკვების ფონდის შექმნა.

3. გადასახლების საქმის და სოფლის მეურნეობის საერთო საოპერაციო გეგმა 1928—29 წლისათვის. მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურების განვითარების დარგში კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების უმნიშვნელოვანეს ამოცანად პლენუმს მიაჩნია ძირითადი ყურადღების მიქცევა სოფლის მეურნეობის საერთო საოპერაციო გეგმის შედგენასა, გატარებასა და რეალიზაციაზე. სოფლის მეურნეობ. დარგში 1928-29 წლისათვის მისაღებ ღონისძიებათა დასახვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ღონისძიებათა შემუშავებას, რომლებიც ერთის მხრივ უშუალო გავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო განვითარებაზე და მის სოციალურ ტექნიკურ რეკონსტრუქციაზე (მიწის ტერიტორიის მოწყობა, კერძოდ მელიორაცია წარმოების ძირითადი საშუალებების მიწოდება, მაშინიზაცია დაკავშირებული გამანოყიერებელ ნივთიერებათა გამოყენებასთან და აგრიკულტურული ღონისძიებები), ხოლო მეორეს მხრივ ხელს უწყობენ თვით წარმოების და მისი საქონლიანობის ზრდას. ამგვარ ღონისძიებათა შორის მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების წინასწარ გადამუშავებულ წარმოებათა მშენებლობას და ინტენსიურ და ტექნიკური კულტურების კონტრაქტაციას. ამასთანავე გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყონ გლეხურ მეურნეობათა კოოპერატიულად შეკავშირებას, საზოგადოებრივი სექტორის მაქსიმალურ განვითარებას სოფლის მეურნეობაში და მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნას იმისათვის, რომ ხსენებულმა ზომებმა დააკმაყოფილონ ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობათა მოთხოვნილებანი.

4. საკრედიტო გეგმა. ძირითად გამოსავალ მომენტებად სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის გეგმის აგებათ 1928—29 წ ცნობილ იქნას:

ა) **ქვედა საფეხურის საკრედიტო ქსელის განმტკიცება და გაფართოება**, რისთვისაც გაძლიერებულ უნდა იქნას საშუალებათა და სესხების მიწოდება მისი ძირითადი და სპეციალური კაპიტალების გასადიდებლად;

ბ) თანხების მაქსიმალური გამოყენება საწარმოო კრედიტის მიზნებისათვის;

გ) **გრძელვადიანი კრედიტის** ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება კრედიტის საერთო თანხაში;

დ) იმ თანხების გადიდება, რომელთა დანიშნულებას შეადგენს სოფლის მეურნეობის **სოციალისტური სექტორის** მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

ე) კრედიტების გამოყენება უმთავრესად ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

5. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი. იღებს რა მხედველობაში სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას (კოლექტიური მეურნეობანი, არტელები, ამხანაგობები, საბჭოთა მეურნეობანი), პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ საკითხების ეს ჯგუფი გამოყოფილ იქნას „სოციალისტური სექტორის განვითარების განსაკუთრებულ საერთო გეგმაში“ სათანადო საოპერაციო და ხუთწლიან გეგმების შედგენით. ხსენებულ გეგმას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. 1928—29 წლის გეგმაში უნდა დასახულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი:

ა) საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა საწარმოო მუშაობის გასაძლიერებლად და გასაფართოებლად და მათი კულტურული გავლენის გასავრცელებლად ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებზე.

ბ) საბჭოთა მეურნეობათაგან ძვირფას კულტურების ისეთი ცენტრების შესაქმნელად, რომლებსაც უნდა შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მთელი ჩვენი მეურნეობის საქონლიანობის გაძლიერებაში.

გ) მიწათმოწყობის, მექანიზაციის და სოციალური ურთიერთობათა სათანადო ცვლილებების მჭიდროდ დასაკავშირებლად მთლიან სისტემაში, რომლის მიზანი იქნება განსაზოგადოების გაფართოება.

დ) კოლექტიურ მეურნეობათა და მათ გაერთიანებათა ორგანიზატორების კადრის მოსამზადებლად;

ე) კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობის ისეთი საორგანიზაციო ფორმების შესაქმნელად, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდენ კოლექტიურ მეურნეობათა მეტ სიმტკიცეს და საღ განვითარებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ მეურნეობათა პრობლემის დამუშავებას გადასახლების რაიონებში.

კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციის გეგმები მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული ღარიბ გლეხობის ფონდის გამოყენებასთან.

სხვა ზომათა შორის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია.

ა) შემოღებულ იქნას სოფლის სკოლებში **მსხვილ კოლექტიურ მიწათმოქმედების უპირატესობათა** შესწავლა წვრილ ერთპიროვნულ მეურნეობებთან შედარებით, უზრუნველყოფილ იქნან სკოლები საჭირო სასწავლო ხელსაწყოებით;

ბ) მიღებულ იქნას ზომები, რომ სასოფლო სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-გამომკვლევ ინსტიტუტებში მეტი ყურადღება ექცეოდეს მსხვილი მიწათმოქმედების წარმოების ორგანიზაციის შესწავლას საერთოდ და კოლექტიურ მეურნეობათა შესწავლას განსაკუთრებით.

6. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა. განსაკუთრებით საჭიროა მიექცეს ყურადღება სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას. რაც შეეხება ეპიზოოტიებს, კერძოდ რქოსან პირუტყვის ჭირს, აქ მომავალ წელშიაც დატოვებულ უნდა იქნას ისეთი დამკვრელი ხასიათი, როგორითაც ტარდებოდა ჭირთან ბრძოლა მიმდინარე წელში. ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც მოწონებულ იქნა მიმდინარე წელში, უნდა უზრუნველყოფილ იქნან ფინანსების მიწოდებით ისეთი ანგარიშით, რომ ეს ღონისძიებები რაც შეიძლება მალე გატარდეს ცხოვრებაში და ბოლო მოეღოს ამიერ-კავკასიის მესაქონლეობის უდიდეს უბედურებას.

7. საძოვრების საკითხი და გადასახლება. პლენუმს საჭიროდ მიაჩნია პირველ ადგილზე წამოაყენოს ეს საკითხი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ამიერ-კავკასიისათვის და დაევალოს სათანადო ორგანოებს დაუყოვნებლივ შეუდგენ მათ დამუშავებას. გადასახლების საკითხში მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ის მოსაზრებანი, რომლებიც გამოთქმული იყო ამიერ-კავკასიის ცაკის და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტში.

რაც შეეხება საძოვრების საკითხს, აქ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს გეზის აღება იმაზე, რომ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობა გადაყვანილ იქნას მკვიდრ დასახლებაზე.

წყალთა მეურნეობა

1. საორგანიზაციო საკითხები

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გაკეთებულ მითითებათა მიხედვით საჭიროა მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყველა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, კერძოდ გარკვევით უნდა იქნას განაწილებული მუშაობა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსა და წყალთა მეურნეობის რესპუბლიკანურ სამმართველოებს შორის.

2. გეგმის აგება

1. გეგმის აგებას საფუძვლად უნდა დაედოს მჭიდრო მიზნობრივი კავშირის დამყარება წყალთა მეურნეობისა და სახელექტროფიკაციო მშენებლობის შორის.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებულ სარწყავ სისტემების რეკონსტრუქციას.

3. პირველ რიგში გეგმაში შეტანილ იქნას ახლო მომავალ ყველაზე უფრო იაფი და უფრო რენტაბელური ობიექტები.

4. მაქსიმალურად იქნას შემცირებული ვადები იმ სამუშაოთა მშენებლობისა, რომლებიც ამჟამად სწარმოებს.

5. განისაზღვროს გეგმაში შესატან სამუშაოთა ტიტულების რაოდენობა და სასწრაფოდ იქნას შესრულებული გეგმაში შეტანილი სამუშაოები.

6. საოპერაციო გეგმაში სამუშაოები შეტანილ იქნას წინასწარი პროექტების მიხედვით, რომლების წარდგენა უნდა ხდებოდეს დაწესებულ ვადებში.

7. ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფლება აქვს ფაქტიურად შეამოწმოს როგორც საოპერაციო გეგმის შედგენა, ისე პროექტების მომზადება.

8. ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ უნდა გააძლიეროს და დააჩქაროს სამეცნიერო-გამოკვლევითი სამუშაოები.

9. დაევალოს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს რაც შეიძლება ჩქარა შეადგინოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის წყალთა ყველა რესურსების გამოყენების გენერალური გეგმა.

3. გეგმის შესრულება

1. საოპერაციო გეგმაში სრულებით არ უნდა იქნას დაშვებული უტიტულო და პირობითი ასიგნებანი.

2. უნდა გამომუშავებულ იქნას მუშაობის გარკვეული განაწილება კვარტალებზე და ამასთან შეფარდებით ფინანსების მიწოდების გარკვეული ვადები.

3. დაევალოს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკანურმა სამმართველოებმა კრედიტები არ გადაიტანონ სხვა ტიტულებზე და სხვა რაიონებზე.

ელექტროფიკაცია

იმ მიზნით, რათა აღმოფხვრილ იქნას უმთავრესი დეფექტები მომავალ სახელექტროფიკაციო მუშაობაში, რაიონულ, ადგილობრივ და სასოფლო სადგურების მიმართ უნდა დაისახოს შემდეგი ამოცანები.

ა) რაიონულ ცენტრალების მიმართ:

ა) თავის დროზე უნდა იქნას შედგენილი მომავალი წლის საწარმოო პროგრამები და დასაბუთებულ იქნას 1928—29 წლის საკონტროლო ციფრები იმ სადგურებისათვის, რომლებიც ამჟამად შენდება (რიონჰესი და ძორაჰესი) და

ბ) დაჩქარებულ იქნას დამუშავებული აზერბაიჯანის ცენტრალური სადგურის ეკონომიური დასაბუთება, მოხმარების გეგმა, საპროექტო ცნობები და ფინანსების მიწოდების პროგრამა, რათა შესაძლებელი იქნეს აღნიშნული ტიტულის შეტანა მომავალი წლის საკონტროლო ციფრებში.

ბ) საშუალო ძალოვნობის ადგილობრივი სადგურების მიმართ მიზნად დაისახოს პირველი რიგის სამუშაოთა აუცილებლად დამთავრება და დაწესებული ძალოვნობის შემდგომი გაფართოების უზრუნველყოფა მომხმარებელთა ერთდროულად მომზადებით.

ამასთანავე საკონტროლო ციფრებში ახალი ადგილობრივი სადგურების ვარაუდის შეტანა დასაშვებად ჩაითვალოს მხოლოდ იმ პირობით, თუ არსებობს დამუშავებული და შემოწმებული პროექტი და ხარჯთაღრიცხვა და დამტკიცებულია განზრახული სადგურის ეკონომიური მიზანშეწონილობა.

გ) სოფლის ელექტროფიკაციის მიმართ:

ა) უნდა აღებულ იქნას გეზი იმისაკენ, რომ ელექტრო-ენერგიის მოხმარება სოფლად განვითარდეს არა მარტო ყოფაცხოვრებითი საჭიროებისათვის (სახლების, ეზოების, ქუჩების განათება), არამედ, უმთავრესად, სამეურნეო პროცესებისათვის და შინამრეწველობისათვის (მცირემოტორიანი დატვირთვა), აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ მრეწველობაშიაც.

ბ) სოფლის ელექტროფიკაციისათვის ენერგიის წყაროებად პირველ რიგში უნდა გამოყენებულ იქნას არსებულ სადგურების ელექტროგადაცემათა ქსელები და ელექტრო-სადგურების აგების შესაძლებლობანი სამეურნეო ამოცანების კომბინაციურად გადაჭრის დროს (სარწყავ არხებზე გადაშვება, თბური პროცესების ნარჩენი ენერგია და სხვ.).

დ) საერთო ამოცანად მთელი ელექტრომშენებლობისათვის უნდა ჩაითვალოს ფინანსების მიწოდების რეალურ გეგმების შემუშავება ადგილობრივ საშუალებათა მხედველობაში მიღებით (განსაკუთრებით სოფლის ელექტროფიკაციის დარგში) და საამშენებლო სამუშაოთა მაქსიმალური გაიაფება.

ე) აგრეთვე გეგმიანი წესით უნდა დაისახოს და სისტემატიურად განხორციელდეს ენერგიული რესურსების ძიებისა და გამოკვლევის ამოცანა, რათა თავის დროზე, გეგმაშეწონილად და ყოველმხრივ იქნას მომზადებული და დამუშავებული მასალები ყველაზე უფრო ეკონომიური და რენტაბელური მეორე რიგის ელექტროსადგურების პროექტების შესადგენად.

მრეწველობა

მრეწველობის საკითხებზე პლენუმი გამოსთქვამს შემდეგ დებულებებს:

1. მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები, რათა განხორციელდეს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის კომორგანიზაციების მე-4 ყრილობის დადგენილება ამიერ-კავკასიის მრეწველობის ცენტრის შექმნის შესახებ. ამიტომ ახლავე ჩატარდეს მოსამზადებელი ღონისძიებები სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შესაქმნელად იმ ანგარიშით, რომ მისმა აპარატმა მუშაობა დაიწყოს 1928 წლის 1 ოქტომბრიდან.

2. დაევალოს რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებს შეასრულონ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა დირექტივები როგორც ხუთწლიანი, ისე ოპერატიული გეგმების შედგენის დარგში.

3. დაწესებულ იქნას, რომ არც ერთი გეგმა და არც ერთი განცხადება არ შეიძლება გადაიგზავნოს საკავშირო ცენტრებში, თუ წინასწარ არ იქნა განხილული და დამტკიცებული ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ორგანოებში.

1928-29 წლის ბიუჯეტი

ბიუჯეტის შესახებ პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება.

1. უნდა მიღებულ იქნას ზომები დეფიციტიანობის აღმოსაფხვრელად ან მაქსიმალურად შესამცირებლად.

2. საჭიროა გაძლიერებულ იქნას ფინანსების მიწოდება მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობისათვის.

3. ჩატარებულ იქნას ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემდგომი შემცირება აპარატის რაციონალიზაციის საფუძველზე.

4. გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტში განსაკუთრებული ფონდი სტიქიურ უბედურობებთან საბრძოლველად, რომლებიც ყოველ წელს მეორდება და უდიდეს ზარალს აყენებს ამიერ-კავკასიის მეურნეობას.

საქონლის ბრუნვა

1. ვინაიდან ძირითად ამოცანას საქონლის ბრუნვაში წარმოადგენს ბაზრის წონასწორობის დაცვა, რომლის მიღწევა მხოლოდ საგეგმო დისციპლინის სასტიკი დაცვით შეიძლება, წინადადება მიეცეს ყველა სათანადო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს (ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციები, კოოპერაცია მომავლისათვის სასტიკად დაიცვან გეგმების გატარება და შედგენის ყველა დაწესებული ვადები და მოთხოვნილებანი.

2. საჭიროდ ჩაითვალოს თანდათანობითი ზომების მიღება იმისათვის, რომ დაშვებული არ იქნას სამრეწველო საქონლის შემოზიდვის შემდგომი შემცირება ამასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის მეხუთე კვარტალში საბჭოთა კავშირში შეიქმნა საქონლის მარაგი.

3. ჩაითვალოს, რომ ამიერ-კავკასიაში ბაზრის შემდგომი ორგანიზაციის ერთერთ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს საქონლის წესიერი განაწილების სისტემის შემოღება ქალაქსა და სოფელს შორის. ამასთან დაკავშირებით მომწესრიგებელ ორგანოებისა და კოოპერაციის წინაშე დასახულ იქნას ამ საკითხის სერიოზულად შესწავლის ამოცანა, წინადადება მიეცეს მათ მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ უკვე მიმდინარე წელში შესაძლებელი იქნეს საქონლის განაწილების სისტემის გაუმჯობესება.

4. ამასთან ერთად საჭიროდ ჩაითვალოს ზრუნვა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საერთო სავაჭრო-ფინანსიურ გეგმის შესადგენად 1928—29 წლისათვის ისეთი ანგარიშით რომ ამ გეგმის განხილვა სათანადო უმაღლეს ორგანოებმა შესძლონ მომავალ სამეურნეო წლის დასაწყისში.

ძირითად სასურსათო საქონლის ბაზრის მოწესრიგებისათვის მისაღებ ღონისძიებები განისაზღვრება შემდეგით:

ა. პურის დამზადების დარგში

1) უნდა მივაღწიოთ ამას, რომ ცენტრმა პურის მიწოდების მხრივ ამიერ-კავკასია აღიაროს სპეციალურ ნედლეულის რაიონად, რომლისათვისაც პურის მიწოდება უნდა ტარდებოდეს ნედლეულის დამამზადებელ რაიონებისთვის არსებულ საერთო საფუძვლების მიხედვით და დამზადებათა მოცულობასთან სასტიკი შეფარდებით.

2) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაონ პურის და საკვების 1928—29 წლის ბალანსის თავის დროზე და სწორად გამოანგარიშებისათვის.

3) წინადადება მიეცეს სათანადო ორგანიზაციებს უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ კოოპერატიულ პურის ცხობის საკითხის საორგანიზაციო და ტექნიკურ მხარეს.

4) მიზანშეწონილად ჩაითვალოს სამომხმარებლო კოოპერაციის მონაწილეობის შემდგომი გაფართოება ამიერ-კავკასიაში პურის პროდუქტების შემოზიდვაში.

ბ. ხორცის და სხვა სასურსათო პროდუქტების მიწოდების დარგში

საჭიროა ყველა ღონისძიებანი გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ ამ ბაზარზე გადიდდეს განსაზოგადოებული სექტორის როლი და სასტიკად იქნას მოწესრიგებული ფასები, წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის კოოპერაციას (სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო) უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ სასურსათო საქონლის ბაზარს; ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა თავის დროზე მიიღოს ზომები იმისათვის, რომ გეგმიანად მოეწყოს აღნიშნული საქონლის დამზადება და ამიერ-კავკასიის ქალაქებისათვის მიწოდება.

სამრეწველო ნედლეულის ბაზრის ორგანიზაცია

აღინიშნოს, რომ ეს ამოცანა არ შეიძლება განსაზღვრულ იქნას საგლეხო მეურნეობის ნედლეულის მხოლოდ რაოდენობით, თუნდაც გეგმიანი დაპყრობით, არამედ უნდა იწვევდეს განსაზოგადოებული სექტორის გავლენის გაძლიერებას წარმოების პროცესებზე.

ეს დებულება გვიკარნახებს იმას, რომ უაღრესად წინდახედულად მივუდგეთ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზრის ორგანიზაციას და გლეხობისათვის ძირითად სამრეწველო საქონლის, პურის და საჭირო ინვენტარის მიწოდებას. ამიტომ წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს 1928—29 წლის საგეგმო ვარაუდების შედგენის დროს საგლეხო პროდუქციის დაპყრობის დარგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ საკითხებს.

საამშენებლო მასალის ბაზრის მოწესრიგება

ვიღებთ რა მხედველობაში საამშენებლო მასალის ბაზრის სრულ მოუწესრიგებლობას, მთელ რიგ მთავარ საამშენებლო მასალის დეფიციტიანობას და საერთო სიძვირეს, აუცილებლად იქნეს მიჩნეული:

ა) გეგმიანობის შეტანა საამშენებლო მასალის რესპუბლიკებსა და მშენებლობის დარგებს შორის განაწილებაში;

ბ) დაგეგმილ მასალის ნომენკლატურების გაფართოება და ფასების ზედმიწევნით მოწესრიგება;

გ) ღონისძიებათა განხორციელება საამშენებლო მასალის ფასების დასაკლებად იმ ანგარიშით, რომ კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების ძირითადი დირექტივები ამ საკითხის შესახებ ა. კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში წელსვე შესრულებულ იქნეს;

დ) ღონისძიებათა გატარება ა. კ. ს. ფ. ს. რ. ისეთ საამშენებლო მასალის გამოსაკვლევად და შესასწავლად, როგორიცაა არტიკის ტუფა, კიზილგური და სხ., რომლებიც თუმცა ჯერ ჯერობით სამეურნეო ბრუნვის გარეშეა, მაგრამ რომლებიც დიდ ინტერესს წარმოადგენენ როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო ბაზრისათვის.

ექსპორტი

მიმდინარე პერიოდის მთავარ ამოცანად წინანდებურად რჩება ა. კ. ს. ფ. ს. რ. ექსპორტის მაქსიმალური გადიდება 1928—29 წლისათვის.

1. **აღინიშნოს,** რომ საექსპორტო საქონლის დამზადების საქმეში საკმაოდ არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივი და საბჭოთა ორგანიზაციები, კერძოდ, კოოპერაცია. კოოპერაციამ განსაკუთრებით დიდი როლი უნდა ითამაშოს გლეხური მეურნეობის ნარჩენების საექსპორტოდ დამზადებაში.

2. აღინიშნოს, რომ ადგილობრივ და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის გეგმებით და აგრეთვე ღონისძიებებით სასოფლო-სამეურნეო დარგში საკმაოდ არაა უზრუნველყოფილი ექსპორტის ინტერესები, კერძოდ ზოგჯერ ისეთი ღონისძიებებიც კი არ ტარდება, რომლებიც უმნიშვნელო ხარჯების გაღების დროს დიდ ეფექტს მოგვცემდა ექსპორტის გაძლიერების მხრით.

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს მიიღონ ზომები, რათა საექსპორტო თათბირებმა უახლოეს თვეების განმავლობაში შეადგინონ მათი მუშაობის გეგმები.

აღნიშნულ გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რომ აუცილებლად გამონახულ იქნეს:

ა) ექსპორტის ახალი მუხლები;

ბ) ღონისძიებები საექსპორტო საქონლის წარმოების გასადიდებლად;

გ) ღონისძიებები საექსპორტო საქონლის ღირსების მაქსიმალური გაუმჯობესებისათვის წარმოების რაციონალიზაციისა და ექსპორტისათვის ისეთი საუკეთესო წარმოების შერჩევის გზით, რომლებიც მაღალი ღირსების საქონელს უშვებენ;

დ) ღონისძიებები საექსპორტო საქონლის მაქსიმალური გაიაფებისათვის კალკულაციის ზედმიწევნით გადასინჯვით, ზედნადები ფასების შემცირებით და დამამზადებელი ბაზრის, კერძოდ საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზრის მთლიანად დაპყრობით;

ე) ღონისძიებები მეორეხარისხოვან საქონლის, კერძოდ საუტილიზაციო საქონლის (ძვალი, ჩვრები და სხ.) დამზადების გასაძლიერებლად, რომლებიც მნიშვნელოვან ეფექტს მოგვცემს ექსპორტის გაძლიერების დარგში.

4. 1928—29 წ. საექსპორტო გეგმის განხორციელების მიზნით, წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს დაავალონ ეკონომიურ საბჭოებთან არსებულ საექსპორტო თათბირებს საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ 1928—29 საექსპორტო საკონტროლო ციფრებთან შეფარდებით შემდეგი:

ა) სასწრაფოდ განიხილონ ყველა საექსპორტო დავალებები 1928—29 წლისათვის.

ბ) შეამოწმონ ამ დავალებების რეალობა;

გ) უზრუნველყონ საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარება.

5. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს მიიღონ ზომები, რათა:

ა) რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტები, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდების გეგმებისა და სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მისაწოდებლად განაწილებათა შედგენის დროს,—1928—29 წ. საექსპორტო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ჩაითვალოს გადაუდებელ და სასწრაფო ხარჯებად;

ბ) ამ ხარჯების დაფარვის გეგმები დამუშავდეს და არა უგვიანეს 1928 წ. 1 ოქტომბრისა დამტკიცდეს სათანადო წესით; ხარჯები უნდა დაიფაროს როგორც რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებით გაცემულ საშუალებებით, ისე სასოფლო-სამეურნეო კრედიტების გეგმის მიხედვით გაცემულ საშუალებებით.

6. სახალხო მეურნეობის იმ დარგების კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებულ საშუალებების რაც შეიძლება ნაყოფიერი გამოყენების მიზნით, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ექსპორტისათვის, და აგრეთვე ამ შენებლობის თავის დროზე განხორციელების მიზნით წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოებს თვალყური ადევნონ მას.

7. შემოღებულ იქნეს სამეურნეო ორგანიზაციების სასტიკი პასუხისმგებლობა დამზადებისა და საექსპორტო გეგმების შესრულებისათვის, კერძოდ, წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციას მიიღონ უფრო აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ ამოცანების განხორციელებაში.

ტრანსპორტის საკითხები

უახლოეს დროის მეორე მნიშვნელოვან ამოცანებიდან უნდა გამოიყოს: ა) საექსპორტო ნავთის გადაზიდვა, ბ) ახალი საგზაო მშენებლობა და გ) ავტოტრანსპორტის განვითარება

ა) ნავთის ექსპორტის რაციონალიზაცია

ამ საკითხში საჭიროდ იქნეს ცნობილი: ა) საექსპლოატაციო მიღწევების შესაძლებელ გადიდებისა, შრომის დისციპლინის გაძლიერებისა და სატრანსპორტო საშუალებების მეურნეობასთან ერთად მთელი რიგ მუშაობის შესრულება ნავთის მეტი რაოდენობით გადასაზიდად—რკინის გზის მეორე ლიანდაგის დაგებით, ახალი გადასასხმელების მოწყობით, კავშირის, სამნავთო მშენებლობის გაძლიერებით და სხვ.

ბ) დაჩქარებულ იქნეს მუშაობა საუღელტეხილო ზონის ელექტროფიკაციისათვის;

გ) გაძლიერებულ იქნეს სარემონტო სამუშაოები და დავალებებთან შეფარდებით უზრუნველყოფილ იქნეს გზა ვაგონების საკმაო რაოდენობით.

დ) „აზნავთმა“ ყურადღება მიაქციოს ბათუმის ნავთსადენის დაჩქარებით გაყვანას და ბათუმის ნავთის პროდუქტების გადასამუშავებელ ქარხნების აგებას, რომელთა წარმატებით დამთავრება მჭიდროთაა დაკავშირებული ნავთის ექსპორტის უზრუნველყოფის საკითხთან.

ბ) საგზაო მშენებლობა. 1) ახალი სარკინიგზო მშენებლობის დარგში მეორე ამოცანად უნდა ჩაითვალოს—მუშაობის ტემპის გაძლიერება შავი ზღვისა და ჯულფა-ბაქოს რკინის გზების დასამთავრებლად, რომელთაც მთელი კავშირისათვის დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა აქვს და რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან ობიექტებთან (ქვანახშირი, ტყე, ბამბა, სპილენძი და სხ.).

2) ამასთანავე ერთად მოხდენილ უნდა იქნეს სათანადო ეკონომიური და ტექნიკური გამოანგარიშება, რათა დასაბუთებულ იქნეს რკინიგზის შტოების გაყვანის სარგებლიანობა და მათი მიზანშეწონილად გამოყენება არსებულ და განზრახულ წარმოებებისათვის, რომლებიც მასიურ ტვირთებს იძლევიან. (მაგალითად, კატარის, ტყვარჩელის და დაშქესანის შტოები).

3) გარდა ამისა გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს ულიანდაგო გზების შენებლობას და ყოველნაირად დაჩქარებულ უნდა იქნეს გზატკეცილებისა და შარა-გზების ქსელის სრული აღდგენისა და გაუმჯობესების პროცესი.

მთიანი რესპუბლიკისა, მთებიდან წამოსული ნიაღვრების სახიფათო მოქმედებისა და რკინის გზების სიმცირის გამო კარგ გზატკეცილებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ (საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთან შედარებით) როგორც რკინის გზასთან მისასვლელ გზებს და როგორც სამაგისტრალო კავშირის დამოუკიდებელ გზებს (მაგალითად, საქართველოს სამხედრო გზა, შავი ზღვის მაგისტრალი, ნუხა-ევლახ-შუშის და ერევან-კამარლუ-გერიუსის გზები).

4) ამიტომ ადგილობრივმა ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ საგზაო საქმეს და მაქსიმალურად გამოიყენონ საგზაო მშენებლობისათვის ადგილობრივი საშუალებები (ადგილობრივი ბიუჯეტი, საგზაო გადასახადი, შრომის ბეგარა).

გზათა სახალხო კომისარიატმა თავის მხრივ მეტი საშუალებები უნდა გაიღოს საკავშირო მნიშვნელობის გზებისათვის და ფართოდ უნდა აწარმოოს ცდები გზების გაუმჯობესებული მოკირწყვლის შემოსაღებად (გუდრონი, ბეტონი და სხ.)

გ) ავტოტრანსპორტი. 1) საგზაო მშენებლობის გაძლიერებასთან ერთად სათანადოთ უნდა განვითარდეს აგრეთვე ავტოტრანსპორტი ამიერ-კავკასიაში.

2) ავტოტრანსპორტის მშენებლობის დარგში საჭიროა გადაჭრით იქნეს აღებული რაციონალიზაციის კურსი. ამ მიზნით უნდა გაძლიერდეს დარგისათვის ფინანსების მიწოდება, უნდა გადიდდეს და მოწესრიგდეს ტრანსპორტის სათადარიგო ნაწილებით მომარაგება, უნდა მოხდეს ავტო-მანქ. მასიური რემონტის საქმის რეორგანიზაცია და მოგვარდეს ახალი მანქანების მიღება და განაწილება საავტომობილო პარკისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოღვაწეობის ინტენსიური და ფართო განვითარება ამიერ-კავკასიაში მოითხოვს, რომ ამიერ-კავკასიის კოოპერაცია გაერთიანდეს ამ.-კავკასიის მასშტაბით არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ სამეურნეო მხრითაც.

2. თავისი ორგანიზაციული ფუნქციები „ზაკსელსოიუზ“-მა პირველ რიგში უნდა განავითაროს შემდეგი მიმართულებით:

ა) შეისწავლოს ცალკე რაიონებისა და ორგანიზაციების გამოცდილება და ეს გამოცდილება გაუზიაროს ამიერ-კავკ. რესპუბლიკებს.

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელი სისტემის მუშაობაში „ზაკსელსოიუზ“-მა უნდა შეიტანოს გეგმიანობა, ცალკე რესპუბლიკების გეგმები დაუკავშიროს ერთმანეთს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გეგმები შეუთანხმოს ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის საერთო გეგმას.

გ) ჩამოაყალიბოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ სახელმწიფო მრეწველობასა და სხვა კოოპერატიულ სისტემებთან დადებულ გენერალურ ხელშეკრულებების პრინციპები.

დ) განისაზღვროს ფუნქციები სასოფ.-სამეურნეო კოოპერაციის ცალკე შტოებს შორის;

ე) შეუთანხმოს და მოაწესრიგოს სასოფლო-სამეურნ. კოოპერაციის ურთიერთობა სასოფლო-სამ. კრედიტის სისტემასთან.

ვ) დაიცვას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტერესები ამიერ-კავკასიის შესაფერ ორგანოებში.

3. დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს განიხილოს „ზაკსელსოიუზ“-ის სამეურნეო ფუნქციებისა და მათი დაჩქარებით განხორციელების საკითხი.

რაიონებათ დაყოფა

ვიღებთ რა მხედველობაში ამიერ-კავკასიის რაიონებად დაყოფის დიდ მნიშვნელობასა და აუცილებლობას ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების უფრო რაციონალურად მოწყობის მიზნით და აგრეთვე მთელი ქვეყნის ხუთი წლის განმავლობაში რაიონებად დაყოფის დამთავრების აუცილებლობის შესახებ მე-15 პარტყრილობის მიერ გამოტანილ დადგენილებათა შესრულების მიზნით.

1. აუცილებლად იქნეს ცნობილი ამიერ-კავკ. რესპუბლიკების რაიონებად დაყოფის პროექტის შედგენა და დასამტკიცებლად გადაცემა ა. წ. 1 ოქტომბრისათვის.

2. რაიონებად დაყოფის დროს: ა) ამიერ-კავკასია განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთი ეკონომიური ოლქი, ბ) თვით რაიონებად დაყოფა გათვალისწინებულ უნდა იქნეს რესპუბლიკებს შიგნით (მათ ფარგლებში), გ) რესპუბლიკებს შიგნით არსებულ ადმინისტრატიულ ერთეულების განმტკიცების მიზნით რაიონებად დაყოფის სისტემა ასეთი უნდა იქნეს: რესპუბლიკა-ოლქი-რაიონი-სოფლის საბჭო.

3. პროექტის შესადგენად ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოსთან შეიქმნეს სპეციალური კომისია, რომელსაც უფლება ექნება მოიწვიოს მცოდნე პირები საკითხის დასამუშავებლად.

გეგმიანი მუშაობა

გეგმიან მუშაობის ნაკლთა თავიდან აცილების მიზნით საჭიროა შემდეგი ზომების მიღება.

1. ყველა სახელმწიფო საგეგმო კომისიები — ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანური — უნდა შეადგენდენ ერთ გეგმიან სისტემას და ერთმანეთს უნდა დაუკავშირდნენ არა მარტო მეთოდებითა და მუშაობის ხასიათით, არამედ ორგანიზაციულადაც.

2. ამ თვალსაზრისით რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები უნდა დაექვემდებარონ თავისი რესპუბლიკის სახკომსაბჭოსა და ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

3. სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა უმთავრესად ყურადღება უნდა მიაქციონ გეგმიანი ხასიათის ამოცანებსა და სამეურნეო ხასიათის ისეთ საკითხებს, რომელთაც დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის და სოციალურ-სამეურნეო რეკონსტრუქციისათვის.

4. ამ მიზნით სახელმწიფო საგეგმო კომისიები უნდა განიტვირთონ მიმდინარე ყოველდღიურ მუშაობისაგან.

5. ვინაიდან სახელმწიფო საგეგმო კომისიაში ირჩევა დიდი სამეურნეო მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც თავისი ეკონომიური და ტექნიკური ხასიათით საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის აპარატი ისე უნდა გარდაიქმნას, რომ შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა სპეციალისტების გამოყენება, რათა ისინი არ იქცნენ მუდმივ [illegible] სახელმწიფო საგეგმო კომისიის აპარატში.

6. ასეთი ორგანიზაცია მოითხოვს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მცირერიცხოვან, მაგრამ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების კადრის შექმნას, რომლებიც კარგად ერკვევიან ჩვენი მეურნეობის ძირითად საკითხებში, საჭიროა აგრეთვე ამ სპეციალისტებთან ერთად პერიოდულად ან საჭიროების მიხედვით საექსპერტო საბჭოების მოწვევა.

7. საექსპერტო საბჭოებში უნდა შედიოდნენ ისეთი პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან უწყების საოპერაციო ან მომწესრიგებელ მუშაობასთან და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები და ცალკე სპეციალისტები.

8. ვინაიდან ამიერ-კავკასიაში თანდათან აუცილებელი ხდება მრეწველობისა, სასოფლო მეურნეობისა, კოოპერაციისა და სოციალურ-კულტურულ საკითხების მოწესრიგება საგეგმო ორგანოების მხრით, ამიტომ საჭიროა სამრეწველო და სას.-სამ. სექციების შემადგენლობის გაძლიერება და სექციების შექმნა კოოპერაციისა და სოციალურ-კულტურულ საკითხებზე.

9. საჭიროა მოუწოდოთ ყველა ორგანიზაციებს გეგმიანობის დისციპლინის განხორციელებისაკენ.

10. ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა ეკონომიური თვალსაზრისით განხილულ უნდა იქნეს როგორც მთელი ამიერ-კავკასიის ერთი მთლიანი გეგმა რომელიც, როგორც ცალკე ნაწილი, თავისი სპეციალური მხარეებით და თავისებურობებით შედის საბჭოთა კავშირის საერთო გეგმაში.

11. სახელმწიფო საგეგმო კომისიების უახლოეს საორგანიზაციო ამოცანას უნდა შეადგენდეს მათ შორის ფუნქციებისა და კომპეტენციების განაწილება.

12. ვინაიდან მეურნეობის რეკონსტრუქცია მოითხოვს როგორც ქვეყნის საწარმოო ძალების, ისე ახალი მასალებისა და შესაფერ ტექნოლოგიური პროცესების შესწავლას, ამიტომ პლენუმს საჭიროდ მიაჩნია ენერგიული ზომების მიღება შესაფერ სამეცნიერო დაწესებულებების მოსაწყობად.

სად მივიდნენ?

რედაქციისაგან: რედაქცია ბეჭდავს გ. ზინოვიევის წერილს როგორც დოკუმენტს, რომელიც ზედმეტჯერ ნათელყოფს ყოფილ ოპოზიციის სრულ იდეურ დაშლას საკავშირო კომპარტიასა (ბ) და კომინტერნში.

გერმანიაში 1928 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში მეორე პარტია ჩამოყალიბდა „ლენინბუნდის“ (ლენინელების კავშირის“) სახით. ამრიგათ მასლოვ - რუტ ფიშერ - ურბანსის ჯგუფში გაიმარჯვა იმ „მიმართულებამ“, რომელიც სრულიათ უკულმართ გზაზე დგება.

საჭირო არ არის კაცი წინასწარმეტყველი იყოს, რომ ამთავითვე განსჭვრიტოს ამ მეორე „პარტიის“ სრული იდეური და პოლიტიკური მარცხი. კიდევ უფრო ნაკლებ საეჭვოა, ის, რომ ასეთი მარცხი მოელის ამ ტიპის „მემარცხენე“ კომუნისტების ყოველ ცდას — საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზაციულათ დაირაზმონ „მეოთხე ინტერნაციონალში“ და სხ... საკმაოა გავიხსენოთ კომინტერნის წინანდელი ისტორია, რომელიც მდიდარი იყო მთელ რიგ ჯგუფთა განდგომითა და გაკოტრებით, რათა ყოველი იჭვი გაგვეფანტოს ამ მხრით.

კომინტერნის თითქმის ათი წლის არსებობის ხანაში მას რამდენიმე ათეული ჯგუფი დაშორდა — და შექმნილ საერთაშორისო პირობებში უნდა აუცილებლად დაშორებოდა, — როგორც მარჯვნივ, ისე „მარცხნივ“. ცხადია, რომ ვინც მარჯვნით იხრებოდა, იგი ფაქტიურათ სოციალ - დემოკრატიისკენ და მისი შემწეობით ბურჟუაზიისკენ მიდიოდა. საკმაოა გავიხსენოთ ჩუნდ ლევის ჯგუფი გერმანიაში, ფროსარის საფრანგეთში, ხეგლუნდისა შვეციაში, ვინკოპისა ჰოლანდიაში, შეფლოსი ნორვეგიაში, ტან პინსიანისა ჩინეთში. მაგრამ პოლიტიკურად აუცილებელი აღმოჩნდა ისიც, რომ იმ ჯგუფებმაც (ან ცალკე პირებმა), რომელნიც კომინტერნს ეთიშებოდნენ და თითქო „მარცხნივ“ მიდიოდნენ, გამოუკლებლივ პოლიტიკური მარცხი განიცადეს და გამოუკლებლივ ნამდვილათ, თავიანთი სურვილების დამოუკიდებლათ, კონტრ - რევოლიუციონური სოციალ - დემოკრატიის იარაღად გადაიქცნენ მსოფლიო ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

აღვნიშნოთ რამდენიმე მაგალითი.

ჰოლანდიელი მარქსისტის ჰერმან ჰორტერის ჯგუფს უეჭველად უდიდესი დამსახურება მიუძღოდა მსოფლიო მუშათა მოძრაობის წინაშე. ბევრს ახსოვს ჰორტერის მშვენიერი წიგნი, ომის დროს დაწერილი, რომელიც ლენინმა ძლიერ შეაქო. ჰორტერი რამდენიმე წლის განმავლობაში კომინტერნში შედიოდა და მარჯვეთ ებრძოდა ოპორტუნისტებს. მაგრამ 1921 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავიდა, ჰორტერმა კომინტერნს კრიტიკის წარმოება დაუწყო მარცხნიდან. მან (ცნობილი „ღია წერილით“ მიმართა ლენინს. მისი პოზიცია თითქო „უკიდურესი მემარცხენე“ იყო. ამ ღია წერილში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მთელი სიბრძნე მომავალ „უკიდურეს მემარცხენე“ ჯგუფებისა. ჰორტერი სათავეში ჩაუდგა „გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას“ და შემდეგ მასთან ერთათ გავიდა კომინტერნიდან. ჰორტერი პირადათ უმწიკვლო რევოლიუციონერი იყო (იგი 1924 წელს გარდაიცვალა); იგი გულწრფელად თავდადებული იყო მსოფლიო პროლეტარიატისა და რუსეთის რევოლიუციისთვის, მაგრამ ამ რევოლიუციის განვითარების კანონები ვერ გაიგო. ჰორტერის დამსახურება აუცილებელია. მაგრამ მისმა ჯგუფმა, რომლის ნამსხვრევები დღესაც არსებობს, მაინც მარცხი განიცადა და ფაქტიურათ მხოლოდ დახმარება გაუწია სოციალ - დემოკრატიას იმით, რომ გამოეთიშა კომინტერნს და შეეცადა მეორე კომუნისტური პარტია შეექმნა.

ჰორტერის მაგალითი განსაკუთრებით უნდა დაიმახსოვრონ იმ „მემარცხენე“ მუშებმა გერმანიაში, რომელთაც დღეს ჰგონიათ, რომ როცა ისინი მეორე „პარტიის“ დაარსების გზას ადგებიან, ამით სპარტაკელების კვალს მიჰყვებიან: როგორც ცნობილია ამ უკანასკნელებმა თავის დროზე „პატარა“ კომუნისტური პარტია დაარსეს გერმანიის „დიდი“ სოციალ - დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ომის დროს ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა. ნამდვილად კი გერმანიის მემარცხენეები დღეს ჰორტერის გზით მიდიან და ეს — **საუკეთესო** შემთხვევაში!.

სხვადასხვა ვარიანტით იგივე მოუვიდათ დანარჩენ „მემარცხენეებსაც“. ამერიკის „მშვიდობიანობის კავშირის“ სამრეწველო მუშები“ თითქოს „მარცხნივ“ წავიდნენ კომინტერნისაგან (რომელსაც ისინი ერთ დროს ემსახურებოდნენ როგორც თანამგრძნობნი), მაგრამ ნამდვილათ კი ანტი - რევოლიუციური ჯგუფის როლს ასრულებენ, პროლეტარიატის დიქტატურას ებრძვიან და საბჭოთა კავშირს ცილს სწამებენ.

ნორვეგიის მუშათა პარტიაც „მემარცხენე“ ტრანმელის მეთაურობით თითქოს „მარცხნივ“ წავიდა კომინტერნიდან. გათიშვის საბაბი ის იყო, რომ ტრანმელსა და კომპანიას არ სურდათ გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკა აღიარებიათ. მაგრამ ეს „მემარცხენეები“ ჩქარა სოციალ - დემოკრატიას შეუერთდნენ და ჩვეულებრივ სამინისტრო მოჩრჩილ სოციალ - დემოკრატიულ პარტიად იქცნენ.

ბოლოს გავიხსენოთ, რომ თავდაპირველათ ფროსარიც „მემარცხენე“ დროშით განშორდა კომინტერნს: ესაო და არ შემიძლია საერთო ფრონტის ტაქტიკას შეუერთდეო, მაგრამ ამან მას ხელი არ შეუშალა ნაღდ მემარჯვენე საპარლამენტო „სოციალისტად“ და „საქმის კაცად“ გადაქცეულიყო. აღარას ვამბობთ ისეთ „რევოლიუციონერებზე“, როგორიც არიან კორში, კაცი და მათი მომხრეები. მათ პირდაპირ „მსოფლიო რეკორდი“ დაადგინეს იმ სიჩქარით, რომლითაც უკიდურეს მემარცხენე „რევოლიუციონერების“ გადაქცევა ხდება ნამდვილ კონტრ - რევოლიუციონერებად.

რა დროშითაც არ უნდა შეიქმნეს მეორე პარტია კომინტერნის წინააღმდეგ, იგი ყოველთვის გამოეთიშება მსოფლიო ბოლშევიზმს და ფაქტიურად სოციალ - დემოკრატიის დამქაში გახდება.

კომინტერნის ისტორია აღსავსეა შინაური ბრძოლით. უკანასკნელი ორი-სამი წელი განსაკუთრებით გამძაფრებული შინაური ბრძოლით იყო აღსავსე. თვით კომინტერნის ფარგლებში შესაძლებელიც არის და საჭიროც თავისი აზრისთვის ბრძოლა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კომინტერნიდან გასვლა, „თავისი“ საკუთარი პარტიის შექმნა კომინტერნის წინააღმდეგ; ეს ნიშნავს სოციალ - დემოკრატიისკენ წასვლას. შეიძლება „მემარცხენეებმა“, სთქვან, ჩვენ კი „არ წავსულვართ“ კომინტერნიდან, არამედ იქიდან „წაგვესხეს“, გამოგვრიცხეს და ამიტომ „მეტი გზა არ გვქონდა“, „თავიანთ“ საკუთარ პარტიაში უნდა დავრაზმულიყავითო. დაე, გერმანელმა „მემარცხენეებმა“ გაიხსენონ, რას სწერდა ლენინი „წერილში გერმანელ კომუნისტებისადმი“ პაულ ლევის გამორიცხვის შემდეგ. ლენინი პირდაპირ ამბობდა: „თუ ლევი ამის შემდეგაც წინანდებურათ მოიქცევა, იგი დაამტკიცებს, რომ მისი გამორიცხვა მართებული ყოფილა“-ო. (XIII, ნაწ. 1, 346—347.) და ლევიმ, როგორც ცნობილია, მთელი თავისი მოღვაწეობით მართლაც დაამტკიცა, რომ მისი გაძევება მართებული ზომა იყო.

* * *

სად მიდიან ახლა გერმანელი „მემარცხენეები“?

ჩვენს წინაშე ძევს ბროშიურა შემდეგი სათაურით: „მემარცხენე კომუნისტების ამოცანები. მემარცხენე კომუნისტების სრულიად გერმანიის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ლენინელების კავშირის ორგანიზაციის მოსაწყობათ“. ამ ბროშიურაში ყოველმხრივათაა გადმოცემული „მემარცხენეების“ მეორე პარტიის ახლანდელი პლათფორმა. გავარჩიოთ მისი უმთავრესი ნაწილები.

უწინარეს ყოვლისა თვალში გვეცემა ის ფაქტი, რომ **მეორე პარტიის დაარსება თითქო რაღაც შეპარვით ხდება.** ჯგუფის ბელადები ვერ ბედავენ პირდაპირ იმის თქმას, რომ საქმე სწორეთ მეორე პარტიის დაარსებას ეხება.

განცხადებაში თავისი „კავშირის“ დაარსების შესახებ დამფუძნებლები სწერენ: „ჩვენ არ ვიგონებთ არავითარ ახალ პროგრამას, **არ ვქმნით არავითარ ახალ პარტიას**“. (გვ. 5.) „ასეთი ორგანიზაცია **არ უნდა** (!) გადაიქცეს მეორე პარტიად“ (გვ. 34).

წერილში „ლენინელების კავშირის დამფუძნებელ კრებისთვის“ ისინი ამბობენ:

„ეწყობა თუ არა ლენინელების კავშირი როგორც ახალი პარტია? ადგენს თუ არა იგი ახალ პროგრამას? მიისწრაფვის თუ არა გერმანიის კომპარტიის ლიკვიდაციისკენ?

— არა, არა და ერთხელ კიდევ არა“! („კომუნიზმის დროშა“ № 14).

რამდენადაც უფრო გულმოდგინედ „ფიცულობენ“, „მემარცხენეების“ ბელადები, მით უფრო ნათელია, რომ ისინი სწორედ მეორე პარტიას ჰქმნიან.

ნეტავ რატომ არ მოსწყინდათ ეს ფიცი!

ეს ადამიანები აარსებენ განსაკუთრებულ ორგანიზაციას („კავშირი“-ს კეთილხმოვანი სახელწოდებით), ჰქმნიან, სადაც შეუძლიათ ამ ორგანიზაციის ადგილობრივ განყოფილებებს, იწვევენ სრულიად გერმანიის კონფერენციებს, ხელს აწერენ თავიანთ დადგენილებებს „მემარცხენე კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის სახელით“, ღებულობენ ოცდაათ მუხლიან წესდებას, რომელიც როგორც წყლის ორი წვეთი ჰგავს ნამდვილი პარტიის წესდებას, ადგენენ — რეიხსტაგის საყოველთაო არჩევნებში თავიანთი საკუთარი კანდიდატები წამოაყენონ პარალელურათ. და ყოველივე ამის შემდეგ მაინც სწერენ: „ეს მეორე პარტია როდია“, „შეუძლებელია პარტიის მთლიანობის საკითხი სქემატიურათ დაისვას“-ო. (გვ. 29). რაღა „სქემატიზმზე“ შეიძლება აქ ლაპარაკი!

მასლოვის ორგანო („კომუნიზმის დროშა“, № 10), მაინც კიდევ ფიცულობს“. „როგორც მემარცხენეთა კონფერენციის რეზოლიუცია სრულიად კატეგორიულად აცხადებს, ლენინელთა კავშირი ახალი პარტია არ არის“. „რომ ჩვენ ახალი პარტიის დაარსება გვდომებოდა, წინადადებას მივსცემდით ყველა ჩვენ თანამოაზრის გერმანიის კომპარტიიდან გამოსულიყვნენ“. მაგრამ ვისთვის იწერება ასეთი... „გულუბრყვილო“ ამბები?

„ჩვენს ორგანიზაციას გარდამავალ ფორმათ ვსთვლით“ (ეს ნაკლებ მორცხვი ხაზი თვით ავტორების მიერ არის გასმული). ან გერმანიის კომპარტია კურსს შეიცვლის და მაშინ ხელახლა შეუერთდებით, ან კიდევ იგი ამას არ იზამს და მაშინ ლენინელების კავშირის „**ამოცანა იქნება ყველა კომუნისტები შეაკავშიროს კომუნისტურ პარტიაში**“-ო. (ხაზი გასმულია ავტორების მიერ). (იქ. გვ. 79).

აი რას ნიშნავს მეორე პარტიის აშენება შეპარვით.

ასე არ მოიქცევა ის, ვისაც თავისი პოლიტიკური სიმართლე სწამს. ასე იქცევა მხოლოდ ის, ვისაც უნდა თავისი მომხრეები, რომელთაც მეორე პარტიის პერსპექტივა აფრთხობს, უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენოს.

* * *

მაგრამ სახელდობრ რით, რა იდეური ავლა - დიდებით, რა პოლიტიკური მრწამსით მიდის ეს მეორე პარტია მუშებთან? მეორე პარტიის პროგრამა ბოლომდე გამოთქმული როდი არის. მაგრამ სრულიად საკმაოა ისიც, რაც დღეს უკვე „გამოთქმულია“.

თითქმის მთელი პროგრამა „მემარცხენეებისა“ ტრიალებს „რუსული“ საკითხის, ე. ი. საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გარშემო.

„ჩვენ მემარცხენე კომუნისტები დაღუპულათ არ ვსთვლით რუსეთის რევოლიუციას“-ო. (გვ. 27). მაგრამ... მაგრამ:

„კიდევ უფრო მეტი გაძლიერება ასეთი ტენდენციებისა (საბჭოთა კავშირში) ადრე თუ გვიან აუცილებლად ან გადატრიალებას და თეთრ რეაქციას გამოიწვევს, ან ქაოტიურ ანარქიას, იმპერიალისტურ ინტერვენციას, და, მაშასადამე, მძიმე კატასტროფას მსოფლიო პროლეტარიატისთვის“-ო. (გვ. 28).

„თუ დიდმა რევოლიუციურმა მოვლენებმა, რომელთაც ძლევამოსილი გამარჯვების ხასიათი ექნება მსოფლიო პროლეტარიატისთვის, ძირიანფესვიანათ არ შესცვალეს საბჭოთა რუსეთის განვითარება, საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) როგორც, პროლეტარული პარტია, და მასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფო აუცილებლათ დაიღუპებიან“-ო. (გვ. 23).

„ჩვენ, მემარცხენე კომუნისტები, უკუვაგდებთ (!) მეორე რევოლიუციას, ე. ი. სამოქალაქო ომის ლოზუნგს ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ“-ო. (გვ. 14).

„პროლეტარული დიქტატურა გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელია. სოციალიზმში გადასვლა სწარმოებს, თუ პროლეტარიატის პოლიტიკური ხელისუფლება სრულიად უზრუნველყოფილია, თუ სამეურნეო განვითარებისა და განსაზოგადოებული სამანქანო ინდუსტრიის შემწეობით შეიძლება მოსპობილ იქმნას განსხვავება ქალაქსა და სოფელს შუა, თუ კლასობრივი განსხვავებანი ჰქრებიან და კლასთა გაქრობასთან ერთად სახელმწიფოც კვდება.

ასეთი გარდასვლა მთელს ეპოქას მოითხოვს.

მაგრამ დღევანდელ პერიოდში რუსეთში, რომელიც გარსშემორტყმულია მხოლოდ კაპიტალისტური სახელმწიფოებით და რომელსაც სხვა ქვეყნებიდან ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუცია არავითარ დახმარებას არ აწოდებს, **პირდაპირ საწინააღმდეგო ტენდენციები იჩენენ თავს**“-ო. (გვ. 18).

ასე აფასებს „მემარცხენე კომუნისტების“ პლათფორმა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მდგომარეობას.

„მემარცხენეები“ ყოველივე ამას, წარმოიდგინეთ, იმისთვის ამბობენ, რომ „ფეხზე დააყენონ მსოფლიო პროლეტარიატი და უწინარეს ყოვლისა კომუნისტები, რათა ხელი შეუწყონ რუსეთში პროლეტარული დიქტატურის აღდგენას. (!) რევოლიუციური აქტივობის გაძლიერებით საკუთარ ქვეყანაში“. (გვგ. 21). არც მეტი და არც ნაკლები! ეს ძალიან კარგი საშუალებაა „აქტივობის გაძლიერებისა“ — თქმა არ უნდა! ჯერ ცხადდება, რომ პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში არ არსებობსო, შემდეგ იწყება მისი „აღდგენა“ არაკების შემწეობით, რომ დღეს თუ არა ხვალ „თეთრი რეაქცია“ გაიმარჯვებსო: — ასეთია დღეს გერმანიის მეორე პარტიის „მემარცხენეობა“.

ეს ნამდვილათ სწორედ ისაა, რაც გერმანიის სოციალ - დემოკრატიას სჭირდება. — შეგიძლიათ თავისი თავი უკიდურეს მემარცხენედ ჩასთვალოთ. შეგიძლიათ თავის ორგანიზაციას მაღალფარდოვანი სახელები უწოდოთ. მაგრამ თუ თქვენ საბჭოთა კავშირს და სრულიად საკავშირო კომპარტიას ასეთი კრიტიკით უდგებით, თქვენ სოციალ - დემოკრატებს გვიწევთ დახმარებას! ასე მსჯელობენ სოციალ - დემოკრატიის ბელადები. და ისინი თავისებურად მართალნი არიან. სოციალ - დემოკრატიის ბელადები დიდი სიამოვნებით აპატიებენ მასლოვს ისეთ უგუნურ ყალბ ინტერნაციონალისტურ ფრაზას, რომ „ზემო აღნიშნულ განვითარებაში ბრალი დასავლეთ ევროპის მუშებს მიუძღვის, მათ ვერ შესძლეს თავიანთი ვალდებულების შესრულება“-ო (გვ. 20).

ეს დიდი აბდა-უბდაა, პატივცემულნო „მემარცხენენო“! დასავლეთი ევროპის მუშები თავიანთ მოვალეობას იხდიან. თქვენს საკუთარს დანაშაულს სხვებს ნუ აკისრებთ!

რაკი გერმანიის „მემარცხენეებმა“ ძირითად „საპროგრამო“ მუხლად სწორედ ის მიიღეს, რაც ყველაზე უფრო შემცდარი იყო ყოფილი ოპოზიციის ერთი ნაწილის აზროვნებაში (ყვირილი „ტერმიდორზე“), რაკი ეს შეცდომა ახალ გარემოში კიდევ უფრო „გააღრმავეს“, ისინი თავშეუკავებლათ დაეშვენ დაღმართში. ხოლო რაკი ერთხელ მეორე პარტიის დაარსების გზაზე შესდგნენ, კიდევ მეტის სიჩქარით მისრიალობენ ქვევით.

* * *

რა სისწრაფით მიჰქრის ეს ახალი პარტია პოლიტიკურ უფსკრულისაკენ, სჩანს იქიდან, თუ როგორ ეპყრობა იგი მიმდინარე პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საკმაოა რამდენიმე მაგალითის აღნიშვნა.

გავიხსენოთ ჟენევის განიარაღების კონფერენცია; გავიხსენოთ ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა განიარაღების პროექტით. მან საუცხოვოდ ამხილა იმპერიალისტები, უწინარეს ყოვლისა ინგლისის იმპერიალისტები. რა უნდა სთქვას ამის შესახებ ჭეშმარიტმა კომუნისტმა, თუნდ იგი უკიდურესი მემარცხენე იყოს? თითქო არაფერი გარდა მხარის დაჭერისა, გარდა ენერგიული ღონისძიების მიღებისა, რომ საბჭოთა წინადადებები მასსებში გავრცელდეს.

მაგრამ გზა - დაბნეული (და სინიდის გარეცხილი) „მემარცხენეები“ ასე როდი იქცევიან. სწორედ ამხ. ლიტვინოვის გამოსვლის გამო ისინი გაჰკივიან საბჭოთა კავშირის დაახლოვებაზე ერთა ლიგასთან; თუმცა ყოველი მიუდგომელი კაცი დაინახავს, რომ ეს ისეთი „დაახლოვებაა“, რომელიც ხდება, როცა პატიოსანი ადამიანი იძულებულია თავისი ხუთი თითი „დაუახლოვოს“ ამა თუ იმ გარეწარის ფიზიონომიას..

რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს ხმაურობა? 1916 წელში ლენინი ერთს წერილში განიარაღების ლოზუნგის შესახებ ამხილდა კაუცკისა და მის დამქაშების ილიუზიებს — თითქო განიარაღება შესაძლებელი ყოფილიყოს პროლეტარული რევოლიუციის გარეშე: ლენინი დასცინოდა ცენტრისტებს, რომელნიც იმპერიალისტებს ტკბილ პაციფიზმს უქადაგებდნენ; ლენინი ლაპარაკობდა მუშების შეიარაღების და ბურჟუაზიის განიარაღების აუცილებლობაზე. — ხოლო დღეს ხომ ლიტვინოვიც იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, ვითომ განიარაღებას უქადაგებს. განა ცხადი არ არის, რომ ეს „ღალატია“? ცხადი არ არის, რომ „თეთრი რეაქცია“ გვეელინება?..

ძნელი წარმოსადგენია, რომ „მემარცხენეებს“ მართლაც არ ესმოდეთ განსხვავება ლიტვინოვს და კაუცკის შორის. მასლოვისებური „მემარცხენეობა“ ხომ მართლაც მემარცხენეობის „საყმაწვილო“ სენს არ წარმოადგენს.

„ლიტვინოვი თუ ლენინი?“ ნუ თუ ურბანსს, მასლოვს და მათ მეგობრებს არ გაუგონიათ, რომ მთელი „პაციფისტური“ ტაქტიკა საბჭოთა დელეგაციისა გენუაში 1922 წელს ლენინმა განსაზღვრა და არსებითად სწორედ ისე განსაზღვრა, როგორც ამას ლიტვინოვი ჟენევაში ახორციელებდა 1928 წელს? ნუ თუ „მემარცხენეებმა“ არ იციან, რომ თვითონ ლენინი თანახმა იყო გენუაში წასულიყო ისეთი „დაახლოვების“ მისაღწევათ იმპერიალისტებთან, რომელიც“ ახლა ლიტვინოვმა განახორციელა?

„ლიტვინოვი თუ ლენინი?“ ნუ თუ „მემარცხენეებს“ მართლაც არ ესმით, რომ ლიტვინოვმა მშრომელთა ფართო წრეების წინაშე საუცხოვოდ **დაასურათა** სწორედ ლენინის ზემოაღნიშნული დებულებანი, **თვალსაჩინოთ დაამტკიცა** ლენინის ზემოაღნიშნული წერილის სისწორე?

პატიოსანი კომუნისტი, რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყანაში ცხოვრობს, ვალდებულია ამოცანად დაისახოს ლიტვინოვის გამოსვლების გამოყენება, რათა ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცოს ლენინის სიმართლე. ხოლო ადამიანი, რომელიც ფრაქციული გაბოროტების გამო სრულიად დაიბნა,

პარტიული ცხოვრება

ტროცკისტებს პარტიაში ადგილი არ აქვთ

ქვემოჩამოთვლილი პირნი გამორიცხულნი არიან საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგებიდან, როგორც ტროცკისტული ოპოზიციის მომხრენი:

ხონის ორგანიზაციიდან: ნადარეიშვილი არტემ კონსტანტინეს ძე, ვაჩილეიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე, დავითაია გიორგი დიმიტრის ძე, გაგუა მოსე ნიკოლოზის ძე, ნადარეიშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, დავითაია ბართლომე პეტრეს ძე, ლაბარტყავა ბარნაბ ილიას ძე.

თბილისის ორგანიზაციიდან: ოქრუაშვილი არაქელი გრიგორის ძე, კალანდაძე ელიზბარ ასლანის ძე, თაყაიშვილი ალექსანდრე ნიკიფორისძე, მეგრელიძე მიხეილ გერასიმეს ძე, ბერიაშვილი ვალერიან სამსონის ძე, კალანდაძე სერგო პავლეს ძე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისია.

უჯრედების მუშაობის ზოგიერთი ნაკლი

ზოგიერთი იფიქრებს, რომ აქ მარტო ერთი რომელიმე უჯრედის მუშაობაზე იყოს ლაპარაკი, მე მგონია დეფექტებს, რომლებიც ჩემ მიერ იქნა შენიშნული თბილისის ორგანიზაციის ერთ უჯრედში სხვა უჯრედებშიაც აქვს ადგილი.

უჯრედის მუშაობის ნამდვილ სურათს იძლევა ოქმები—ამიტომაც უჯრედის მუშაობის სისუსტისათვის პასუხისმგებელი უნდა იყოს, პარტკომის ის განყოფილებაც, სადაც უშუალოდ ღებულობენ ბიუროს ოქმებს. მარტო ის კმარა, რომ პარტკომის ინსტრუქტორმა ზერელედ წაიკითხოს ოქმი და შემდეგ მიაწეროს ტრაფარეტული: „ცნობად", არამედ უშინაარსო და გაუგებარი ოქმი უნდა წაიღოს უჯრედში და ადგილზე გამოასწოროს შეცდომა. ეს ღონისძიება შეაჩვევს უჯრედს წესიერ მუშაობას.

მე პირადათ დავესწარი ერთი უჯრედის ღია კრებას, რომელზეც მონაწილეობდა 10 უპარტიოც. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის ანგარიში და კოოპერაციის რწმუნებულის მოხსენება. თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა უჯრედის ბიუროს ჩაეთვალა არა დამაკმაყოფილებლად და გადმოიტანა საერთო კრებაზე. შეიქნა ერთი შეძახება: უჯრედის წევრები ერთი მეორეს აბრალებდნენ, არა შენ არ მუშაობდი, არა შენო. ამ კინკლაობას გულდამშვიდებით უყურებდნენ უპარტიო მოქალაქეები და ბოლოს დამტკიცდა, რომ ავიაქიმის უჯრედი მოკლებული ყოფილა კომუჯრედის ხელმძღვანელობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომხსენებელი, როგორც ბიუროში, ისე უჯრედის სხდომაზე იყო უპარტიო.

ეხლა საინტერესოა რაში გამოიხატებოდა უჯრედის სისუსტე და შეცდომა? ჩემის აზრით ერთი იმაში, რომ პარტიის 18 წევრიდან სამ-ოთხიც არ მუშაობს ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. მეორე—როდესაც ბიურომ მუშაობა იცნო არა დამაკმაყოფილებლად, საკითხის გარჩევა უნდა გადაეტანა დახურულ კრებაზე. უჯრედის კრება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გამოჰყო კომისია, რომელსაც დაავალა აღნიშნულ საზოგადოების ტექნიკურ საქმეთა მოგვარება და ბიუროს ხელახალი არჩევა, არც ეს იყო სწორი. უჯრედს არავითარი უფლება არა აქვს უშუალოდ ჩაერიოს თავისუფალ ორგანიზაციის საქმეში, ვინაიდან უკანასკნელს ჰყავს თავისი გამგეობა ან პრეზიდიუმი, რომელიც ხელმძღვანელობს ორგანიზაციას, უჯრედი კი ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს მას კომფრაქციის საშუალებით.

ასეთივე სახის იყო მეორე საკითხიც. ბიურო ავალებს კოოპერატივის რწმუნებულს (უპარტიოს) მოხსენება გააკეთოს უჯრედის სხდომაზე. რწმუნებული აკეთებს მოხსენებას და მუშაობას კოოპერატიულ დარგში დამაკმაყოფილებლად ღებულობენ. კამათში ერთმა ამხანაგმა, სხვათა შორის აღნიშნა, რომ წინეთ, როდესაც ამავე საკითხზე მოხსენება გაუკეთებია პარტიულ ამხანაგს—კრებას ვერაფერი ვერ გაუგია, ე. ი. კომუნისტ მომხსენებელს ვერ გაუშუქებია საკითხი, უპარტიომ კი კარგად შეასრულა დავალებული საქმე. აქ შეიძლება შეგვნიშნონ „ალბად კომუნისტი თავის მომზადებით სუსტი იყო უპარტიო ამხანაგზეო"—ეს შენიშვნა სწორია, მაგრამ მაინც ვერ ამსნის ბიუროს, რადგან ბიურომ ყოველთვის ისეთ პარტამხანაგს უნდა დაავალოს მოხსენება, რომელიც შესძლებს საკითხების დაძლევას. ამას გარდა ბიურო შეცდა იმაში, რომ კოოპერატივის რწმუნებულის მოხსენება დასვა უჯრედის კრებაზე, სადაც მარტო 10 უპარტიო დაესწრო.

ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ თითქოს უჯრედს არ ქონდეს უფლება დასვას რომელიმე ორგანიზაციის საკითხი. უჯრედს ყოველთვის შეუძლია იმსჯელოს ჩვენი ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ უპარტიო ორგანიზაცია ვალდებულია ანგარიში მისცეს უჯრედს, არამედ იმისთვის, რომ უჯრედმა უნდა იცოდეს, თუ რას აკეთებს პარტიის წევრები აღნიშნულ ორგანიზაციებში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად უნდა დაუკვირდნენ თავიანთ მუშაობას და არ უნდა გამოიჩინონ ადმინისტრატიული გადაჭრა უპარტიო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმეში და ამავე დროს არ უნდა დაივიწყონ, რომ საკითხის წესიერად გარჩევისათვის საჭიროა მომზადებულ მომხსენებელთა გამოყოფა.

მე კიდევ შემეძლო დამესახელებინა რამოდენიმე ნაკლი, მაგრამ ჯერ ამით დავკმაყოფილდეთ.

ს. ლომიძე.

ბიუროების გადარჩევა ტრამვაის უჯრედებში

სახელოსნოს უჯრედი № 1

მოისმინეს ბიუროს ანგარიში მოხსენება.

შემდეგის საქმიანი შეკითხვები.

იმართება კამათი. ორატორები—ქაჩარავა, ჭურულოვი, ეგოროვი და სხვები ამხელენ ბიუროს უარყოფით მხარეებს:

— სახელოსნოში საჭიროა დაზგების შეკეთება; უჯრედის მასიური მუშაობა ვერ სდგას თავის სიმაღლეზე; პარტიის წევრები აქტიურად არ არიან ჩაბმული პარტმუშაობაში.—ამბობენ ისინი. კრება ბიუროს მუშაობას დამაკმაყოფილებლად ღებულობს და ირჩევს ბიუროს ახალ შემადგენლობას.

უჯრედი № 2

მომხსენებელი ამხ. კორნეევი ფართოდ შეეხო უჯრედის საქმიანობას. დამსწრეები, ეტყობა, არ არიან სავსებით კმაყოფილი ბიუროს მუშაობით.

— მართალია ბიუროს დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს ნაკლიც: უნდა გაძლიერებულ იქნეს ხელმძღვანელობა პარტრიგებზე; მომავალში ბიურომ ხელი უნდა შეუწყოს კომკავშირის უჯრედის გაჯანსაღებას, ლაპარაკობენ ამხ. კონოვალოვი, რონსკი, ლუკინი და სხვ.

უჯრედი № 3

— პარტდისციპლინა მოიკოჭლებს; პარტიის წევრები ხშირად აკლდებიან კრებებს.

— უნდა გაჯანსაღდეს უჯრედის საამქრო ორგანიზატორების მუშაობა.

— საჭიროა კომუნისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საწარმოო თათბირებში.

— უჯრედის ბიურომ საწარმოო საკითხების გარჩევას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს—აღნიშნავს 10—12 მოკამათე. კრება ბიუროს მუშაობას იწონებს, რის შემდეგაც ირჩევს ბიუროს 9 ამხანაგის შემადგენლობით.

მოძრაობის დარგის კომუჯრედი

აღნიშნული პარტუჯრედი 209 წევრს და კანდიდატს აერთიანებს; ამიტომ გასაგებია, თუ როგორი სიცხოველით უნდა ჩატარებულიყო კრება. უჯრედის მდივნის ამხ. ზახნაზაროვის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა 46 ორატორი.

— უწინ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა ძალზე მოისუსტებდა. მართალია, ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდა, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა პარტიის წევრითა 100 პროც. ჩაბმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

— ადმინისტრაციასა და უჯრედის ბიუროს შორის საჭიროა შეთანხმებული მუშაობის წარმოება.

— უჯრედის დადგენილება ხშირად არ ტარდება ცხოვრებაში. ბიურომ ამის წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა მიიღოს.

— პოლიტსკოლებში პარტწევრთა დასწრება დამაკმაყოფილებელი არ იყო.

— ტრამვაის ახალ ბინების განაწილებაში ბიუროს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რის გამო ბინების განაწილება სწორად არ მოხდა.

— საჭიროა ტრამვაის კონტროლიორთა მუშაობის მოწესრიგება—აღნიშნავდნენ მოკამათენი.

კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად აღიარა. ახალ ბიუროში არჩეულ იქნა 11 წევრი და 2 კანდიდატი.

მცოდნე.

მუშათა ცხოვრება

კედლის გაზეთი „ალმასკომის მეთვალყური"

ამხ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან არსებულმა კედლის გაზეთის სარეცენზიო ბიურომ განიხილა თბილისის ალმასკომის თანამშრომელთა კედლის გაზეთი „ალმასკომის მეთვალყურე"-ს მე-32-ე ნომერი. განხილვას დაესწრნენ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებიც. კედლის გაზეთი გამოდის სამ კვირაში ერთხელ სამ ეკზემპლიარად.

გაზეთის ფორმატი დამაკმაყოფილებელია. სათაური გამოხატავს კედლის გაზეთის ნამდვილ სახეს, და ამართლებს თავის დანიშნულებას. მხოლოდ კედლის გაზეთი არ არის დაყოფილი განყოფილებებად—წერილების მიხედვით. ეს კი კედლის გაზეთისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. გაზეთის განყოფილებად დაყოფა ამარტივებს მას და მკითხველსაც იზიდავს.

კედლის გაზეთში მოთავსებულ საპირველმაისო წერილებს, თავიანთი სიდიდის გამო დათმობილი აქვს გაზეთის ნახევარი მხარე. წერილები ეხებიან უმთავრესად საერთაშორისო საკითხებს, რაც კედლის გაზეთის მკითხველისათვის სრულიად არ არის საინტერესო. საპირველმაისო წერილები დაკავშირებული უნდა იყოს ალმასკომის საქმიანობასთან, მის მიღწევებთან და სხვა.

გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე წერილები ალმასკომის ყოფა-ცხოვრებაზეც, რომლებსაც კარიკატურებიც ახლავს. მაგრამ ზოგიერთი წერილები, რედაქციის მხრივ ცოტა მოისუსტებენ. სარედაქციო კოლეგიის წევრებ შორის მუშაობა ცოდნის მიხედვით უნდა განაწილდეს.

როგორც გამოირკვა, სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრები დატვირთულები არიან სხვადასხვა საქმეებით, რაც ხელს უშლის კედლის გაზეთის თანამშრომელთა შორის მუშაობას. სკავშირო მუშკორთა მესამე ყრილობის დადგენილებით კედლის გაზეთის ხელმძღვანელი განთავისუფლებული უნდა იყოს სხვა დატვირთვებიდან. ეს მხედველობაში უნდა მიიღონ ალმასკომის პარტიულმა და პროფორგანიზაციებმა, მით უმეტეს, რომ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრები ხელმძღვანელობენ აგრეთვე ალმასკომში შემავალ სხვადასხვა დაწესებულებების კედლის გაზეთებსაც.

გაზეთთან არსებობს მუშკორთა წრე, რომელშიაც ითვლება 22 მუშკორი. ეს რიცხვი ძალიან მცირეა. საჭიროა ალმასკომის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ კედლის გაზეთში და ხელი შეუწყონ მის გამოცემის საქმეს.

სარედაქციო კოლეგიის განცხადებით ალმასკომის სარაციონალიზაციო ბიურო, დიდ ყურადღებას აქცევს კედლის გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს, მაგრამ ალმასკომის სხვადასხვა განყოფილებების გამგეები სრულიად არ ემხარებიან კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებს.

რაც შეეხება კომუჯრედს და ადგილკომებს, როგორც გამოირკვა, ისინი ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ სარედაქციო კოლეგიას კედლის გაზეთის სისტემატიურად გამოცემაში.

ვანო.

უკანონოდ დასაჯეს

მე-11, სამილიციო რაიონის უმცროსი მილიციელი ამხ. ნიკოლაიშვილი სრულიად უმიზეზოდ იყო დატუსაღებული ხუთი დღით. მისი დანაშაულობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მის მორიგეობის დროს, მორიგე უფროსმა, მილიციელმა სთხოვა ცოტა ხანს დარჩენილიყო მის ადგილზე და ყურადღება მიექცია შემოსულ საჩივრებისათვის. გავიდა თითქმის ნახევარი საათი და მორიგე უფროსი მილიციელი არ დაბრუნდა სამორიგეო ოთახში. ამ ამბავს შემოესწრო მილიციის ინსპექტორმა ამხ. ტაბიძემ, რომელმაც ნახა თუ არა უმცროსი მილიციელი სამორიგეო კათედრაზე, გამოუძიებლად მიუსაჯა ხუთი დღით დაპატიმრება. ამხ. ნიკოლაიშვილმა აუხსნა, რომ ის დასტოვა მორიგე უფროსმა მილიციელმა, მაგრამ ტაბიძემ ყურიც არ ათხოვა.

ამგვარად ინსპექტორმა ნამდვილ დამნაშავეს ხმა არ გასცა. უდანაშაულოს კი მიუსაჯა სასჯელი. უნდა ყოფილიყო კი პირიქით. მას უმცროსი მილიციელი კი არ უნდა დაეტუსაღებინა, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი უფროსის განკარგულება, არამედ ის მორიგე უფროსი მილიციელი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ არ ქონდა მორიგეობის დროს სამსახურიდან წასვლის უფლება, თავისი მორიგეობა მიანდო უმცროს მილიციელს და მთელი კომისარიატი ნახევარ საათ. მეტი უპატრონოდ დასტოვა. უფროს მილიციელის ასეთი საქციელი არამც თუ შეცდომა და უბრალო დანაშაულია, არამედ ბოროტმოქმედებაა. ამხ. ტაბიძემ კი ამ ბოროტმოქმედებისათვის მორიგე უფროს მილიციელს პასუხი არ აგებინა.

მომავალში ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად ჩემის აზრით კარგი იქნებოდა, რომ ამა თუ იმ მილიციელის დანაშაულის განხილვას აწარმოებდეს საამისოდ გამოყოფილი სპეციალური კომისია, რომელიც მიუდგომლად და შეუცდომლად მიუსჯის სათანადო სასჯელს დანაშაულისათვის.

მახვილი.

მტვირთველ მუშებში

საქონლის სადგურის მტვირთველი მუშები დღემდე „ზაკპოგრუზი"-ს ხელში იმყოფებოდნენ. ამიტომ რკ. გზა არ აძლევდა მტვირთველ მუშებს იმ უფლებებს, რომლითაც სარგებლობენ რკ. გზებზე მომუშავე სხვა თანამშრომლები. წინად ეძლეოდათ მარტო სასურსათო ბილეთები, მაგრამ შემდეგ ისიც მოუსპეს. ახლა აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ თბილისის საქონლის სადგურის მტვირთველი მუშები. ეს მდგომარეობა გამოასწორა იმით, რომ უკანასკნელად ეს მუშები გადავიდნენ რკ. გზის ხელში.

16 თებერვალს, შესდგა თბილისის საქონლის სადგურის მტვირთველ მუშების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო სატრანსპორტო კავშირის თავმჯდომარე ამხ. ორჯონიკიძე. კრებამ განიხილა საკითხი იმის შესახებ თუ მტვირთველ მუშები ვის ხელში ყოფილიყვნენ: რკინისგზის თუ „ზაკპოგრუზი"-ს ხელში. ამ საკითხის ირგვლივ ამხ. ორჯონიკიძემ გააკეთა მოკლე მოხსენება და გააცნო მუშებს როგორც „ზაკპოგრუზი"-ს ისე რკინის გზის პირობები და მდგომარეობა.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა საქონლის სადგურის მტვირთველი მუშები დარჩნენ რკ. გზის ხელში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის უკმაყოფილებას და უწესრიგობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღემდე მტვირთველ მუშებში, მოეღება ბოლო და მუშების მდგომარეობაც შეძლებისდაგვარად გაუმჯობესდება.

დამსწრე.

ერთი კაცი ვერ გაუძლევს

დღემდე თბილისის საყუდსა და სავაგონო ფარეხს ჰყავდა გაერთიანებული ადგილკომი, რომელიც ვერ აუდიოდა ორივე დარგის საქმეს. ამიტომ პროფმუშაობა როგორც საყუდის, ისე სავაგონო ფარეხის მუშებში, ფერხდებოდა. ადგილკომი აერთიანებდა 2246 მუშა-მოსამსახურეს. ამათგან ნახევარზე მეტი; მემანქანეები, გამხურებლები და გამცილებლები მატარებლებზე მუშაობენ. ამიტომ მათ შორის რაიმე მუშაობის წარმოება ძალიან ძნელია. განსაკუთრებით ბრკოლდება კულტურული მუშაობა.

საუბნო კომიტეტმა ანგარიში გაუწია ასეთ რთულ მუშაობას და გადასწყვიტა სავაგონო ფარეხის ადგილკომის გამოყოფა საყუდის ადგილკომიდან, მით უმეტეს, რომ სავაგონო ფარეხის ადგილკომს, არსებულ წესების თანახმად ეკუთვნის ორი განთავისუფლებული პასუხისმგებელი ამხანაგი.

სავაგონო ფარეხის მუშების საერთო კრებამ, განიხილა ეს საკითხი და გამოჰყო თავისი საკუთარი ადგილკომი ერთი. განთავისუფლებული ამხანაგით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1 ამხანაგი ვერ გაუძლევს 1024 მუშა-მოსამსახურეს. საჭიროა კიდევ მეორე ამხანაგის განთავისუფლება თუ გვინდა, რომ ახლად დაარსებულმა ადგილკომმა აწარმოოს ნაყოფიერი მუშაობა.

თბილისის საუბნო კომიტეტმა უნდა დასვას ეს საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე.

ჯ. დემეტრაშვილი.

მუშკორთა წერილებიდან

უხეშად გვეპყრობიან (სად. ბალაჯარა) სად. ბალაჯარის ბუფეტის მოიჯარადრენი, ძმ. გონძეები უხეშად ეპყრობიან ბუფეტის თანამშრომლებს. ამას წინად სრულიად უმიზეზოდ სამუშაოდან მოხსნეს მზარეული მურავიოვ. კავშირო, მოგვაქციე ყურადღება.

უჩინარი.

სამუშაოს სცდებიან. ალმასკომის ბუფეტში, თანამშრომლები ხშირად საათობით ბრკოლდებიან და სცდებიან სამუშაოს. ბუფეტში მომუშავენი არ ცდილობენ ჩქარა გაისტუმრონ სასაუზმოდ მოსული თანამშრომლები. ადგილკომმა უნდა მოაგვაროს ეს საქმე.

ქვენობნელი.

— ლიტერატურული წრე კარგად მუშაობს. რკ. გზის მუშაკთან არსებული ლიტერატურული წრემ უკანასკნელ ხანებში გააცხოველა თავისი მუშაობა. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში წრემ მოაწყო რამოდენიმე ლიტერატურული გასამართლება. უკანასკნელად ამ სასწავლო წელში, წრე აწყობს მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები"-ს ლიტერატურულ გასამართლებას. გასამართლება მოხდება პლეხანოვის სახელობის კლუბში, კვირას, 20 მაისს.

მსმენელი.

სიბინძურეა. მე-7-დე უბანში ე. წ. „კახეთის ხევი", ადგილობრივ მცხოვრებლებს სანაგვეთა აქვთ გადაქცეული. ამ მიდამოებში ისეთი ბინძური სუნი ტრიალებს, რომ შესაძლებელია ზაფხულის პერიოდში ავადმყოფობამაც იჩინოს თავი.

დ. ნ.

ჩვენ მუშკორებს

ნიკოლოზ წიკლაურს (ქუთაისი) ლექსი არ გამოგვადგა არ წავა.

ივანე ხუხაიძეს „მკითხველთა კონფერენცია" დაგვიანდა, არ დაიბეჭდება.

ა. პ-ს არ დაიბეჭდება.

მეთვალყურეს ამ საკითხზე ბევრი ვსწერეთ. არ წავა.

თანამშრომელს. შემოიარეთ რედაქციაში დღესვე.

წყარისპირელს. თქვენი წერილი, როგორც საგამომძიებლო მასალა დაეგზავნა ალმ. საქ. პროკურორს.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

დაზარალებულთა დასახლება ახალ უბანში

გუშინ დილით ქუთაისიდან დაბრუნდა კომისია, რომელშიაც შედიოდა მთავრობის ქვეკომისია, ქუთაისის აღმდგენი მთავარი ტექნიკური კომისია, ა.-კ. ტექნიკურ საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე და თბილისის ალმასკომის მთავარი ინჟინერი; კომისია ქუთაისში მივლინებული იყო დამწვარი უბნის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხების ადგილობრივ გამოსარკვევათ.

ქუთაისში ჩატარებულ მუშაობის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ს. ჯუღელმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

კომისიის მიერ ადგილობრივ დათვალიერებული და შესწავლილი იქნა გადამწვარი უბანის მდგომარეობა, კედლების ნანგრევები და ხანძრის შემდეგ დარჩენილი მახლები. დათვალიერებული იქნა აგრეთვე ბინები (დარაბები), რომლებშიაც დროებით მოთავსებულია დაზარალებული მოსახლეობა.

ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა მთავრობის ქვე-კომისიის, ქუთაისის აღმდგენ მთავარ ტექნიკურ კომისიის და ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაცათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

ვინაიდან დარჩენილი კედლის ნანგრევები ჯერ ერთი საშიშროებას წარმოადგენს მოსახლეობისათვის (მოსალოდნელია მათი დაქცევა) და მერე უვარგისია ახალი აღმშენებლობისათვის, საჭიროთ იქნა ცნობილი მთელი

ხლეობას შეეძლოს ბაღ-ბოსტნების გაშენება. ამ უბნის ახლოს მდ. რიონზე განზრახულია ხიდის აგება.

ქუთაისის ალმასკომს წინადადება მიეცა აღრიცხოს დაუმთავრებელი სახლები და გამოარკვიოს ამ შენობათა დასამთავრებლათ საჭირო თანხის რაოდენობა.

საზოგადო სამუშაოების საწარმოებლათ ქუთაისისთვის გამოყოფილია 27.000 მანეთი. აუცილებელ საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ეს თანხა გამოყენებული იქნეს გადამწვარი უბნის გაწმენდის და მასალის გადარჩევის სამუშაოებისთვის. ამ სამუშაოებში ჩაბმულ იქნებიან უმუშევრები დაზარალებულ მოსახლეობიდან.

ვინაიდან დროებითი ბინები (დარაბები), რომლებშიაც მოთავსებული არიან დაზარალებულები, სრულიად მოუწყობელია და საშიშროებას წარმოადგენენ სანიტარიის და ცეცხლის მხრივ, ამ ბინებთან უნდა მოეწყოს დროებითი სამზარეულოები, ფეხის ადგილები, და გარდა ამისა დაწესებული უნდა იქნეს მეხანძრეთა მორიგეობა.

ქუთაისის ცეცხლის მქრობელ რაზმს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება სახანძრო მოწყობილობა და ამიტომ საჭირო იქნება თბილისიდან გადაეგზავნოს საჭირო ხელსაწყო.

დასახულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ტექნიკური საკითხების დასამუშავებლად და მთავარ ტექნიკურ კომისიის ტექნიკურ საბჭოთა დავალებათა განსახორციელებლათ ადგი-

წითელი ჯვარის საკვები პუნქტი

[illegible] და ადგილის გაწმენდასთან ერთად [illegible] გამოსადეგი მასალის გადარჩევაც. აღნიშნული მასალებიდან შეიძლება გამოყენებული იქნეს გადარჩენილი აგურის და ქვის მცირე რაოდენობა. დანარჩენი ნაგავი გადაყრილი იქნეს მდ. რიონში.

გადამწვარი უბანის გაწმენდა მოითხოვს დიდ დროს, ხოლო დაზარალებულთა ახალ ბინებზე მოწყობის დაგვიანება შეუძლებელია; გადამწვარი უბანი მდებარეობს ფერდობზე. და მეტად მოუხერხებელია მშენებლობისათვის; ახალ მშენებლობისათვის ყოვლად შეუძლებელია დატოვებული იქნეს სამოსახლო ნაკვეთების ძველი მდგომარეობა; იქ შეიძლება მხოლოდ უმცირესი ნაწილის მოწყობა. ყველა ამის გამო საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ დაზარალებულები დასახლებული იქნენ ახალ ადგილზე.

ვინაიდან გადამწვარი უბანის ახლო-მახლო შესაფერისი ადგილი არ მოიპოვება, დაზარალებულთა დასასახლებლათ არჩეული იქნა ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოში მდებარე უბანი.

დაზარალებულთა ახალი სამოსახლო უბანი დაგეგმილი იქნება იმ ვარაუდით, რომ მოსა-

ნია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულია თბილისის ალმასკომის მთავარი ინჟინერი ქურდიანი. ინჟინერი ქურდიანი რამოდენიმე დღით დატოვებული იქნა ქუთაისში, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ ტექნიკურ კომისიას. ამ კომისიაში დანიშნული არიან ინჟ. ბიჭიმურელი, ინჟ. თუმანიშვილი და ამხ. ურუშაძე.

ადგილობრივ კომისიას ნება მიეცა საჭიროების მიხედვით გამოიყენოს რიონჰესის და ქუთაისის ალმასკომის ტექნიკური მუშაკები.

მთავრობის ქვე-კომისიის სხდომის შემდეგ შესდგა ადგილობრივი ტექნიკური კომისიის სხდომა, რომელზედაც გამომუშავებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები.

დასასრულ, ჩვენ დავათვალიერეთ ზარიტის წისქვილი, აბრეშუმსახვევი ქარხანა, კირის ქარხანა, რიონჰესის და ქუთაისის წყალსადენის სამუშაოები.

ყველა ამ ახალშენებში წარმოებულმა მუშაობამ ჩვენზე დასტოვა კარგი შთაბეჭდილება.

თათბირი საქ. პროფსაბჭოში

საქართ. პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

თათბირმა გადასწყვიტა, რომ კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობებმა თავიანთი ფინანსიური შესაძლებლობის მიხედვით გაიღონ თანხები ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ჩაატარონ ფართე კამპანია კავშირის წევრთა შორის. საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ კავშირებმა გაიღონ ერთი დღის ხელფასი და აგრეთვე სამეურნეო ორგანოების წინაშე აღძრან შუამდგომლობა დაზარალებულთა ფონდისათვის ავანსის გაცემის

შესახებ იმ რაოდენობით, რომელსაც გადასწყვეტს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

აღნიშნულ კამპანიის ჩატარებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა და მეთვალყურეობა დაევალა ამხ. მარკმანს. კავშირების მიერ გაღებული ანარიცხების შესაკრებად და სათანადო ორგანოებისათვის მისაწოდებლად გადაწყვეტილია [illegible] ერთი თანამშრომელი, რომელიც აღნიშნული კამპანიის დამთავრებამდე სპეციალურად იმუშავებს ამ დარგში.

გადაწყვეტილია აგრეთვე ეთხოვოს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს შეძლებისამებრ გაიღოს თანხები ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

დახმარება ქუთაისს

გამოხმაურება მთავრობის კომისიაში

8.000 მანეთის გადადება

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავრობის კომისიას საქართვე[illegible]ბის კომისიას 8.000 მან.

2.000 მან. პროფკავშირებიდან

ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ მთავრობის კომისიას საქართველოს პროფკავშირებმა გადასცეს 2000 მანეთი.

1178 მან. 98 კაპ.

ხანძრისგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის სასარგებლოთ მთავრობის კომისიაში შემოვიდა—„საქართველოს ღვინო"-ს გამგეობისაგან—500 მან., „საქართველოს ღვინო"-ს თანამშრომლებისაგან—428 მან. 98 კაპ., საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა ყოფ-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიისაგან—200 მან. და საწარმოო კოოპ. [illegible] „ხელები"-საგან—50 მან.

დღევანდლამდე შემოსულია 47.000 მანეთი

მთავრობის კომისიის ცნობით, ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გუშინდლამდე კომისიაში შემოწირულების სახით შემოსულა სულ 47.000 მან.

წითელ ჯვრისაგან

ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის დასახმარებლად, საქ. წით. ჯვრის ცენტრალური კომიტეტის სახელზე მიღებულია: უკრაინის წითელი ჯვრიდან 1000 მანეთი, სომხეთის წ. ჯ. კომიტეტისაგან—500 მ. ფული და 250 ცალი თბილი საბნები და აზერბეიჯანის წ. ჯ. და წითელი ნახევარი მთვარის ცეკადან—500 მ.

1900 მან. გადადება

თბილისის სახ. უნივერსიტეტის თანამშრომელთა და განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად დაადგინა ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის აღსადგენად გადასდოს 2 პროცენტი მთელი ჯამაგირებიდან (ა. წ. იანვრის მომატების ჩათვლით), სულ 1900 მანეთს შეადგენს.

ერთი დღის ხელფასის გადადება

16 მაისს შესდგა თბილისის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა საინფორმაციო მოხსენება ქუთაისში მომხდარ სტიქიურ უბედურების შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა ქუთაისის დაზარალებულ რაიონის აღსადგენად გადასდოს ერთი დღის ხელფასი.

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

ჩვენი წვლილი

ამ მოულოდნელ უბედურობამ, რომელიც ეწვია ქალ. ქუთაისს საშინელი ხანძრის სახით, საქართველოს ყველა კუთხეებში მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სადღეისო ლოზუნგია: „ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნას", ამ ლოზუნგს ზუგდიდის მაზრის მშრომელი მასებიც გამოეხმაურნენ, 14 მაისს მოწვეულ იქნა ქ. ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გადასწყვიტეს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გაიღონ ერთი დღის ხელფასი. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელიც მაშინვე შეუდგა მუშაობას და 19 ამ თვემდე მოაგროვა 1288 მანეთი და 67 კაპ. რომელიც შემოგვაქვს გაზ. „კომუნისტის" კანტორაში.

ეს თანხა შეგროვილია შემდეგი დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შორის: ზუგდიდის აფთიაქის თანამშრომლებისაგან—32 მ. 8 კაპ., საქ. აბრეშ. ზუგ. მაზრ. სარწმუნებულო საგ.—20 მ. 82 კ., სამფინანსო თანამშრომლებისაგან—49 მ. 87 კ., სატყ: ტრეს. სვანეთის რაიონ. გან. თანამ:—172 მ. 9 კ., საადგილმამულო და სატყეო თანამშრომლებ.—67 მ. 56 კაპ., განათლების განყ. თანამშრომლებისაგან—110 მ. 93 კ., კომუნალურ განყოფილებიდან—59 მ 57. კაპ., ზუგდიდის „ეპო"-ს თანამშრომლებისაგან—78 მ. 84 კ., ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებიდან—61 მ. 26 კაპ., სამაზრო ალმასკომის პრეზიდიუმისაგან—65 მ. 77 კ., სამპარტკომის თანამშრომლებისაგან—41 მ. 55 კ., კომკავშირის სამაზრკომის თანამშრომ.—13; 75 კ.; მაზრის მილიციის თანამშრომლებისაგან—81 მ. 55 კ., ახალ აბასთუმანის სახ. ქარხ: მუშ: მოსამ.—314 მ .82 კაპ., ზუგდიდის სასოფლო სამეურნეო ტექ. თანამშრომლებ.—51 მ. 58 კ., საბჭოთა და სავაჭრო მუშაკ. კავ. გამ. თან:—7 მანეთი 8 კაპ., მიწა ტყის კავშირის სამაზრო განყ. გამგეობის თანამშრომლებისაგან—9 მანეთი 40 კაპ., ხეზე მომუშავეთა და მედსანშრომის სამაზრო განყ. გამგეობის თანამშრომ.—8 მ., 93 კაპ., ქ. ზუგ. იუსტიციის დარგ. მომუშ. თანამშ.—25 მ. 23 კაპ., ქალაქის რ. გ. სადგურის თანამშრომლებ.—16 მ. 4 კაპ.

ასეთივე ტემპით მიმდინარეობს შემოწირულებათა შეგროვება დანარჩენ რაიონებშიც. ლოზუნგი: „ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს" სინამდვილედ იქცევა. ამაში ღრმათ უნდა იყოს დარწმუნებულნი დაზარალებულთა ულარიბესი ნაწილი.

აღსანიშნავია „ახალ აბასთუმანის" სახერხ ქარხნის მუშების გამოხმაურება: მათ გაიღეს არა ერთი დღის ხელფასი, არამედ ერთ ნახევარი დღის.

კომისიის თავმჯდომარე ი. ჟვანია.

—:—

თბილისის მე-8 მთლიან შრომის სკოლის თანამშრომელთა საზოგადო კრების დადგენილებით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადადებულია ერთი დღის ხელფასი—157 მ. 09 კ.

ამავე სკოლასთან არსებულ მშობელთა დამხმარე კომიტეტმა კი, იმავე მიზნით გადასდო 50 მან.

თბ. მე-8-ე მთლ. შრ. სკოლა.

—:—

თბილისის რკინის გზის მე-6 შრომის სკოლის თანამშრომლებმა დაადგინეს მიმდინარე თვის ჯამაგირიდან გადასდონ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ასი მანეთი, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით.

პ. ჯულელი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ქ. თბილისის ლომბარდის მუშა მოსამსახურეების მიერ გაღებული ერთი დღიური ხელფასი—ას ორმოცდათვრამეტი მანეთი და 13 კაპეიკი. (158 მან. 13 კაპ.) და ვიწვევთ ქ. ბათომის და სოხუმის ლომბარდის მუშა მოსამსახურეებს.

დავალებით თეოფილე ე. ჩხალაძე.

—:—

მ. გ. მილიციის თანამშრომლებს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვთ 340 მან. 84 კაპ.

ბ. კ. პ. მდივანი—კუკულავა

—:—

ჭოლო-აბედათის თემის პროფკავშირის წევრებს შემოგვაქვს ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ დღიური ხელფასი ოცდაათი მან. (30 მან.) რაოდენობით და ვიწვევთ შემდეგი თემის პროფკავშირის წევრებს: ზანძის, ლეხაინდრამ-თ-ნოღის, ნოქალაქევის; ლეძაძამეს და მარტვილის.

მონდობილობით ნ. ქაქუბერი.

თანხმად ამხ. გერ. მგალობლიშვილის გამოწვევისა, ამასთანავე გიგზავნით ათ მანეთს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ამასთანავე ვიწვევ: მიხეილ გავაშელს; ალ. ივ. ზეზვრგანიშვილს; ნიკ. ნიკ. ქოიავას; ლევ. ზაქ. მაჭავარიანს და ტარიელ ხოშტარიას.

იაკობ ფანცხავა.

—:—

შემომაქვს ათი მანეთი ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ თბილისის ახალ წყალსადენის შემდეგ მუშა-მოსამსახურეებს: ახალ წყალსადენის მთავარ ინჟინერს ლევან ნიკოლოზისძე დიასამიძეს; ინჟინერ გიორგი დავითისძე ხოზანიშვილს; ინჟინერ გიორგი ხოფრომისძე ვარაზაშვილს; ინჟინერ არჩილ ბიქლანიშვილს; უფროს ქიმიკოსს ირაკლი ჩიქოვანს; სიკო ტაბლიაშვილს; ვიქტორ კაკაბაძეს; დიმიტრი ცქიტიშვილს; ივანე გაჩეჩილაძეს და ვასილ მარჩენკოს.

პლატონ გამრეკლიძე

—:—

ქუთაისში დაზარალებულ ბავშვების სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ოთარი გიგინეიშვილს; თინა დარჩიაშვილს; ქეთო მაჭავარიანს; შოთა, გივი და თიკო ჯავახიშვილებს; ვანიკო სულიკაშვილს; მეგი ფერაძეს; ინა გუჯეჯიანს.

ოთარ ანანიაშვილი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვახტანგი ნანუაშვილს; კუკური გიორგაძეს; ბორია ელინსკის, ჟორა და ოთარ კალანდაძეებს; ნოდარ რამიშვილს, რეზო მანჯგალაძეს; ჯუტუ შენგელიას; უშანგი და კიკია თელიძეებს; რეზო მანჯგალაძეს; ჯუტუ შენგელაიას.

7 წლის ბუბუნა ლეონტისძე ელიავა.

—:—

ქუთაისში დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გოგი ყანჩელს; თვალიკო იმედაშვილს; გივი შოთნიაშვილს; თეზიკო ტარიელაშვილს; მიშა ქორქაძეს; შოთა და ჟუჟუკა ყანჩელებს; ბებე კოკაიას; ზეინაბ ირემაძეს, ალიოშა და თორნიკე ლეონტიძე ხუშუებს, მიშიკო ყანჩელს.

8 წლის მედეა ყანჩელი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ჟუჟუნა კენჭიაშვილს; გოგია ჩუბინიძეს; თინა გოგოლაძეს; ეთერ ბარტყულაშვილს; ირა მჭედლიშვილს, ოთარ ზაქარიაძე მეგრელიშვილს; ძიმა ადამიძეს; ნოდარი და გაიოზ ქავჟარაძეებს, შოველ ჩიტაძეს; იზო და რევაზ სეფიტიძეებს.

8 წლის ნათელა კენჭიაშვილი.

—:—

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ მეგობრებს: ტერეზა ძოწენიძისას, ნინო იაშვილისას; ლიზა ძოწიაშვილისას; დონა ხოშტარიას; კატუშა ბერძენიშვილისას, და კატუშა თორთლაძისას.

ირინა ძოწუაშვილი.

—:—

ლეილა ზამბახიძის გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ორი (2) მანეთი და ვიწვევ: ირაკლი ახვლედიანს; გოგილო გუგუშვილს; ერა და კოტე ახვლედიანს, ვალიკო გუტენბერგს, გოგუშა და ზურიკო ფორაქიშვილებს.

ნოდარ ევგენისძე გუგუშვილი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: რევაზ ურუშაძეს; კუკური ელიაძეს; კუკური ვადაჭკორიას; არჩილ გოგოლაშვილს, სიმონ კონტრიძეს, კაკო გოგუაძეს; ლევანიკო ხომერიკს, მედიკო ცინცაძეს და სოსიკო ჭავჭანიძეს.

8 წლის ოთარი სტეფანესძე ელიაძე.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლეილა; ელენენორა; თინა; თალიკო და საშიკო მაღულარიებს. ქაიხოსრო; შურა, სოსიკო და ეთერი უზნაძეებს.

ოთარი პ. მაღულარია.

—:—

ამხ. მ. პირველის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ სტუდენტებს: შალვა ვარდიგორელს, შოთა რიდინაიას, მიშა ჯაფარიძეს და სოსო გალდავაძეს.

სტ. გრ. ჯანელიძე.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: შ. ი. კვაჭანტირაძეს; გ. ჯგუბურიას; ი. პ. კაჭარავას; პ. ჩიმაკაძეს; ზ. ი. ჟორჟოლიანს; ი. ქაროზანაშვილს; ვ. კ. ართმელაძეს; ვ. სოხაძეს; ზ. გაბოძეს და მ. სტეფანოვს.

ივან გუჯაბიძე.

—:—

გულნარა სინაურიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი, ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: გურინა ცეცხლაძეს, არჩილ წიქვაძეს; გივი ფილიპოვს; თინა ჯავახიძეს; თეიმურაზ იმანიძეს; რუსუდან გოგავას; ციალა ხადურიშვილს და ელენე გორგიაშვილს.

ავთანდილ როგაჭიძე.

—:—

თამაზ თევზაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ზურიკო ქარიანს; ჯენეტო მუსხერიძეს; გივი, მეგი და დევი დათეშიძეებს; ვახუშტი ხომერიკს; მანანა ჩხიკვაძეს; ტუგული შელიძეს; ფატკა და რუსიკო მხეიძეებს.

მედია ჭელიძე.

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ვ. ყაჭრიშვილს; ვ. ნანობაშვილს, ვ. ბურდულაძეს; მ. ბოკერიას; გ. გოძიაშილს, დ. მომცემლაძეს; ნ. დალაქიშვილს; კ. გურგენიძეს; კ. ხიდურელს; გ. ჭელიძეს.

სტუდენტი მელიტონ პეტრიაშვილი.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნელი და მედეა კრავეიშვილებს, თინა თხინვალელს; ეთერი დევდარიანს, თამარა ქუცნავას; ვახტანგ ქურციკიძეს; ნათელა, ბეჟიკო და ლელიკო გურულებს და ქეთინო გუგუშვილს.

7 წლის ეთერი ქვარიანი.

—:—

გულნარა სინაურიძის გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ლია ლორთქიფანიძეს მუსტაფაშვილს, მერაბ და გოგი ზუზუკორიებს; გოგუშა და ზურიკო ფორაქიშვილებს, ცისანა ქუხიანს; ეთერი ჭავჭანიძეს და ანანია მეავანაძეს.

პატარა თენგიზ ლოდოზერიძე.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კარანაძე გრიშა; პართენ მეგრელიშვილს; ალექსანდრე ბაბავას; აპოლონ ნუცუბიძეს; გაბრიელ მეგრელიშვილს; გრიგოლ ჭელიძეს; იოსებ საძაგლიშვილს; ვანო იორდანიშვილს; იონა გაბუნიას; კლიმენტი აბუსერიძეს

სოლ. ნამორაძე.

—:—

შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნანული ჭირაქაძეს; ციალა ჭუმბაძეს; რუსიკო კაპანაძეს, ნათელა კახნიაშვილს, ქეთინო გიორგაძეს; ფარნაოზ მეგრელიშვილს; ნოდარ გრიგორაშვილს; აჩიკო ხოზუას.

ნათელა ძებაძე.

—:—

მედეა ყანჩელის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მიშიკო ჩახავას; არჩილ მარინაშვილს; ჯუანშერ სონღულაშვილს; მედეა სულაძეს, ჟორჟიკა სულაძეს; გიორკაშვილს, ნათელო ფატარიძეს.

ბებე კოკაია.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალ. დასახმარებლად, გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 2.156 მ. 73 კაპ. სულ წინად შემოსულთან ერთად 11.662 მ. 41 კაპ.

რომელსაც „კრიტიკის" წარმოება სურს მარტოოდენ კრიტიკისთვის, რომელსაც ბოლშევიკების ქენჯნაში გამარჯვების მიღწევა სურს, — ასეთი ადამიანი შემდეგს „ამოცანას" დაისახავს: იგი გუნდოვნად გახდის საკითხს, იგი ლიტვინოვის გამოსვლას ისე დასახავს, თითქო ეს იმპერიალისტებთან „დაახლოება" ყოფილიყოს, იგი „მემარცხენე" დროშას გაშლის, რათა ლიტვინოვს ლენინის ღალატი დააბრალოს. „მემარცხენეები" ამ მეორე გზით მიდიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმწვავეს საკითხში, რომელიც მსოფლიო ბურჟუაზიის და მისი აგენტურის (სოციალ-დემოკრატიის) ძირითად ინტერესებს ეხება, „მემარცხენეები" საქმით სწორედ იმას აკეთებენ, რაც სოციალ-დემოკრატიას სურს, თუმცა მეტის-მეტად „მემარცხენე" მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ. როცა საფრანგეთიდან „მემარცხენეების" ერთი ნაწილი (სიუზანა ჟირო) გერმანელი „მემარცხენეების" ჟურნალს უმტკიცებს, რომ ასეთი გამოსვლა ურიგოაო, „მემარცხენეები" მაინც ჯიუტად განაგრძობენ: „ეს გამოსვლა (ამხ. ლიტვინოვისა) სრულიად მიუღებელი და არსებითად ყალბია"-ო („კომუნიზმის დროშა" № 17*)

არა, არსებითად ყალბია არა ლიტვინოვის გამოსვლა, არამედ მასლოვისა და ურბანსისა!

მუშა კომუნისტებმა უნდა გაიგონ, **ვისთვის არის სასარგებლო** ასეთი „მუშაობა".

მეორე მაგალითი შახტის საქმეა. საბჭოთა მთავრობამ შეთქმულება აღმოაჩინა და იძულებულია სხვა ბოროტმოქმედთა შორის რამდენიმე გერმანელი ინჟინერიც დაატუსაღოს, რადგან ისინი ხელს უწყობდნენ კონტრ-რევოლიუციონერებს. გერმანელი კაპიტალისტების ზეგავლენით გერმანიის მთავრობა ამის საპასუხოთ სავაჭრო მოლაპარაკებას სწყვეტს საბჭოთა კავშირთან. კაპიტალისტების ეროვნული ქოფაკები, გერმანელი სოციალ-დემოკრატები, გაცოფებულნი ჰყეფენ; სოციალ-დემოკრატი ორატორები ყველგან ცილს სწამებენ საბჭოთა ხელისუფლებას.

როგორია ასეთ პირობებში გერმანელი კომუნისტის ვალდებულება, თუნდაც ის უკიდურესი „მემარცხენე" კომუნისტი იყოს? რასაკვირველია, მან უნდა ამხილოს „თავისი" ბურჟუაზია, „თავისი" სოციალ-დემოკრატია, მთელი ძალღონით დაეხმაროს საბჭოთა კავშირს, საქმის ნამდვილი ვითარება შეატყობინოს გერმანელ მუშებს, რომელთაც აბიაბრუებენ. როგორ ილა იქცევიან „მემარცხენეები"? სწორედ პირუკუღმა! ისინი არ ასრულებენ ამ თავიანთ ელემენტარულ ვალდებულებას. სამაგიეროდ თავიანთ ჟურნალში შახტის საქმეს ისე ხატავენ, თითქო ეს საბჭოთა კავშირის კატასტროფა იყოს, ამ საქმის შესახებ მოსულ ცნობებს შემაშფოთებელ სათაურებს უკეთებენ, ერთი სიტყვით, „ფორვერტს"-ს ეხმარებიან.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია „მემარცხენეების" ყოფაქცევა გერმანიის რეიხსტაგის მომავალი არჩევნების საკითხში. განა მისი გამართლება შეიძლება რამე შეცდომებით (ნამდვილი იქნება ის შეცდომები თუ მოჩვენებითი) გერმანიის კომპარტ. ხელმძღვანელების მხრით, რაიმე შეურაცხყოფით (ნამდვილი იქნება ეს შეურაცხყოფა თუ მოჩვენებითი), რომელიც „მემარცხენეებისთვის" პარტიის ცეკას ან კომინტერნს მიუყენებია?

„მემარცხენეების" კონფერენციაზე ზოგიერთი მონაწილე იმ აზრისა იყო, რომ ყოველი მემარცხენე შემდეგ ლოზუნგს უნდა მიემხროს: **ყველანი გერმანიის კომპარტიასთან ერთად, არავითარი პარალელური კანდიდატები!** ასეთი ყოფაქცევა ყოველი ბოლშევიკის ელემენტარული ვალდებულებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა „მემარცხენეების" მიერ.

და ეს იმ დროს მოხდა, როცა გერმანიის კომპარტიას თავს ესხმის მთელი რეაქციური ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია. განა ეს მეორე პარტიისკენ მიმავალი გზა არ არის?*).

კიდევ ერთი მაგალითი.

გერმანიის რეაქცია ცდილობს წითელი ფრონტელების კავშირი დაარბიოს. მართალია, „მემარცხენეთა" ორგანოებს ჭკუა ჰყოფნით განაცხადონ, რომ ყოველპირობის გარეშე მხარს ვუჭერთ კავშირის ნაბიჯებს, რომელიც მისი დაშლის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ „მემარცხენეები" მაინც ვერ ითმენენ და იწყება წვრილმანი და უგუნური კამათი წითელი ფრონტელების კავშირის ცეკას წინააღმდეგ სწორედ იმ მომენტში, როცა მას ყოველი მხრიდან ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ესხმის თავს.

კიდევ ერთი მაგალითი აღსანიშნავი შინაპარტიული ცხოვრების დარგიდან. გერმანიის კომპარტიის ცეკა თავის ორგანოებში კრიტიკის კამპანიას აწყობს მემარჯვენე შეცდომების წინააღმდეგ. როგორ ღა იქცევიან „მემარცხენეები?" ისინი გაიძახიან: ეს „ოინია", ეს „ზიგზაგია", „არ გვწამს ცეკას გულწრფელობა"-ო და სხ...

ეს ნიმუშები საკმაოა.

***

„მემარცხენეები" დაღმართისკენ დაეშვენ, მეორე პარტიის პოზიციამდე მივიდნენ და მათ აღარ ძალუძთ კომუნისტის ელემენტარული საერთაშორისო ვალდებულების შესრულება. სამაგიეროდ მაღალ ფარდოვანი ფრაზები უხვად მოიპოვება. აი მათი **„პროგრამა ომის საფრთხესთან ბრძოლის"**. „ჩვენი წინადადებანი ომის საფრთხესთან ბრძოლის საკითხში შემდეგია:

საყოველთაო გაფიცვის პროპაგანდა წარმოებებში; განმარტება და გაძევება ქარხანა-ფაბრიკების კომიტეტების იმ წევრებისა, რომელნიც ამ რევოლიუციური ლოზუნგების წინააღმდეგ გამოვიდნენ; ახლავე **საგაფიცვო კომიტეტების** შექმნა წარმოებებში და კონცერნებში; **აქტიური საბოტაჟის** მომზადება იმ შემთხვევისათვის, თუ ომი დაიწყო; ხელის შეშლა სამხედრო მასალის წარმოებისა და გადაზიდვისათვის, აგრეთვე ჯარების გადაყვან-გადმოყვანისთვის.

ასეთია უპირველესი ღონისძიებანი, რომელნიც დღესვე უნდა განხორციელდენ" და სხ. (გვ. 13).

ზოგიერთი ზემოთ აღნიშნული „ლოზუნგი" ისევე „გონიერია", როგორც „ლოზუნგი" ლიტვინოვისა საბჭოთა კავშირის მიერ, რასაც დიდის გულმოდგინებით იცავენ „მემარცხენეები". ნამდვილი ღონისძიებანი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო კომუნიზმს შეუძლია მიიღოს მხოლოდ ლენინის მიერ შედგენილი „ჰააგის" ინსტრუქციის (1922) ნიადაგზე და აგრეთვე კომინტერნის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე, რომელთაც საფუძვლად ეს ინსტრუქცია დაედო. ლენინმა კლასიკურათ ნათლად გამოხატა — რა პირობებში და როგორ შეიძლება აზვირთდეს, არა სიტყვიერათ, არამედ ფაქტიურათ, მუშების ბრძოლა ომის წინააღმდეგ (გაფიცვასა და აჯანყებამდე), როგორ უნდა დავიწყოთ ყოველდღიური არალეგალური მუშაობა, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ამ დარგში ცალიერ „მემარცხენე" ფრაზებს და დაპირებებს. იმის მაგიერად, რომ უკვე „ეხლავე" ქაღალდზე საგაფიცვო კომიტეტები შევქმნათ, იმის მაგიერად, რომ „სამხედრო იარაღის წარმოება შევაჩეროთ", უკეთესი არ იქნებოდა ჯერ ჯეროვნათ **ინტერნაციონალისტებთან ელემენტარული ვალდებულება** მოგვეხადა? ეს ელემენტარული ვალდებულება კი მოითხოვს, რომ მხარი დავუჭიროთ ქენჯნაში ლიტვინოვის გამოსვლას, **მასსებს გავცნოთ** ეს ამბავი, უწინარეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატიის ბელადების მიერ მოტყუებული მასსები გამოვაფხიზლოთ. იგივე ელემენტარული ვალდებულება მოითხოვს, რომ ისეთ საქმეში, როგორიცაა შახტის შეთქმულება, ერთში მთლიანად ბურჟუაზიისა და „მისი" სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ იქნას მიტანილი. ესეც ერთგვარი ღონისძიება იქნებოდა ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ნუ თუ ეს გაუგებარია?

ვერავითარ ომის საწინააღმდეგო კომიტეტებს „მემარცხენეები" ახლა ვერ ჰქმნიან და ვერც შექმნიან. მაგრამ მათ შეუძლიათ რამდენიმე საარჩევნო ოლქში პარალელური კანდიდატი წამოაყენონ ორიოდე დეპუტატის გაყვანის მიზნით, კონტრ-რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ბელადების სასიხარულოდ. ამას გარდა მათ შეუძლიათ მთელი ბრძოლის ენერგია კომუნისტური პარტიისა, კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართონ და ამას „მემარცხენეები" შვრებიან კიდეც. მართლაც რომ სიცოცხლე „მემარცხენეობაა"!

***

„მემარცხენეები" კიდევ იმით „ასაბუთებენ" მეორე პარტიის დაარსებას, რომ არ გვსურს „ათასობით პატიოსანი კომუნისტის, მემარცხენე კომუნისტების დაკარგვა მოძრაობისთვის"-ო. (გვ. 5). **მაგრამ სწორედ მეორე პარტიის პოლიტიკა გამოიწვევს ამ შედეგს.** ის მუშები, რომელნიც ახლად გამომცხვარ „კავშირს" გაჰყვებიან, დაკარგულნიც იქნებიან კომუნისტური მოძრაობისთვის და მის წინააღმდეგაც იმუშავებენ. სწორედ ჩვენი ვალია ეს „მემარცხენე" მუშებს უთხრათ, მიტომ, რომ მეხუთმეტე ყრილობამდე მხარს ვუჭერდით მათ და ერთგვარი ბლოკი გვქონდა შეკრული მათს ჯგუფთან. „მემარცხენეების" მოღვაწეობისთვის მეხუთმეტე ყრილობამდე ჩვენ ერთგვარი პასუხისმგებლობა გვაწევს. კიდეც ვაღიარეთ თავიანთი შეცდომა ამ მხრით. გერმანელი „მემარცხენეების" ჯგუფს წარსულში დამსახურება მიუძღვის ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1924 წელს კომინტერნის აღმასკომმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირა ამ ჯგუფს (მაშინ იგი შემადგენლობის მხრით ბევრად უფრო ფართო იყო) იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი ოპორტიუნისტების წინააღმდეგ აწარმოებდა, და კინაღამ გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობაც კი მიანდო მას. მაგრამ ჩქარა ამ ჯგუფმა უკიდურესი მემარცხენე შეცდომები ჩაიდინა და ახლა მეორე პარტიის შედგენამდე მივიდა.

ვინც სრულიად საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობის შემდეგ ფრაქციულ ბრძოლას განაგრძობს, აუცილებლად მეორე პარტიის დაარსების პრობლემას უნდა მიადგეს, როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ისე მთელს კომინტერნში. მეხუთმეტე ყრილობის შემდეგ, შექმნილი მდგომარეობა ორჩევანს მოითხოვდა: **ან** დამორჩილება კომინტერნსა და საკავშირო კომპარტიისადმი, **ან გათიშვა**, რომელსაც მეორე პარტიის შექმნის ცდა და იდეური გადაგვარება უნდა მოჰყოლოდა. ეს საკითხი სწორედ ასე სდგას, ამის გაგება არ მოისურვეს „შეურიგებელმა" ტროცკისტებმა. დღეს ამას მხოლოდ ბრმა თუ ვერ დაინახავს.

ეს უბრალო ფაქტია. საფრანგეთში „მემარცხენეები" მარქაფათ მიჰყვებიან (იმედია არა დიდი ხნით) პაზსა და სუვარინს, ე. ი. აშკარა მემარჯვენეებს. ჩეხო-სლოვაკიაში „მემარცხენეები" (მაგალითად, მიხალეცი: იმედია არ საბოლოოდ) უკან მისჩანჩალებენ ვანეკს და გულას, ე. ი. აშკარა მემარჯვენეებს. ავსტრიაში „მემარცხენეების" ხელმძღვანელი არის აშკარა, მემარჯვენე ფრეი; პოლანდიაში — ვინკოპი, სნეფლიტი; ბელგ.-ში ოვერსტრატენი, რომელიც პოლიტიკურათ მეტათ ახლო სდგას სუვარინთან; ამერიკაში ისტმენი, რა შედეგს ვღებულობთ? გვიმტკიცებენ, რომ გვინდა „ტერმიდორის" შევებრძოლოთ რუსეთშიო, ხოლო თვითონ **ნამდვილ ტერმიდორულ ელემენტებს** უკავშირდებიან, მაგალითად, სუვარინს, პაზს და ისტმენს. თითქო უნდათ კომინტერნის გათიშვას შეებრძოლონ და თვითონ მეორე პარტიის დაარსებას აცხადებენ, მაგალითად, მასლოვის „კავშირისას".

1925 — 1927 წლების შინაპარტიული ბრძოლა უმაგალითო მოვლენაა საკავშირო კომპარტიის ისტორიაში, როგორც ხანგრძლივობის, ისე სიმძაფრის და უთანხმოებათა მაშტაბის მხრით. დღევანდელი უთანხმოებათა გაჭიანურებაში რამდენიმეთ უკანასკნელი წლების მთელი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ხასიათი გამოიხატა. ისტორიამ რამდენიმედ თითქო მსვლელობა შენელა კაპიტალიზმის ამ ნაწილობრივი „სტაბილიზაციის" ხანაში. ამით აიხსნება როგორც 1925 — 1927 წლების უთანხმოებათა წარმოშობა, ისე გაჭიანურება. წინათ ბრძოლისა და უთანხმოების ფურცლები უფრო ჩქარა იკეცებოდა.

მაგრამ აი დღეს ეს ფურცელი უკვე გადაბრუნებულია. კლასობრივი ბრძოლის ტემპი საბჭ. კავშირში და მსოფლიო ასპარეზზე აჩქარდა. ზოგიერთს საკითხს თვით ცხოვრება უფრო ჩქარა სწყვეტს. ეს აჩქარებული მსვლელობა კლასობრივი ბრძოლისა ნებას გვაძლევს მრავალ წინანდელ საკამათო საკითხს ისეთი ჯამი გავუკეთოთ, რომ ის უდავოთ **მისაღები გახდეს ყოველი ბოლშევიკისთვის.** ასეთ უდაო გადაწყვეტილებებს წარმოადგენენ მეხუთმეტე პარტყრილობის ზოგადი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და აგრეთვე კომინტერნის აღმასკომის IX პლენუმის და ცეკას და ცეკაკას უკანასკნელი წლის (აპრილის) პლენუმების რეზოლიუციები.

კომინტერნული საკითხებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომინტერნის აღმასკომის IX პლენუმის რეზოლიუციებს. არავის არ ძალუძს დაამტკიცოს, რომ IX პლენუმის რეზოლიუციაში (ან აპრილის ცეკასა და ცეკაკას რეზოლიუციებში „რუსეთის საკითხზე") რაიმე არა ბოლშევიკური, არალენინური მოიპოვებოდეს. ჭკუათ მყოფელი კაცი ვერ უარჰყოფს, რომ ეს რეზოლიუციები ლენინურია. ადამიანმა გონება უნდა დაჰკარგოს ფრაქციულ გაბოროტების წყალობით, რომ ამ გადაწყვეტილებებში, რომელნიც უკვე წარმატებით ხორციელდებიან საფრანგეთსა (უკანასკნელი არჩევნები), ინგლისსა და გერმანიაში, დაინახოს „ზიგზაგი", „ოინი" და სხ... უკვე ბოლშევიკი აღარ არის, ვინც ამ გადაწყვეტილებებს მთელი ძალღონით არ დაუჭერს მხარს. უკვე ბოლშევიკი აღარ არის ის, მარტო წარსული ფრაქციული ბრძოლების მოგონებებით ცხოვრობს, ვინც კვლავ და კვლავ აშიშვლებს ძველ ჭრილობებს და აცხოველებს ძველ შეურაცხყოფას.

გ. ზინოვიევი.

„პრავდა".

---

*) მეორე ფრანგი „მემარცხენე" ტრენი იქამდე მივიდა, რომ დაურიდებლათ სწერს „ახალ რევოლიუციურ ტალღაზე, რომელიც ახლა იწყება და მარტოოდენ შინაპარტიული აღარ იქნება". („კომუნიზმის დროშა" № 5).

*) გადაწყვეტილება რეიხსტაგის არჩევნებში პარალელური კანდიდატებით გამოსვლის შესახებ „მემარცხენეების" [illegible] კრებაზე მიღებულია 90 ხმის უმრავლესობით 26 წინააღმდეგ. როგორც ეტყობინებიან, ამ უკანასკნელთა რიცხვში მასლოვი და რუტ ფიშერიც იყვნენ, რომელნიც ამ შემთხვევაში, როგორც სჩანს, ადვილად დაემორჩილნენ „უმრავლესობას" (ე. ი. გამთიშველთა უმრავლესობას).

კოლმეურნეობათა თათბირის შედეგები

ჩვენში კოლექტივების ზრდა მიდის ერთობ ჩქარი ტემპით. თუ 1926 წელს საქართველოში იყო 32 კოლექტივი, 1927 წელს იყო 85 და 1928 წელს კი გვაქვს 302. ეს ზრდა მოხდა, ცხადია, ყოველგვარ ძალდატანების გარეშე, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ მშრომელი გლეხობა იგნებს მეურნეობის განახლებული ფორმის ხარგებლობას. კოლექტიურ მეურნეობებს ჩვენში არ აქვთ დიდი ხნის ისტორია და მათ ხელმძღვანელებს გამოცდილება. თვით ხელმძღვანელი ცენტრიც ჩამოყალიბდა 3—4 თვის წინად. კოლექტიური მეურნეობათა მშენებლობა კი მოითხოვს მის სწორ ფორმებში გამოკვეთას და მიზანშეწონილ, ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ ხელმძღვანელობას.

კოლმეურნეობათა მშენებლობის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხების განსახილველად საქართველოს კოლმეურნეობების ცენტრის მიერ იქნა მოწვეული თათბირი, რომლის მუშაობა გაგრძელდა 3 დღეს.

15—18 მაისის თათბირს დაესწრნენ, გარდა კოლმეურნეობათა ინსტრუქტორ-ორგანიზატორების და ინსტ. აგრონომებისა, სოფლის კავშირის, ბანკების, მიწსახკომის, საქართველოს ჩაის, პარტიულ ორგანოების და პრესის წარმომადგენლები. თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების მოხსენება მაზრების გამოკვლევის შესახებ; 2. მანქანა-იარაღების მომარაგების, მიწოდების და რაციონალურად გამოყენების საკითხი კოლმეურნეობებში (მიწსახკომის მოხსენება); 3. მიწად-მოწყობის საკითხები კოლმეურნეობებში (მომხსენებელი მიწსახკომი); 4. სპეციალური ტეხნიკური კულტურების განვითარების პერსპექტივები კოლმეურნეობებში (მიწსახკომის მოხსენება) და 5. კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანების საკითხები (მომხსენებელი მიწსახკომი და კოლმეურნეობათა სექცია). ამ საკითხების შესახებ მოსმენილი იქნა დაწვრილებითი მოხსენებები და გაიმართა ფართო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რასაც დიდი ინტერესებით შეხვდენ ყველა დამსწრენი.

ინსტრუქტორების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მაზრებში კოლმეურნეობათა მშენებლობა იღებს მასიურ ხასიათს. გლეხობა დიდი ინტერესით ეგებება წარმოების ამ ახალ ფორმას. კოლექტივებში გაერთიანებულ გლეხობიდან 70 პროცენტზე მეტი ღარიბი გლეხობაა და დანარჩენი საშუალო. მანქანა-იარაღების გამოყენების საქმე ვერაა სათანადოდ დაყენებული; მოისუსტებს აგრო-დახმარების და მიწად-მოწყობის საქმეც. მოხსენებების მოსმენის და მრავალ საკითხებზე პასუხის გაცემის შემდეგ თათბირის წევრებს ნათლად წარმოუდგათ ჩვენი კოლმეურნეობების მდგომარეობა.

მეორე საკითხზე გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სასოფლო მეურნეობა თანდათან გადადის ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

სასოფლო მეურნეობის მაშინიზაციის საკითხის გადაჭრა მოითხოვს მიწათ-მოწყობის პირობების და ტრაქტორებისათვის სამუშაო მიწების გაფართოებას. აქვე წამოიჭრა საკითხი მანქანა-იარაღების შერჩევისა რაიონების, ზონების და მეურნეობების მიხედვით, მანქანების რენტაბელური გამოყენების ძირითადი კულტურებისათვის, საპლატფორმე მანქანების ტიპების შემუშავების, დამხმარე ნაწილების და სახელოსნოების მოწყობის, ხარჯვა მასალების მომარაგების, ტრაქტორისტების მომზადების თვით კოლმეურნ. წრიდან შესაფერ ლიტერატურის გამოცემის და სხვა. ამ საკითხებზე შეჩერდნენ მომხსენებელი და კამათში გამოსული პირები. მოხსენების შემდეგ გამოიყო კომისია ღონისძიებების შესამუშავებლად. წარმოდგენილი ღონისძიებები მეორე დღის სხდომამ მოისმინა და დამტკიცა.

მიწათ-მოწყობის საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა საქართველოს მიწების მდგომარეობა და მიწათ-მოწყობის დადებითი და ხელშემშლელი პირობები. დღეს ყველა მაზრებში მუშაობს 80 მიწის მზომელი. ცხადია, ეს რაოდენობა მიწათმოწყობათა საქართველოსათვის მცირეა, რაც აბრკოლებს მიწათ-მოწყობის ჩქარი ტემპით განხორციელებას კოლექტივებში. მიწათ-მოწყობის ხატარებას ნაწილობრივ ხელს უშლის ჩვენი მიწის კოდექსის ზოგი მუხლები, რომლებიც უახლოეს მომავალში შეცვლილი უნდა იქნეს. ამ მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასასრულ გამოიყო კომისია, რომელმაც შეიმუშავა და თათბირმა დაამტკიცა ღონისძიებები კოლმეურნეობების მიწათ-მოწყობის ჩასატარებლად. ამ ღონისძიებების მიხედვით მიწების მოწყობა კოლექტივებში დამთავრებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის დასასრულს.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება საქართველოს სპეციალური-ტეხნიკური კულტურების განვითარების პერსპექტივებზე კოლმეურნეობებში. აღნიშნულ საკითხის გაშუქების დროს ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებას: საქართველოში მაზრების და რაიონების მიხედვით განვითარებულია ტეხნიკური კულტურების შემდეგი სახეები: 1. მევენახეობა კახეთსა და იმერეთში; უმნიშვნელოდ რაჭაში და გურია-სამეგრელოში; 2. თამბაქო ხარობს კახეთში (ლაგოდეხის რაიონში), გურიაში და სამეგრელოში; 3. ბამბა—ბორჩალოში, კახეთში, იმერეთში და სამეგრელოში) 4. ჩაი—აჭარაში, გურიაში, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში; 5. სუბტროპიკული ხილი—გურის მაზრაში და სხ. უკანასკნელ დროს ჩვენში შემოღებულ იქნა ლეღვის და კანაფის კულტურები. აჭარაში, გურიაში და ზუგდიდის მაზრაში ხალკეთიძე სამეურნეო ეფექტს იძლევა მანდარინის კულტურა. სულ უკანასკნელად გორის მაზრაში, სახელდობრ გორის რაიონში მომზადა ცდებმა ქართლის გასაშენებლად მოგვცა ბრწყინვალე შედეგები. ყველა ზოგით ნაჩვენებულის გარ. ტება სამკურნალო მცენარეები. აი, უმთავრესად ტეხნიკური მეურნეობების ის სახეები, რომლებიც განვითარდნენ და ვითარდებიან საქართველოში.

ჩვენი მიზანია, რათა კოლმეურნეობებმა შეიძინონ სრულად ისეთ სამეურნეო ერთეულებად, რომლებიც განსხვავდებიან ინდივიდუალურ მეურნეობებიდან თავის ტეხნიკით და მოსავლიანობით. თათბირმა მიუთითა კოლმეურნეობების პრაქტიკულ ხელმძღვანელთ, თუ რომელ კულტურის განვითარებას უნდა შეუწყოთ ჩვენ ხელი და რა წესით უნდა ვაწარმოოთ ძვირფასი კულტურების გაშენება. აქ ხაზი გაესვა კონტრაქტაციის სისტემის გატარებას კოლმეურნეობებში, რომლებიც ამუშავებენ ჩაის, თამბაქოს, ბამბას, მანდარინას და სხვას.

ამავე საკითხის განხილვის დროს აღნიშნულ იქნა ყოველ მაზრაში რამოდენიმე საცდელ-საჩვენებელო კოლექტივის მოწყობის საჭიროება. ამ კოლექტივებში მუშაობის სამაგალითოდ დაყენებით ჩვენ საუკეთესო სკოლას შევქმნით მახლობელ კოლექტივებისათვის და საერთოდ შემოგარენ გლეხობისათვის.

სპეციალური კულტურების განვითარების შესახებ ღონისძიებების დასამუშავებლად თათბირმა გამოყო სპეციალური კომისია.

ბოლოს, მოსმენილ იქნა მოხსენება კოლმეურნეობების ჯგუფურად გაერთიანების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ რაიონში ხელშეკრულებით ერთდება რამოდენიმე კოლექტივი, მაგ. 10-დან 15-დე, მეტი ან ნაკლები, იმ მიზნით რომ საერთო საშუალებებით დაიქირაონ აგრონომები და მთავარი საერთო და სწორი სამეურნ. გეგმით აწარმოონ საქმიანობა. ეს ღონისძიება აადვილებს მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეს, ამავე დროს აადვილებს საჭირო პერსონალის აყვანას, რადგან ერთ კოლექტივს ძალა არ შესწევს ერთი აგრონომის ან მთავარი აყვანა (ეს საჭიროც არ არის), მაშინ, როდესაც რამოდენიმე ამას თავისუფლად შეძლებს. ამ საკითხის ირგვლივ შემუშავდა სახელმძღვანელო რეზოლუცია.

აი ის საკითხები, რომლებიც განიხილა თათბირმა და რომელთა შესახებ გამოიტანა დადგენილებანი. საერთოდ თათბირმა საკმაოდ ვრცლად განიხილა კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხები და დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები მე-15 პარტ. ყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

ვლ. ცაგურილი.

ცხვრის ჯოგის შეძენა საქართველოსთვის

საზოგადოება „ოვცევოდ“-ი მოსკოვიდან ატყობინებს საქართველოს მიწად-მოქმედების კომისარიატს, რომ მის მიერ საქართველოს სახალხო მამულების ტრესტისათვის გერმანიაში შეძენილია ვიუტენბერგის ჯიშის ცხვრის ჯოგი. ამ ცნობის საპასუხოდ სახალხო მამულების ტრესტმა საზ. „ოვცევოდ“-ს აუწყა, რომ ჯოგის მისაღებ სადგურად დანიშნულია ბათომი იმ შემთხვევაში, თუ ცხვრის ჯოგი გამოგზავნილი იქნება ზღვით, და ბორჯომი, იმ შემთხვევისათვის, თუ ცხვარი ჩამოყვანილი იქნება ხმელეთით. ტრესტის წარმომადგენლები გერმანიდან მწყემსებს და ცხვრის ჯოგს შეხვდება „ოვცევოდის“ მიერ დანიშნულ დროს, ზღვით და ხმელეთით ერთ-ერთ რომელიმე პუნქტზე.

ა.-კ. კომ. უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოშვება

საზეიმო სხდომა

რუსთაველის თეატრი სავსეა ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტებითა და პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

სხდომას ხსნის უნივერსიტეტის რექტორი ამხ. გულოიანი.

ირჩევენ საპატიო და საქმიან პრეზიდიუმს, რის შემდეგაც კრება ამტკიცებს დღის წესრიგს: უნივერსიტეტის რექტორის ანგარიში, მისალმებები, მხატვრული განყოფილება.

ამხ. გულოიანის სიტყვა

პირველ საკითხზედ მოკლე მოხსენებით გამოდის ამხ. გულოიანი.

მიმდინარე წელი—აღნიშნავს ის,—ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობაში მრავალი დაბრკოლებებით აღინიშნა. ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლება იყო შინაპარტიული ბრძოლა და მასთან დაკავშირებული დისკუსია. უნდა ითქვას, რომ დისკუსიაში უნივერსიტეტმა მთლიანად გამოიჩინა იდეოლოგიური სიმტკიცე.

სხვა დაბრკოლებები იყო კვალიფიციური პედაგოგიური ძალების ნაკლებობა, განსაკუთრებით ეროვნულ სექტორებისათვის (თურქული, სომხური) და სათანადო ლიტერატურის საჭიროება ადგილობრივ ენებზე.

მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ჩვენ შევძელით სამოსწავლო წლის ნორმალურად დასრულება და ზოგიერთი წარმატებასაც მივაღწიეთ. ასე მაგალითად, წინად უნივერსიტეტის პროგრამაში მეტად ადგილი ეჭირა მშრალ მეცადინეობის მასალებს, მიმდინარე წელს ეს ნაკლი აღმოიფხვრა. არის მიღწევები სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობის; მეთოდიურ (ლაბორატორიული გეგმის შემოღება) და სხვა დარგებში.

დასასრულ ამხ. გულოიანი უსურვებს ახლად კურს-დამთავრებულთა ნაყოფიერ მუშაობას და ურჩევს მათ დამოუკიდებლად განაგრძონ მიღებული ცოდნის განვითარება—მარქსიზმის, ლენინიზმის შესწავლა.

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

პირველი—იწყებს ამხ. ორახელაშვილი,—მოგცათ თქვენ თეორეტიული ცოდნა, შეგვარაღათ ისე, როგორიც ეს შეიძლო. თქვენი მოვალეობაა კიდევ უფრო გაღრმავოთ ეს ცოდნა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკმაოდ არ აღმოჩნდება იმ დაბრკოლებათა გადასალახავად, რომელიც თქვენ გიმზადებენ ა.-კავკასიის სინამდვილე.

ჩვენში კიდევ ბევრია ჩამორჩენილი კუთხე, სადაც ჯერ სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლის დიფერენციაციის და კლასიური ბრძოლის საკითხს. ახალმა მუშაკებმა სწორი კლასიური ხაზის გატარებით ადგილებზე უნდა გამოასწორონ ეს ნაკლი.

კულტურის საკითხებს დიდი ადგილი უჭირავთ ა.-კავკასიის სინამდვილეში. აღსანიშნავია, რომ ჩვენში ადგილი ჰქონდა გადახრას, რომელიც გამოიხატებოდა ეროვნული კულტურის ბურჟუაზიულ კულტურად აღთარებაში. ეს აზრი, ცხადია, შემცდარია. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი კულტურა უნდა იყოს ეროვნული თავისი ფორმით და პროლეტარული—შინაარსით. აი ამიტომ უნდა მიაქციოთ თქვენ სერიოზული ყურადღება ეროვნული კულტურის განვითარებას.

თქვენ უნდა მოევლინოთ სოფლებს და ქალაქებს ახალ მამოძრავებელ ძალად და მაღლა ატაროთ იმ 26 კომუნარის წითელი დროშა.

ამხ. ცხაკაიას სიტყვა

— ა.-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, იგი იძლევა კომუნისტური ცოდნით შეიარაღებულ ახალ კადრებს.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნო, თქვენ წინ გეშლებათ ფართო სამუშაო ასპარეზი ჩვენი მშენებლობის ყველა დარგებში. ა.-კავკასიის მთავრობის სახელით გისურვებთ წარმატებებს ახალი სოციალისტური ქვეყნის აშენებაში.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

— მე დიდი კმაყოფილებას განვიცდი,—ამბობს ამხ. მახარაძე—იმის გამო, რომ ჩვენს კვალიფიციური მუშაკებით ღარიბ ქვეყანას ემატება 80 მომზადებული მუშაკი.

ჩვენ კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს გამოუსწორებული და გამოუმჟღავნებელი. ეს გარემოება კიდევ უფრო ადიდებს ახალი ძალების მუშაობის ამოცანას.

ვუსურვებ ამხანაგებს, ყოფილიყვნენ წითელი დროშის ერთგული და გაამართლებდნენ იმ ნდობას, რომლითაც ისინი სარგებლობენ პარტიის თვალში.

მისასალმებელი სიტყვით გამოდიან აგრეთვე ამხ. ამბარცუმიანი, ნიკოლაძე, სახ. უნივერსიტეტიდან—პროფ. მუსხელიშვილი, პოლიტექ. ინსტიტუტიდან—პროფ. ზოიძე, მთავ. სახელოსნო მუშებიდან—ამხ. გ. როინელიძე და სხვ.

საპასუხო სიტყვა

დასასრულ სტუდენტების სახელით მოკლე და შინაარსიანი სამადლობელო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შალვა ცაგარეიშვილმა.

ორატორმა აღნიშნა, რომ ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სტუდენტები არ იზიარებენ ეგრეთ წოდებულ „წმინდა მეცნიერების“ მომხრეთა აზრს. „ჩვენ გვწამს, ამბობს ორატორი, თეორია პრაქტიკასთან შეფარდებული და კერძოდ დღევანდელ სინამდვილეში სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკასთან შეფარდებული თეორია.

ჩვენი საუკეთესო მადლობა იმ ორგანიზაციებს და ამხანაგებს მიმართ, რომლებიც დღეს აქ მოგვესალმნენ, ფიცს ვდებთ, რომ ვიყვეთ ისეთივე მტკიცე, გამობრძმედილი ბოლშევიკები, როგორც ბაქოს 26 კომუნარი, რომელთა სახელსაც სიამაყით ატარებს ა.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი.

ცენტრ. პარტსკოლის კურსანტთა გამოშვება

გუშინ, 20 მაისს, საღამოს 7 საათზე ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრ. პარტსკოლის კლუბში შესდგა საზეიმო სხდომა ახლად კურს დამთავრებულთა გამოშვების გამო.

საზეიმო სხდომა გახსნა სკოლის უფროსმა ამხ. დ. მთავრიშვილმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში შეეხო სამოსწავლო წლის შედეგებს, კურს დამთავრებულთა მომზადების დონეს და იმ მუშაობას, რომელიც უნდა აწარმოონ კურს დამთავრებულებმა ადგილებზე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. მეგრელაძე—საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პოლიტგანათლების მთავარმმართველობის სახელით, ამხ. მუღდლიშვილი—თბილისის კომიტეტის სახელით, ამხ. ხაჭაპურიძე—ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის სახელით, ამხ. ხელეიონ—სკოლის ლექტორთა სახელით. ხსენებულმა ამხანაგებმა მიულოცეს რა კურსანტებს სკოლის დამთავრება, უსურვეს ნაყოფიერი მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ახლად კურსდამთავრებულნი.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა სკოლის კურსანტთა ძალებით.

ახალი ქარხნები

ბარიტის წისქვილი

წელს ამუშავდება ბარიტის ახალი წისქვილი ქუთაისში. წისქვილის მოწყობილობა დამზადებულია საზღვარგარეთ. წისქვილი წლიურად დაფქვავს 400,000 ფუთ ბარიტს.

ახალ წისქვილში დაფქვილი ბარიტი თავის ღირსებით სავსებით დააკმაყოფილებს მაზრის მოთხოვნილებას და ხელს შეუწყობს ბარიტის ფართოდ გამოყენებას სამღებრო მრეწველობაში. წისქვილის აგება დაჯდება ნახევარი მილიონი მანეთი. ეს თანხა გადადებულია საკავშირო საშუალებიდან.

გორის საკონსერვო ქარხანა

გორის მაზრა საქართველოში ითვლება მებაღეობის ცენტრად. ამ მაზრაში მებაღეობის კიდევ უფრო განსავითარებლად გადაწყვეტილია აგებული იქნეს ხილის საკონსერვო და ქარხანა, რომელიც უმთავრესად დაამზადებს ექსპორტისათვის გამოსადეგ ხილს. ამჟამად გორის მაზრაში მუშაობს ერთი საკონსერვო ქარხანა, რომელიც იმდენად მოძველებულია, რომ ვეღარ აკმაყოფილებს მაზრის მოთხოვნილებას. ახალი ქარხნის აგების შემდეგ განზრახულია ხილის კონსერვების გატანა უცხოეთშიც.

ქარხნის აგების გეგმა უკვე დამტკიცებულია და ახლო ხანში დაიწყება ყველა სამშენებლო სამუშაოები.

ქარხანა წლიურად დაამზადებს 55.000 ფუთ მურაბინილ კონსერვს, 55.000 ფ. ხილის კონსერვს და 10.000 ფ. ტომატს. ქარხნის აგების დამთავრება განზრახულია მიმდინარე წლის დამლევისათვის. ქარხნის ასაგები თანხა გადადებულია საკავშირო ბიუჯეტიდან.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული

კვირა დილის შვიდი საათიდან თბილისის ქუჩებს დიდი მოძრაობა ეტყობა. პატარა გოგონები და ვაჟები მხიარული, ცოცხალი სახეებით მიეშურებიან შეკრების წერტილებისაკენ—პიონერ-კოლექტივებში, სკოლებში. ყველა აქ ქორიბულია, ყველა ცდილობს დაუგვიანებლად გამოცხადდეს დანიშნულ ადგილზე.

შეკრების შემდეგ ლენინიანის პიონერები და სკოლები მიემართებიან ხუდადოვის ტყისაკენ, მეორე რაიონი მიდის დიდუბის იქით, ორთა-ჭალის ახლო მინდორში, მესამე რაიონის ოკრიბები ნავთლუღში—ფეხოსან სკოლის ბაღში.

პიონერები დაყოფილი არიან ჯგუფებად, რომლებშიც პიონერ-მუშაკები და მასწავლებლები ატარებენ საუბრებს ბავშვთა კვირეულის შესახებ, ჩმართავენ აგრეთვე მხიარულ თამაშობანი და სხ.

ქალაქის რაიონის პიონერებს გასასვლელ ადგილად ვაკე აურჩევიათ. ეს რაიონი განსაკუთრებით კარგათ მომზადებულა, წინასწარ გაუთვალისწინებია ყველა წვრილმანი, რაც დაკავშირებულია ბავშვთა ქალაქ გარეთ მასიურ გასეირნებასთან. ბავშვები უზრუნველყოფილი იყვნენ სასმელი წყლით, სპეციალურად მოწყობილი კოოპერატიული კარავი მათ საჭმელ-სასმელს აწოდებდა.

რაიონი სამ ჯგუფად იყო განაწილებული. აქაც მოეწყო ვარდენში ორკესტრის ტაქტის ქვეშ, მასიური თამაში: „თეთრები და წითლები“, რაშიაც წითლებმა სასტიკად დაამარცხეს თეთრები და სხვ.

საღამოს, ბავშვთა მოსახლეობისაგან დაცლილი თბილისი ისევ გამხიარულდა უდარდელი კისკისით და პიონერთა ორკესტრის წკრიალა ხმებით.

ბ. ი.

პურის ბაზრის მოწესრიგება

დაპატიმრებულია მთელი რიგი სპეკულიანტები

დაპატიმრებულთა ბინაზე აღმოჩენილია ფქვილი

თბილისის აღმასკომთან არსებული ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია განაგრძობს იმ მიზეზების გამორკვევას, რომელმაც ხელი შეუწყო პურის კრიზისს თბილისის ბაზარზე.

როგორც გამოირკვა, პურის ბაზარზე კრიზისის გამწვავებისა და სპეკულიაციის მიზნით ზოგიერთი პურის საცხობების გამგეებმა და პურის მცხობელთა არტელების წევრებმა გამოსაცხობათ მიღებული ფქვილის ნაწილი გადამალეს. გარდა ამისა პურს ჰყიდდენ ნახევრად ცომს, სისტემატიურად არღვევდენ წონას და სხვა.

ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომისიამ დღემდის ნაზავეთა უკვე მისცა პასუხისგებაში (დამნაშავეთა სია გამოქვეყნებული გვქონდა ჩვენი გაზეთის 19 მაისის ნომერში) და ამჟამად არკვევს დანარჩენ ბოროტმოქმედთა ვინაობას.

კომისიამ გაჩხრიკა პასუხისგებაში მიცემულთა ბინები და აღმოაჩინა შემდეგი: არტელ „ორანი“-ს წევრს გავრილოვს, რომელსაც პირველ გაჩხრეკის დროს საცხობში უპოვეს 5 ტომარა გადამალული ფქვილი, სახლშიაც აღმოაჩნდა გადამალული პირველი ხარისხის 8 ტომარა ფქვილი.

მოქ. მუხრაკიანცს, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული 10 ტომარა ფქვილის გადამალვისათვის, სახლში კიდევ აღმოაჩნდა გადამალული 9 ტომარა ფქვილი.

ამათ გარდა ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომისიამ გუშინ პასუხისგებაში მისცა მოქ. მიხეილ არჩუაძე პურის გამოცხობის დაგვიანებისათვის, პასუხისგებაშია აგრეთვე მიცემული არტელ „ორანი“-ის მე-7 პურის საცხობის გამგე ცომი პურის გაყიდვისა და პურის გვიან გამოცხობისათვის.

თბ. აღმასკომთან არსებული ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიას მიღებული აქვს ღონისძიებები დანარჩენ ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად და პურის ბაზრის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად.

რამდენი ფუთი პური გააქვთ ქალაქიდან

თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომისიამ მოახდინა იმის გამოკვლევა, თუ რამდენი ფუთი გამომცხვარი პური გააქვთ ქალაქიდან ყოველ დღე.

ჩატარებულმა გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ ქალაქიდან ახლო-მახლო სოფლებში ყოველდღიურად გააქვთ საშუალოდ 1386 ფუთი პური.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით პური გააქვთ რკინის-გზის სადგურის რაიონიდან. როგორც გამოირკვა, ამ რაიონიდან რკინის-გზით ჩამოსულ ზოგიერთ პირებს პური გააქვს სპეკულიაციის მიზნით. ასეთ პირების წინააღმდეგ შემდეგში მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

ამჟამად სწარმოებს გამოკვლევის მასალების დამუშავება და მუშაობის დამთავრების შემდეგ იწარმოებს ამ რაიონების პურის ფქვილის გადიდებული ნორმით მომარაგება, სადანაც უფრო მეტი პური გააქვთ თბ. მაზრაში.

ახალი მინერალური წყაროები

აფხაზეთის და ზუგდიდის მაზრაში აღმოჩენილია იშვიათი ღირსების წყაროები.

ამ წინად აფხაზეთსა და ზუგდიდის მაზრაში გაგზავნილი იქნა მინერალური წყაროების მკვლევარი-სპეციალისტი, ჯანსახკომის ლაბორატორიის გამგე — კუპცისი, რომელიც უკვე დაბრუნდა თბილისში.

ქიმიკოსმა კუპცისმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ აფხაზეთში ტყვარჩელის მახლობლად, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მას აჩვენეს იშვიათი ღირსების რადიო-აქტიური მინერალური წყარო.

ღირსებით ამ წყაროს წყალი წააგავს წყალტუბოს წყლებს.

სოფ. ცაიშის მახლობლად (ზუგდ. მაზრა) ჯერ კიდევ რომაელების შემოსვლისას ცნობილი ყოფილა ადგილობრივი მინერალური წყაროები. რომაელების მიერ გაკეთებული ძველი აბაზანები დღესაც დაცულია აღნიშნულ წყაროებთან, სადაც ამოდის კარგი ღირსების გოგირდოვანი წყალი.

სოფ. ჯვარსთან ამოდის ე. წ. კარის წყარო, რომელშიაც ბლომად ურევია ქლორის ნატრიუმი. ასეთი წყალი უებარი საშუალებაა კუჭ-ნაწლავების დაავადებისა და სასუნთქი ორგანოების სისუსტის დროს. ერთმა ავადმყოფმა, რომელსაც ამ რამოდენიმე წლის წინად გასჩენია კუჭის წყლული, ინახულა ყველა გამოჩენილი მკურნალები და შემდეგ მოსარჩენად გაემგზავრა საზღვარ-გარედ, მაგრამ უშედეგოდ. შარშან ავადმყოფი წასულა აღნიშნულ წყაროზე და 14 ბოთლის დალევის შემდეგ მას თავი შესამჩნევად უკეთ უგრძვნია. რამოდენიმე კვირის შემდეგ იგი შეუმოწმებია ექიმებს, რომელთაც დაუდასტურებიათ, რომ სავსებით განკურნებულია.

ქიმიკოს კუპცისის აზრით საჭიროა დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები აღნიშნულ რაიონში კურორტის მოსაწყობად.

მუხურის რაიონში დათვალიერებულ იქნა ქლორიუმიანი წყარო, რომელსაც მახლობელი მცხოვრებნი ხმარობენ ბალღინჯობის მოსახსნელად და ქეცის წინააღმდეგ. წინასწარი ქიმიური გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ წყალში 9 პროცენტს შეადგენს წმინდა ქლორის კალციუმი, რაც იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. კუპცისის სიტყვით ეს წყალი შესაძლებელია გამოდგეს ფილოქსერასთან და ვაზის ჩრჩილთან საბრძოლველადაც.

საქართველოს სახკომსაბჭოში

ა. წ. მაისის 16-ს შესდგა ს. ს. რ. სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო შემდეგი დადგენილებები:

ყარაიაზში საკონსერვო ქარხნის მოწყობის შესახებ

გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა ს. მ. უ. ს. და „სოფლის კავშირის“ გამგეობის შეისწავლონ ყარაიაზში საკონსერვო ქარხნის აგების საჭიროების საკითხი და სათანადო მოხსენება წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს.

წყალსადენის მოწყობა ქ. შაუმიანში

გაერთიანებულმა სხდომამ დამტკიცა წყალთა სამმართველოს მიერ წარმოდგენილი გეგმა ქ. შაუმიანის წყალსადენის გაფართოების შესახებ და წინასწარი ხარჯთაღრიცხვა 5.297 მან. 47 კ. რაოდენობით.

ალმშენებლობის ღირებულების შესახებ

სამშენებლო-ტექნიკო კომიტეტის მოხსენების თანახმად გაერთიანებულმა სხდომამ საქართველო სსრ წინადადება მიეცეს სათანადო უწყებათ მიიღონ მათგან დამოკიდებული ზომები, რათა ორი კვირის განმავლობაში იქნეს გატარებული ა. წ. აპრილის 20-ს თარიღით გამოცემული დადგენილება—1927—28 წელში ალმშენებლობის ღირებულების შემცირებულად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ინჟინერების მოწვევა წყალთა სამმართველოს მიერ

გაერთიანებულმა სხდომამ ნება მისცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოიწვიოს წყალთა მეურნეობის სფეროში სამუშაოდ ინჟ. კოჟეენიკოვი და ინჟ. ზეირიკინი.

მიწად-მოწყობა ბათომ-კობულეთის რაიონში

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, გაერთიანებულმა სხდომამ დამტკიცა აჭარისტანის სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი გეგმა ბათომ-ქობულეთის რაიონში 15.000 [illegible] მცირე მიწის მიწად-მოწყობის [illegible] თან ნება მიეცა აჭარისტანის [illegible] დაიწყოს ამ გეგმის [illegible] საჭირო [illegible].

სავეტერინარო საქმე

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს გადიდოს აფხაზეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის განკარგულებაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად 1927—28 წელში გაღებული კრედიტებიდან აფხაზეთში სავეტერინარო გამოკვლევათა და ოთხფეხი საქონლის რეგისტრაციის გასატარებლად საჭირო—20000 მან.

აბრეშუმის თესლის დარიგების შესახებ

გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა „სოფლის კავშირის“ გამგეობას და „საქაბრეშუმს“ მიიღონ მათგან დამოკიდებული ზომები, რათა აბრეშუმის თესლის დარიგების გეგმა მაქსიმალურად იქნეს შესრულებული.

უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდის განაწილება

გაერთიანებულმა სხდომამ დამტკიცა შრომის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი 1928 წ. მე-3 კვარტალში უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან გაღებულ 101.400 მან. განაწილების შესახებ შემდეგი სახით: ქ. თბილისს 50,000 მ., ბათომს—5.000 მ., სოხუმს—4.000 მ., ქუთაისს—27.400 მ. (მოსახლეობის ხანძრისაგან დაზარალების გამო ქ. ქუთაისს მიეცა ზედმეტი), სამტრედიას—2.000 მ., ქ. ჭიათურას—4.000 მ., ზუგდიდის მაზრას—2.000 მ., სამხრეთ-ოსეთს—2.000 მ., ტრანსპორტისა და მეღვინეობის გადასამზადებლად—1.500 მ., დემობილიზებულ წითელარმიელთა დასახმარებლად—1.500 მ., ორგანიზაციო ხარჯებისათვის—2,000 მან.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. მარკმანის მოხსენება საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ. მომხსენებელმა სხდომას გააცნო სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის მიერ საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად შემუშავებული ღონისძიებები და თბილისის აღმასკომთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება ამავე საკითხზე.

სხდომამ დაამტკიცა საზოგადოებრივ კვების გასაუმჯობესებლად წამოყენებული წინადადებები. შემდეგ იმავე მომხსენებელმა სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა პურის ბაზრის მოწესრიგების მიზნით პურის საცხობების და სავაჭრო პუნქტების სისტემატიური გამოკვლევის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით იწარმოებს პურის საცხობებისა და საფურნეების მდგომარეობის შესწავლა. გამოკვლეული იქნება მათი სანიტარული მდგომარეობა, ის, თუ რომელი საცხობი რამდენ პურს აცხობს, რამდენს ასაღებს თავის დროზე აცხობს თუ არა გამოსაცხობათ მიღებულ ფქვილის ნორმას და სხვა.

ამ გეგმის დამტკიცების შემდეგ სხდომამ მოისმინა წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლის მოხსენება თბილისისა და მის მაზრაში წყალთა მეურნეობის შესახებ და დაადგინა ამ დარგში წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ჩატარებულ მუშაობის უფრო დაახლოებით შესასწავლად და საერთოდ თბილისისა და მის მაზრაში წყალთა მეურნეობის მდგომარეობის გამოსაკვლევად,—გამოყოს სპეციალური კომისია 6 წევრის შემადგენლობით.

საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესება

თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციამ განიხილა თბილისში საზოგადოებრივ კვების გაუმჯობესების საკითხი და დაადგინა, ვინაიდან კოოპერატიულ სასადილოების არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებას, სათანადო საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების წინაშე დაისვას საკითხი ახალი სასადილოების გახსნის შესახებ, პირველ რიგში მუშათა რაიონებში.

არსებულ სასადილოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ზედნადები ხარჯები; გადიდებული უნდა იქნეს სამზარეულოები, რომ შესაძლებელი გახდეს სადილების მეტი რაოდენობით გაცემა; აღიძრას სათანადო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა, რათა კოოპერატიულ სასადილოებს მიეცეთ შეღავათები როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ გადასახადებში; დაევალოს სახალხო კვების კავშირს მოამზადოს სასადილოებისათვის შესაფერი კვალიფიციური მუშა-ხელი.

სექციამ აგრეთვე დაადგინა თბილისში მოეწყოს დახურული სამზარეულოები, სადაც მუშა-მოსამსახურეებს შეღავათიან პირობებში სადილები მიეცემათ მხოლოდ სახლში წასაღებათ.

სასადილოებში სადილების ღირსების დაცვისა და მათი გაიაფების მიზნით მიღებულად ჩაითვალა სამზარეულოების კერძო პირებზე გადაცემა. ამიტომ დაევალა „მუშკოოპს“ და „ზაკტპოს“ სამზარეულოები გადაიყვანონ სამეურნეო ხარჯზე, და შემდეგში აღარ დაუშვან, სამზარეულოების კერძო პირებზე გადაცემის შემთხვევები.

სექციამ აგრეთვე აღნიშნა პურის სიძვირე მუშკოოპის სასადილოებში; მუშკოოპმა უნდა მიიღოს ზომები, რათა თავის სასადილოებში კილო პურზე ფასები არ აღემატებოდეს 25 კაპ., ხოლო კერძო პურზე—5 კაპეიკს.

მიღებულ უნდა იქნეს ზომები დიეტური სასადილოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სექციამ აგრეთვე დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა აღმასკომის წინაშე, რათა გამოიცეს სავალდებულო დადგენილება ახლად ასაგებ სახლებში საზ. კვების სამზარეულოების და სასადილოების მოწყობის გათვალისწინების შესახებ.

სექციის ეს დადგენილება განიხილა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა და მისი ცხოვრებაში გატარების მიზნით დაადგინა აღმასკომთან დაარსებული იქნეს საუწყებათაშორისო კომისია.

ამ კომისიის პირველი სხდომა უკვე შესდგა; სხდომას დაესწრნენ: თბილისის აღმასკომიდან ამხ. მარკმანი, გავაშელი, ჯანმრთ. განყოფილებიდან— ზანდუკელი, სოფლის კავშირიდან—წერეთელი, სახ. კვების კავშირიდან—სიხარულიძე, მუშკოოპიდან—მარკოზოვი, „ზაკტპოდან“— ზანდრინი, სამხედრო კოოპერატივიდან —ბოიკო, და ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიიდან— ურუშაძე.

კომისიამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ფინანსთა სახ. კომისარიატის და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე კოოპერატიულ სასადილოებისათვის ყოველგვარ სახის გადასახადებიდან შეღავათების მინიჭების შესახებ.

წინადადება მიეცეთ კოოპერატიულ ორგანიზაციებს ორი თვის განმავლობაში მოაწყონ დახურული სასადილოები. კერძოდ მუშკოოპს ევალება ამ ხნის განმავლობაში გახსნას 4 დახურული სამზარეულო, „ზაკტპოს“—2, სამხედრო კოოპერატივს—2.

მეცნიერება და ტეხნიკა

სისხლის მოძრაობის აღმოჩენის 300 წლ. თავი

1553 წლის 27 ოქტომბერს დილა ადრიან, შვეიცარიის დედა ქალაქის—ჟენევის ერთ-ერთ მოედანზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მოედნის შუა გულში, შეიარაღებულ დარაჯთა წრის შიგნით, მჭყობრ უჯრედებით დაწყობილ შეშებს ის იყო ცეცხლი წაუკიდეს ირგვლივ. ამ საქმისათვის მიჩენილი პირები ძალიან ცდილობდნენ, რომ ცეცხლი სწრაფად გაღვივებულიყო, მაგრამ დილის ნამი, რომელსაც დაესველებია შეშა, ებრძოდა და აღრჩობდა ცეცხლს. ალის წვეტიანი ენები ზანტად მიიზლაზნებოდენ შეშიდან შეშაზე და ხან კი ისევ იმალებოდნენ კვამლის შავ და მაღრჩობელა ტალღებში. მოედანზე თავმოყრილი ბრბო გაშტერებული მისჩერებოდა ცეცხლის შუა გულს და გაფაციცებით ათვალიერებდა იქ იმას, ვინც იყო მიზეზი ამ უცნაური ამბავის. არაფერი სჩანდა: კვამლი სამგლოვიარო ზეწარივით გადაეფარებინა ყველაფერს. მაგრამ აგერ მობერილის სუსტმა სიომ, რომელიც თავს დასცქეროდა ჟენევას, მოსწყდა მთის გულიდან სიო, შემოიჭრა მოედანზე, ცელქი ხტუნვით შემოურბინა შეშიკონას და გააცხოველა ცეცხლი. შემდეგ გადაშმა ცეცხლის შუა გულს, გაარღვია კვამლის სამგლოვიარო ძაძა და მღელვარე ბრბოს უამრავ თვალებს წარმოუდგინა იშვიათი სურათი: კოცონის შუა გულში, ცეცხლის ტალღებში თავისუფლად გაჩერებულიყო ცოცხალი ადამიანი, ხელში მას წიგნი ეჭირა და ხან ამ წიგნს ფურცლავდა დინჯად და ხან კი ირონიულის ღიმილით გადასცქეროდა გატვრინებულ ბრბოს. ეს ადამიანი იყო მიხეილ სერვეტი, გამოჩენილი ესპანელი მეცნიერი—ექიმი, რომელმაც აღმოაჩინა სისხლის მიმოქცევის პატარა წრე, ის წრე, რომლითაც სისხლის ნაკადი მოძრაობს გულსა და ფილტვებს შორის იმ მიზნით, რომ ჰაერის შესუნთქვის დროს სისხლმა ფილტვებში მიიღოს სიცოცხლისათვის აუცილებელი ჟანგბადი.

იმ დროის მეცნიერებას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა სუნთქვის მოვლენებზე და სისხლის მიმოქცევის გზებს ორგანიზმში სრულიად არ იცნობდა. უძველეს დროიდან გაბატონებული იყო შეხედულება, რომ სისხლი ბრუნავს მხოლოდ ვენებში და არტერიები კი შეიცავენ მარტოკა ჰაერს ანუ „სულს“; შესუნთქული ჰაერი ანუ „სული“, ამ წარმოდგენით, გადადის ფილტვებიდან უშუალოდ მარცხენა გულში და აქედან არტერიებში, ამ ძველ შეხედულებით ვენური სისხლი იღებს ჰაერს ფილტვებიდან კი არა, არამედ პირდაპირ მარცხენა გულიდან და ჰაერის გადასასვლელი გულის ძგიდეში არსებობს სპეციალური სანათურები, რომლებიც სინამდვილეში, რასაკვირველია, არ არსებობენ. ეს შეხედულება ეკუთვნის ძველი საბერძნეთის ერთ ფილოსოფოსს, სახელად პრაქსაგორს, რომელიც სცხოვრობდა მეოთხე საუკუნეში „ქრისტეს დაბადებამდის“. თუმცა მეორე მეცნიერმა—გალენმა უკვე მეორე საუკუნეში „ქრისტეს დაბადების“ შემდეგ დაამტკიცა, რომ არტერიებში ჰაერი კი არა, არამედ სისხლი მოძრაობს, მაგრამ პრაქსაგორის შეხედულება ძალიან ესარგებლებოდა სამღვდელოებას, რომელიც ამ შეცდომით წარმოდგენას იყენებდა თავის სასარგებლოდ და სარწმუნოების განსამტკიცებლად. სამღვდელოება ასწავლიდა ხალხს, რომ აი, სწორედ, რომ შესუნთქვის დროს ხორციელდება კავშირი „უფალ ღმერთსა“ და ადამიანს შორის „სული წმინდის“ საშუალებით. ამ გზითვე შედის ადამიანში და ეპატრონება მას „მავნე სულიც“ და სხვ.

მიხეილ სერვეტმა სასტიკად გაილაშქრა ამ ცრუ რწმენის წინააღმდეგ თავის თხზულებებში.

სერვეტი იყო შეგირდი იმ დროინდელი გამოჩენილ მეცნიერ-ანატომის სახელად ვეზალიუსის და მისგან შეთვისებული ქონდა ის პრინციპი, რომ სიმართლე აუცილებლად ფაქტებს უნდა ემყარებოდეს. ამისათვის მან ცხოველებზე დაკვირვებით შეისწავლა სისხლის მიმოქცევის პატარა წრე და ახსნა, რომ ვენური სისხლი გროვდება მარჯვენა გულში, აქედან გადადის ფილტვებში, სადაც იწმინდება სუნთქვის დროს და შემდეგ ბრუნდება უკვე მარცხენა გულში. ამგვარად, მან დაადასტურა გალენის აღმოჩენაც, რომ მარცხენა გულში ჰაერი კი არა, არამედ სისხლი მოძრაობს და, თავის მხრივ, ზედმიწევნით ახსნა სისხლის ბრუნვის პატარა წრეც, რომლითაც ორგანოები ღებულობენ ჟანგბადს.



მიგუელ (მიხეილ) სერვეტი
(1509—1553)

ამ აღმოჩენის გამოქვეყნებამ ძალიან აალელვა სამღვდელოება. ასეთი შეხედულება ეჭვს უბიძგავდა მორწმუნეთ „სული წმინდის“ არსებობაში და ძირს უთხრიდა თვით სარწმუნოებასაც. ცხადი იყო, რომ ამას არ აპატიებდენ მიხეილ სერვეტს. და აი, მართლაც, სამღვდელოების მამამთავარმა, ცნობილმა კალვინმა, მოითხოვა ამ ბრწყინვალე ნიჭის მქონე ადამიანის სიკვდილით დასჯა:—ცოცხლად ცეცხლში დაწვით, მის თხზულებებით ერთად.

აი სწორედ ეს მიხეილ სერვეტი იწვოდა ცოცხლად ბრბოს წინაშე 1553 წლის 27 ოქტომბერს.

უკანასკნელად შემოურბინეს ტალღებმა კოცონს გარშემო, უკანასკნელად გაამუქა მოზღვავებულმა ალმა მიხეილ სერვეტის ჰკვიანი თვალები და მაღალი, მტკიცე შუბლი, რომლის წიაღშიაც დაიბადა პირველად ეს დიდებული აზრი, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის ფიზიოლოგიას.

მიხეილ სერვეტის ნაღვაწევიდან კაცობრიობას სახსოვრად დარჩა მხოლოდ ორი წიგნი, ცეცხლისაგან გადარჩენილი ფურცლებით, რომელთაგან ერთი ინახება ვენაში, და მეორე პარიზში, ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მაგრამ ჯალათების მიერ მიხეილ სერვეტისათვის დანთებულმა ცეცხლმა, უფრო გააღვივა ინტერესი ამ საკითხისადმი და კვლევა-ძიების ხალისი გაუღვიძა მეცნიერთ. და თუ ფილოსოფოს პრაქსაგორიდან 20 საუკუნეს ელოდა კაცობრიობა ამ პატარა სინათლის შუქს, რომელიც მიხეილ სერვეტმა შეიტანა ბნელით მოცულ სისხლის მოძრაობის მოვლენაში, სერვეტის შემდეგ ერთ საუკუნესაც არ გაუვლია, რომ 1628 წელს გამოქვეყნდა ინგლისელ მეცნიერის უილიამ გარვეის სამეცნიერო შრომა „ანატომიური გამოკვლევა გულისა და სისხლის მოძრაობისა ცხოველებში“, რომლითაც სავსებით იქნა ახსნილი სისხლის მიმოქცევის გზები მთელს ორგანიზმში.

ამგვარად, მიმდინარე წელს, სწორედ 300 წელი შეუსრულდა ამ მნიშვნელოვან მოვლენას, რომლითაც მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა, როგორც მეცნიერულ ფიზიოლოგიას, ისე, როგორც სამკურნალო მეცნიერებასაც, რომელიც ფიზიოლოგია წინ უძღვის და გზას უკვალავს. „ოქროს თხზულება“—ასეთი სახელი ლევს.

უილიამ გარვეი წმინდა წყლის ნატურალისტია. მას არა სწამს ყოველივე ის, რაც წინაპრებისაგან მხოლოდ გადმოცემით მიუღია და რასაც აშკარა ფაქტები არ უძღვის წინ. განათლებულ ადამიანისაგან იგი მოითხოვს იმას მხოლოდ ის, რაც თავისუფალი კვლევა-ძიებით და დაკვირვებით შეუსწავლია. უილიამ გარვეის თხზულებაც აშენებულია მხოლოდ ფაქტებზე, რომლებიც მან შეაგროვა ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა და ცხოველებზე და ადამიანებზე დაკვირვების შემდეგ. მისი თხზულება იწყება გულის აგებულების და მუშაობის აღწერით. რასაკვირველია ეს აღწერა ემყარება მხოლოდ იმას, რაც უბრალო თვალით ინახება და ის, რთული შუაა რადგენილი თვალით უხილავი მექანიზმი კი, რომელიც შეუჩერებლად ამოძრავებს გულს, დღევანდლამდის არ არის სავსებით გარკვეული და შესწავლილი. უილიამ გარვეის ქონდა იშვიათი შემთხვევა საკუთარი თვალით ენახა ცოცხალი ადამიანის გულის მუშაობა. ეს იყო ინგლისელ ლორდის მონტგომერის შვილი, რომელსაც ძვლის ჭლექით განადგურებული ქონდა ნეკნები მარცხენა მკერდის ფარგლებში და მისი გულის მუშაობა ნათლად სჩანდა.

გულის მუშაობისა და აგებულობის აღწერის შემდეგ უილიამ გარვეი გადადის სისხლის მილების აღწერაზე და ჰყოფს მათ არტერიებად, რომლებიც მოაქვთ სისხლი გულიდან ორგანოებში და ვენებათ, რომლებიც სისხლი ქსოვილებიდან მოაქვთ უკან გულში. აღწერს დაწვრილებით სისხლის მოძრაობის პატარა წრესაც, რომლის ზედმიწევნითი ახსნა მოეცა უკვე მიხეილ სერვეტმა.

მხოლოდ ერთი რამის ვერ მისწვდა უილიამ გარვეის გონიერება. მას ეგონა, რომ სისხლი, რაკი მიაღწევს ქსოვილებს, უკვე თავს ანებებს სისხლის მილებს და თავისუფლად იფანტება ქსოვილის სიღრმეში და შემდეგ ისევ გროვდება, შედის ვენურ მილებში და ბრუნდება გულში. ამგვარად, პატარა მიკროსკოპიული სისხლის მილაკების—კაპილარების არსებობაზე მან არაფერი იცოდა. ეს გარემოება მის გუნიასინობისათვის მიუწვდომელი იყო, რადგან მიკროსკოპი მაშინ მოგონილი არ იყო. თავის თხზულების დასასრულში უილიამ გარვეი ისევ გულის აგებულებას უბრუნდება და აკეთებს სწორ დასკვნას, რომ რამდენადაც მაღალ საფეხურზე სდგას ორგანიზმის განვითარებით ცხოველი, იმდენად რთულია აგებულება მისი გულისა და სისხლის მოძრაობის ორგანოთა მთელი სისტემაც.



ვილიამ გარვეი
(1578—1658)

ბევრი მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდენ გარვეის ახალ შეხედულებებს და მათ შორის დიდი ავტორიტეტული მეცნიერებიც. მაგრამ უილიამ გარვეის მიერ წამოყენებული ფაქტების ძალა მათ ავტორიტეტზე უფრო მძლავრი აღმოჩნდა. გარვეის ხვდა წილად იშვიათი ბედნიერება. იგი სიცოცხლითვე იცნეს. ლონდონის საექიმო კოლეგიამ, რომელსაც მიუძღვნა გარვეიმ თავისი თხზულება, მის სხდომების დარბაზში დაუდგა ქანდაკება, შემდეგის წარწერით: „უკვდავ ადამიანს უილიამ გარვეის. ის, ვინც აღმოაჩინა სისხლის მოძრაობა და ცხოველთა დაბადება გამოიკვლია, ღირსია უკვდავად ქნილ იყოს ამ ქანდაკებაში“.

ექ. გიორგი ა. ცქიმანაური.

გადატრიალება მიმოსვლის ტეხნიკაში

(წერილი გერმანიიდან)

ბერლინის პრესა უკვე დიდი ხანია აუწყებდა, რომ გერმანიის ცნობილი სამანქანათმშენებლო და საავტომობილო ფირმა—ოპპელის ფირმა ამზადებს ახალ სასპორტო ავტომობილს, რომელიც მოძრაობაში იქნება მოყვანილი სრულიად ახალი საშუალებით. იუწყებოდენ, რომ ავტომობილის კეთებაზე მუშაობს ცნობილი გერმანელი კონსტრუქტორი, ოპპელის ფირმის თანამშრომელი —ზანდერი. იუწყებოდენ აგრეთვე, რომ ზანდერის გამოგონება მთელ გადატრიალებას მოახდენს მიმოსვლის ტეხნიკაში და რომ ზანდერის სისტემის მოტორს მცირეოდენი რაოდენობის საწვავი მასალის დახარჯვით შეუძლია დიდი სისწრაფის განვითარება.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ეს ხმები დადასტურდა. ოპპელის ფირმის ავტომობილების გამოსაცდელ მოედანზე რიუსელსხეიმში გაიმართა ახალი ავტომობილის პირველი გამოცდა. ყველა შესავლები მოედანზე წინასწარ ჰქონდა დაკავებული პოლიციას როგორც სჩანს, ფირმას განზრახული ჰქონდა გამოცდა საიდუმლოთ ჩაეტარებია, რომ იმ შემთხვევისთვის, თუ გამოცდა ნაყოფს არ გამოიღებდა, სახელი არ გატეხოდა.

მაგრამ გამოცდა ბრწყინვალე წარმატებით დასრულდა. ახალმა სასპორტო მანქანამ განავითარა არაჩვეულებრივი სისწრაფე. გამოცდის მეორე დღეს ოპპელის ფირმის დირექციამ პრესაში გამოაქვეყნა ზოგიერთი განმარტებები, რამაც ფარდა ახადა გამოგონების საიდუმლოებას.

უაღრესად დაინტერესებულმა საზოგადოებამ ამ განმარტებებიდან გაიგო, რომ ახალი სასპორტო ავტომობილის მოძრაობაში მოჰყავს არა კომპრესორს, რომელიც წარმოადგენს საავტომობილო ტეხნიკას უკანასკნელ სიტყვას და არც გაზის ტურბინას, რომელსაც სპეციალისტები შინაგანი წვის ძრავების მემკვიდრედ სთვლიან. ზანდერის ავტომობილში გამოყენებულია სრულიად ახალი და უაღრესად გაბედული პრინციპი—ე. წ. რეაქციური ანუ მაზხალის მოძრაობის პრინციპი. ზანდერის მოტორი წინსვლისათვის სარგებლობს გაზების წნევ ენერგიით. ეს იდეა ძველთაგანვე იქცევდა ტეხნიკური აზრის ყურადღებას, და დიდი ხანია დამუშავებულია პლანეტთა შორის მიმოსვლის საკითხთან დაკავშირებით. ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობდენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც არის ამერიკელი გოდდარი, რუსი გამომგონებელი ციოლკოვსკი, ვალიერი და სხ. მაგრამ მხოლოდ ზანდერს ეკუთვნის ამ იდეის პრაქტიკულად გამოყენება დედამიწაზე მიმოსვლისათვის.

ზანდერის მოტორის ტეხნიკური დეტალები საიდუმლოებით არის მოცული. ოპპელის ფირმა მალავს ამ დეტალს. მაგრამ, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები და რიუსელსხეიმში ჩატარებული ცდები, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ეპოქალურ გამოგონებასთან, რომელმაც გადატრიალება უნდა მოახდინოს მიმოსვლის ტეხნიკაში.

ოპპელის ფირმას განზრახული აქვს ახლო ხანში ჩაატაროს ახალი ავტომობილის საგზაო გამოცდა, რომ სამხედრო და კომერციული წრეები დაარწმუნოს მიმოსვლის ახალი სისტემის უპირატესობაში. ფირმას განზრახული აქვს აგრეთვე შეუდგეს ახალი სისტემის ავტომობილების მასიურ დამზადებას.

ფირმას კიდევ უფრო ფართო გეგმები აქვს დასახული: განზრახული აქვს ააგოს ორთქლმავალი, მოწყობილი ზანდერის სისტემის მოტორით. ახალი ორთქლმავალის საშუალებით განზრახულია მატარებლის სვლის სისწრაფის მსოფლიო რეკორდის დამყარება. პირველობა მატარებლების სვლის სისწრაფის მხრივ ამჟამად ინგლისს ეკუთვნის.

ოპპელის ფირმის დირექცია ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიის მთავრობასთან რკინისგზის ხაზის დათმობის შესახებ წინასწარი ცდების ჩასატარებლად. როგორც გაზეთები იუწყებიან, გერმანიის მთავრობა თანახმაა ფირმის წინადადებაზე.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 30 აპრილი.

პროფ. მ. პ. ტუშნოვის მნიშვნელოვანი აღმოჩენა

ჟურნალ „ნაუკა ი ტეხნიკა“-ს № 17 მოთავსებულია ექიმ ვ. ტიმოფეევის მეტად საინტერესო წერილი, ყაზანელი პროფესორის მ. პ. ტუშნოვის აღმოჩენის შესახებ, რომელიც უდიდეს მოვლენას წარმოადგენს მედიცინაში.

ეს აღმოჩენა შემდეგში მდგომარეობს:

ჩვენი სხეულის თითეული ორგანო გარდა პირდაპირი დანიშნულების შესრულებისა, სისხლში გამოჰყოფს განსაკუთრებულ ქიმიურ ნივთიერებებს, ცნობილთ ე. წ. „ჰორმონების“ სახელწოდებით. ამ ჰორმონებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებისათვის. ჰორმონების აღმოჩენის წყალობით, შესაძლებელი შეიქნა ისეთი ავადმყოფობათა მკურნალობა, როგორიც არის კრეტინიზმი, ბაზედის ავადმყოფობა და სხვ.

ჰორმონების შესწავლის დროს შენიშნულ იქნა, რომ ჩვენი ორგანიზმის მიერ გამოყოფილი ზოგიერთი დაშლის პროდუქტები—შარდი, ნაღველი, ოფლი,—სისხლში უკან შეყვანის დროს სწამლავენ ორგანიზმს. დაშლის ამ პროდუქტებისაგან (რომელთაც „ჰისტოლიზატებს“ უწოდებენ) თავდაცვის მიზნით სხეულის შესაფერი ორგანო აძლიერებს თავის მოქმედებას და „იწყებს მუშაობას მაქსიმალური ენერგიითა და ნაყოფიერებით“.

მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, პროფ. ტუშნოვმა ყაზანის საბიტარო ინსტიტუტის პრივატ-დოცენტს ექიმ რუდოვსკის დაავალა მთელ რიგ პრეპარატების დამზადება ცხოველთა სხვადასხვა ქსოვილებიდან. მრავალრიცხოვანმა ცდებმა პროფ. ტუშნოვი დაარწმუნა, რომ მისი „ჰისტოლიზატები“ აძლიერებენ და უფრო ნაყოფიერად ხდიან შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებას, რაც აიხსნება „ჰისტოლიზატების“ გამაღიზიანებელი გავლენით ამ ჯირკვლებზე.

მეტად საინტერესო შედეგები გამოიღო ახალგაზრდა ცხოვ. სათესლე ჯირკვლებიდან დამზადებულმა პრეპარატმა, რომელსაც „ტესტოლიზატი“ უწოდეს. „ტესტოლიზატი“ ისეთივე გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, როგორც გაახალგაზრდავების ოპერაცია. მისი გავლენა გამოსცადეს 300 კაცზე. პაციენტების 82 პროცენტს „ტესტოლიზატის“ მიღების შემდეგ გაუძლიერდა სქესობრივი უნარი, შრომის უნარი და საერთოდ დაეტყო ჯანმრთელობისა და ფსიქიური მოქმედების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

„ტესტოლიზატის“ მსგავსად საკვერცხეების გამონაჟონიდან დამზადებულ იქნა ე. წ. „ოვარიოლიზატი“, რომელიც რამდენიმე ასეულ ქალზე გამოსცადეს: ყველა მათგანს დაეტყო ჯანმრთელობის საერთო გაუმჯობესება, სიცოცხლის ხალისი, შრომის უნარიანობის ზრდა და სხვ.

განსაკუთრებით კარგი შედეგი გამოიღო „ოვარიოლიზატმა“ ქათმებზე ცდების დროს. ბებერმა ქათამმა, რომელსაც კვერცხის დების უნარი დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა, „ოვარიოლიზატის“ მიღებიდან 7 დღის შემდეგ ისევ დაიწყო კვერცხის დება და დღეში დებდა ორ კვერცხს (დილა-საღამოს. თითეულ კვერცხში ორი ცილი აღმოჩნდა).

ტუშნოვის მეთოდით დამზადებულ სხვა „ჰისტოლიზატებიდან“ საინტერესოა „ლიეტოლიზატი“ და „მამოლიზატი“.

„ლიეტოლიზატი“ გამოსცადეს ძაღლზე და მან გამოიწვია სათესლესა და საკვერცხეების სრული ატროფია. ამ ცდით დამტკიცებულ იქნა შესაძლებლობა ცხოველის ბიოლოგიური კასტრაციისა (დასაჭურისებისა) სასქესო ორგანოების ამოუჭრელად. საინტერესოა, რომ „ლიეტოლიზატის“ მიღების შემდეგ ძაღლი სწრაფად გასუქდა.

„მამოლიზატი“, როგორც ცდებმა დამტკიცა, ხელს უწყობს წველის გადიდებას. „მამოლიზატის“ მიღების შემდეგ ეფსმა თხამ, რომლებზედაც მოახდინეს ცდები, წველა გაადიდა 88 პროცენტით.

აცრა ჭლექის წინააღმდეგ

ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა კალმეტმა ახლახან გამოაქვეყნა ცნობები ჭლექის წინააღმდეგ აცრის (იხ. „კომუნისტი“ №) შედეგების შესახებ.

საფრანგეთის მთელ რიგ ოლქებში ჯანმრთელობის ორგანოებმა ძლიერ ფართოდ ჩაატარეს ჭლექის საწინააღმდეგო აცრა კალმეტის წესით. არის ადგილები, სადაც აცრილ იქნა ახალშობილ ბავშვთა 85 პროც. სულ საფრანგეთში წარსული წლის 1-ლი დეკემბრისათვის კალმეტის წესით აუცრიათ 52.772 ბავშვს.

იმ მიზნით, რომ ნათელი შეიქნეს აცრის დადებითი შედეგები, საჭიროა ზოგიერთი ციფრობრივი ცნობების მოყვანა. ერთ წლამდე ბავშვების სიკვდილიანობა (საფრანგეთში) 1921 წლიდან (1926 წლამდე მერყეობდა 8,5—11,6 პროცენტამდე; ამავე ჰასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა კი მხოლოდ ჭლექიდან (თუ ბავშვები ცხოვრობდენ ჭლექიან ავადმყოფებთან ერთად) უდრიდა 24 პროც.

3.808 ბავშვიდან (ჰასაკით—ერთ წლამდე), რომლებიც ჭლექიანებთან ერთად ცხოვრობდენ, მაგრამ აცრილი ჰქონდათ კალმეტის წესით სხვადასხვა ავადმყოფობათაგან გარდაიცვალა (საერთო სიკვდილიანობა) 118, ე. ი. 3,1 პროცენტი, ჭლექისაგან კი—მხოლოდ 34, ე. ი.—0,9 პროც.

ამრიგად სიკვდილიანობა ხსენებულ ჰასაკის (ერთ წლამდე ბავშვთა, რომლებიც ცხოვრობდენ ჭლექიანთა წრეში, აცრის წყალობით შემცირდა 26-ჯერ. თუ შევადარებთ ამ ჰასაკის აცრილ ბავშვთა საერთო სიკვდილიანობას (ე. ი. სიკვდილს სხვადასხვა ავადმყოფობათაგან) იმავე ჰასაკის ყველა (აუცრელ) ბავშვთა სიკვდილიანობას, დავინახავთ, რომ სიკვდილიანობა აქაც შემცირებულია 2,7-ჯერ მაინც.

1-დან 4 წლამდე ჰასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, როცა ბავშვები ცხოვრობენ ჭლექიანებთან ერთად, სხვადასხვა მეცნიერთა ცნობებით მერყეობს 1,2-დან 14 პროც.

ხსენებულ ჰასაკის 1.941 ბავშვიდან, რომელთაც აცრილი ჰქონდათ კალმეტის წესით, მაგრამ ჭლექიანთა წრეში ცხოვრობდნენ, ჭლექისაგან მოკვდა მხოლოდ 4, ე. ი.—0,2 პროცენტი. ამრიგად, ამ ჰასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა ჭლექისაგან აცრის საშუალებით შემცირებულ იქნა 6-ჯერ, აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ ამ ჰასაკის აცრილ ბავშვებიდან არც ერთი არ მომკვდარა წლისა და 4 თვის შესრულების შემდეგ.

მრავალი ფრანგი ექიმები ამტკიცებენ, რომ აცრა ჭლექის წინააღმდეგ დადებითი გავლენას ახდენს სხვა ავადმყოფობებზეც. აცრილი ბავშვები უფრო იშვიათად ავადმყოფდებიან ნაწლავების და ფილტვების ავადმყოფობით, ხუნაგით, ქუნთრუშათი და სხვ. და თუ დაავადმყოფდნენ, ავადმყოფობა იოლ ფორმებში მიმდინარეობს.

ასეთია კალმეტის წესით აცრის საშუალებით საფრანგეთში მიღებული ბრწყინვალე შედეგები. აქ მხედველობაშია მისაღები ერთი გარემოება. პროფ. კალმეტი ამტკიცებს, რომ მისი წესით აცრას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოჰყვეს მავნე შედეგები. მაგრამ ზოგიერთ რუს მეცნიერების, კერძოთ კი პროფ. კორშუნის დაკვირვებები ამტკიცებენ, რომ კალმეტის წესით აცრას მაგ. ზღვის გოჭისათვის, შეუძლია (მართალია, იშვიათ შემთხვევებში) ჭლექის ნამდვილი პროცესის გამოწვევა. ამრიგად, აცრას კალმეტის წესით, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია სუსტ უარყოფითი მოვლენების გამოწვევა. მართალია, ეს გამონაკლისი შემთხვევები არ შეიძლება ჩაითვალოს კალმეტის მეთოდის უარსაყოფ არგუმენტად, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერები საჭიროდ თვლიან ერთგვარი სიფრთხილის დაცვას ამ მეთოდის გამოყენებაში.

პ. ა. პროზოროვსკის გამოგონება

ვის არ შეუმჩნევია, რომ რკინისგზის სადგურებიდან მატარებელი ვერ დაიძვრის, სანამ სადგურის უფროსი ან უფროსი კონდუქტორი მემანქანეს არ გადასცემს კვერთხს—სპეციალურ რკინის ჯოხს. კვერთხი იდება საგანგებო აპარატში, რომელიც აღნიშნავს მატარებლის წასვლის დროს. კვერთხის გამოღება აპარატიდან არ შეიძლება მანამ, სანამ პირველი სადგურიდან (საითკენაც მატარებელი მიდის) არ მოვა ნიშანი, რომ გზა თავისუფალია. შემდეგ სადგურში მატარებელი ისევ უნდა გაჩერდეს კვერთხის მისაღებად. ჩქარ მატარებლებსაც კი აგვიანებს ეს დაუსრულებელი გაჩერება სადგურებში კვერთხის მისაღებად.



მასწავლებელი პ. ა. პროზოროვსკი

ამ გარემოებამ მიიპყრო ყურადღება მასწავლებელ პ. ა. პროზოროვსკის (სოფ. სპასსკო, მოსკოვის გუბერნია), რომელიც შეუდგა ფიქრს იმაზე, თუ როგორ მოეწყო კვერთხის გადაცემა მემანქანისათვის ისე, რომ მატარებელს გაჩერება არ დასჭირვებოდა.

რადგან სარკინიგზო ტეხნიკის საკითხები სრულიადაც უცნობი იყო მასწავლებელ პროზოროვსკისათვის, მას დიდი დრო, შრომა და ენერგია დასჭირდა, სანამ შესაფერ მოწყობილობას გამოიგონებდა. გამოგონებულ აპარატში, გამოცდის შემდეგ, საჭირო გახდა მთელ რიგ ცვლილებების შეტანა, მაგრამ დაუღალავი შრომის წყალობით ამოცანის მთავარი ნაწილი გადაჭრილია—საბჭოთა კავშირს ამჟამად მოეპოვება მოწყობილობა, რომელიც ავტომატიურად აწვდის კვერთხს მემანქანეს და ზედმეტად ხდის მატარებლის გაჩერებას ამ მიზნით.

ასეთი აპარატი უცხოეთში ჯერ არ არის გამოგონებული.



პროზოროვსკის „კვერთხდამჭერი“ აპარატი, რომელზეც მიბმულია სასწრაფო ფოსტა

ამჟამად ჩრდილოეთის რკინისგზებზე, 400 კილომეტრის მანძილზე ეწყობა პროზოროვსკის სისტემის „კვერთხდამჭერი“.

საგულისხმოა ის არის კიდევ, რომ პროზოროვსკის გამოგონება შესაძლებლად ხდის 2 კილოგრამ სასწრაფო ფოსტის ავტომატიურად გადაცემას მემანქანესათვის კვერთხთან ერთად.

ახალი პლანეტა

ამერიკელი ასტრონომი პიკერინგი ფიქრობს, რომ მზის სისტემაში არსებობს ახალი, ჯერ აღმოუჩენელი პლანეტა. რომ ასეთი პლანეტა არსებობს, ამას პიკერინგი შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებს: მზის სისტემის უშორესი პლანეტის — ნეპტუნის გზა არ წარმოადგენს სწორ ელიპსს, როგორიც ეს უნდა ყოფილიყო თეორეტიული გამოანგარიშებით, არამედ მას ემჩნევა ერთგვარი გადახრა, რაც შეიძლება მიეწეროს მხოლოდ რომელიმე ციური სხეულის მიზიდულობას. პიკერინგის გამოანგარიშებით, ახალ პლანეტას, რომელსაც მან პირობით უწოდა პლანეტა „0“, აქვს ორჯერ ნაკლები მასა, ვიდრე დედამიწას. „0“ მოთავსებულია უშუალოდ ნეპტუნს იქით და ეკუთვნის მეთერთმეტე სიდიდის ვარსკვლავთა ჯგუფს, ე. ი. არ შეიძლება დანახულ იქნეს შეუიარაღებელი თვალით, მაგრამ მისი დანახვა ადვილად შეიძლება მძლავრ ტელესკოპში.

გამოანგარიშებით ირკვევა, რომ პლანეტა „0“ ამჟამად იმყოფება „კიბოს“ კრებულის ახლო, მაგრამ მისი აღმოჩენის ცდამ დღემდე ნაყოფი არ გამოიღო. ლიკისა და გარვარდის ობსერვატორიებმა გადაიღეს ვარსკვლავიან ცის ასეული ფოტოგრაფია „კიბოს“ კრებულის რაიონში, მაგრამ პლანეტა „0“ ვერ აღმოაჩინეს ვერსად, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოგრაფიებზე აღიბეჭდა უფრო პატარა ვარსკვლავები.

ფიქრობენ, რომ პიკერინგს შეცდომა მოუვიდა პლანეტის ადგილმდებარეობის გამორკვევის დროს და განზრახულია მთელი ეკლიპტიკის (პლანეტათა გზის) გადაღება. იმედი აქვთ, რომ ამ საშუალებით შესძლებენ უცნობ პლანეტის პოვნას.

ატმოსფერული ელექტრობის გამოყენების შესახებ

ატმოსფერული ელექტრობის (ელვის ენერგიის) გამოყენება წარმოადგენს გამომგონებელთა მთელ რიგ თაობების ოცნებას. ატმოსფერული ელექტრობის გამოყენების აზრი ისევე ხშირად გვხვდება, როგორც იდეა ცნობილ „პერპეტუუმ მობილესი“ (მარადი მოძრაობის). გენიალური ჟიულ ვერნიც კი სარგებლობს ამ იდეით. მის „ნაუტილუსზე“ მანქანების ასამუშავებლად ატმოსფერული ელექტრობით სარგებლობენ. მაგრამ თანამედროვე მეცნიერების დიდი ნაწილი ისევე უარყოფითად უყურებს ამ იდეას, როგორც იდეას „მარადი მოძრაობისას“.

ამ რამოდენიმე ხნის წინად კარნეჯის სამეცნიერო ინსტიტუტმა (ამერიკაშია) ვრცელი გამოკვლევა გამოაქვეყნა ატმოსფერული ელექტრობის გამოყენების საკითხზე. ინსტიტუტი უარყოფითი პასუხს იძლევა კითხვაზე: შეიძლება, თუ არა კაცობრიობა ატმოსფერული ელექტრობის გამოყენებას. ინსტიტუტის გამოკვლევით, ატმოსფერულ ელექტრობას თუმცა დიდი ვოლტაჟი აქვს (20.000 ვოლტამდე), მაგრამ მისი ამპერაჟი (ძალა) სუსტია. ეს გარემოება არახელსაყრელად ხდის ატმოსფერული ელექტრობის სამრეწ. მიზნებისათვის გამოყენებას. ინსტიტუტის გამოანგარიშებით, შეერთებული შტატების ერთ რომელიმე შტატში ატმოსფერული ელექტრობის შესაკრებად დადგმულ სათანადო ქსელს საათში შეუძლია მხოლოდ 2 მანეთად ღირებული ელექტრო-ენერგიის მიცემა.

ასეთ პირობებში, იდეა ატმოსფერული ელექტრობის გამოყენებისა, ყოველშემთხვევაში— ტეხნიკის თანამედროვე მდგომარეობის პირობებში, შეუძლებელია და არახელსაყრელი.

ქრონიკა

საქ. წითელი ჯვრის ათი წლის თავი

ამა წლის 8 სექტემბერს სრულდება 10 წ. საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარი მთვარის დაარსების დღიდან.

ამ დღის აღსანიშნავად საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტმა შეადგინა შესაფერი გეგმა. ამ დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაიხსნება ახალი საექიმო პუნქტები და გაიმართება მოხსენებები და ლექციები წითელი ჯვრის ამოცანების შესახებ.

ზაჰესი

ზაჰესის საექსპლოატაციო კომიტეტის ცნობით, ზაჰესის ენერგიის მოხმარება თანდათანობით იზრდება და სადგურის დატვირთვა ყოველთვიურად მატულობს.

თუ როგორ იზრდება სადგურის დატვირთვა ეს ჩანს შემდეგი ციფრებიდან: 1927 წლის ივნისში სადგური დატვირთული იყო 14 პროცენტით, ივლისში—17 ნახ. პროც.; აგვისტოში—18 პროც.; სექტემბერში—20 ნახ. პროცენტით; ოქტომბერში—26 პროც.; ნოემბერში 32 პროც.; დეკემბერში—38 პროცენტით; 1928 წლის იანვარში—53 პროც. და თებერვალში—65 პროცენტით.

ამჟამად გამოყენებულია სადგურის ახლანდელი ძალოვანების ორი მესამედი (70 პროცენტზე მეტი).

საექსპლოატაციო კომიტეტის ანგარიშით, მიმდინარე წლის დამლევისათვის ზაჰესი დატვირთული იქნება 83 პროცენტით, 1929 წლის დასასრულისათვის კი მთელი 100 პროცენტით.

საკურორტო სეზონი

საკურორტო სამმართველოს ცნობით საკურორტო სეზონი გაიხსნება: 15 ივნისს—ბორჯომში, აბასთუმანში, პატარა-ცემში, წაღვერში, ახტალაში, შოვში და ბახმაროში საკურორტო სეზონი გაიხსნება 15 ივლისს, წყალტუბოში სეზონი უკვე გაიხსნა 1 მაისს.

დაწესებულება-საწარმოებში მთხოვნელების მიღების წესი

სახკომსაბჭომ მოიწონა მ.-გ. ინსპექციის სახკომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი ცირკულიარისა საქართველოს ს. ს. რ.-ის დაწესებულება-საწარმოებში მთხოვნელების მიღების წესის შესახებ და მასთან საჭიროდ სცნო შემდეგი შესწორების შეტანა: „მიღება კვირა-უქმე და დასვენების დღეებში შემოღებულ უნდა იქნეს მხოლოდ ზოგიერთ დაწესებულებაში მ.-გ. ინსპექციის სახკომისარიატის შეთანხმებით".

თბილისის აღმასკომში

◆ **დახმარება.** დმანისის თემაღმასკომს თემის საჭიროებისათვის გაეგზავნა 200 მ.

◆ **ახალი ელსადგური.** ალბულაღის ელსადგურის საჭიროებისათვის აღმასკომმა გადასდო—600 მ.

◆ **ახალი გზა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ზემო-ცრწმ.-ში ახტალის მიმართულებით გაიყვანოს ახალი გზა-ტკეცილი.

საბინაო მშენებლობა

◆ **მუშათა სახლები.** საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის ცნობით მარელისის და შამგონის ქარხნების მუშათა სახლების ასაგებათ გადადებულია—100.000 მანეთი.

სხვა და სხვა

◆ **წამლეულობის შემოტანა.** სახმედვაჭრობის ცნობით ახლო ხანში რუსეთიდან შემოტანილი იქნება ქინაქინის საკმაო რაოდენობა. ამრიგად ქინაქინის კრიზისი მოსალოდნელი არ არის.

◆ **ცოფიანი ცხოველები.** პასტერის ინსტიტუტის ცნობებით უკანასკნელი დროის განმავლობაში გახშირდა ცხოველთა გაცოფების შემთხვევები.

პასტერის სადგურმა გააფართოვა ბრძოლა ცოფის წინააღმდეგ.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბათომიდან—ჭელიძეს, ზესტაფონიდან—ბარამიძეს, ორბელიდან—გიორგობიანს, ლენინგრადიდან—სერაფიმოვს, ნუხიდან—მალკელს.

სასამართლო

ახირებული ქმარი

სტეფანე ნონიევი ძალიან ცუდ გუნებაზე დადგებოდა ხოლმე, როცა ცოლი ოჯახურ მოთხოვნილებებზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს.

არ უყვარდა სტეფანეს ცოლის პრეტენზიების მოსმენა. მილანძღავდა კარგა მაგრათ, გაახურავდა კარებს და „დარდის გასაქარვებლად" ჩაძვრებოდა ღვინის სარდაფში.

სარდაფიდან სტეფანე, რასაკვირველია, ფხიზელი არასოდეს არ ამოვიდოდა. ეს პრინციპად ჰქონდა მიჩნეული.

ღვინით გამხნევებულ სტეფანეს აღარ უჭირდებოდა ცოლთან სადაო საკითხის გადაჭრა. წამოაქცევდა გულაღმა და ურტყამდა მუშტებს.

ღამის პირველი საათი იყო, როცა მთვრალმა ნონიევმა როგორც იქნა მიაგნო თავის ოთახს და დააბრახუნა.

ცოლმა გააღო კარი. სტეფანე შებარბაცდა ოთახში. დაიღრიალა საშინლად და მიაშურა ცოლს.

—რომ იცი? ეხლა გადაწყვეტილი საქმეა! უნდა მოგკლა.

— რატომ, რას მერჩი?—კანკალებს ქალი,

— რატომ და „ხომში" მაქვს!

სტეფანემ ჩააქრო ლამპა, წააქცია ცოლი ლოგინზე და დაუშინა მუშტები.

— ნუ მომკლავ! შემიბრალე! ჩემს სიცოცხლეში არაფერს არ გეტყვი დავმუნჯდები.

— ხომში მაქვს! უნდა მოგკლა. ხომ იცი ჩემი ხასიათის ამბავი.

ამ დროს სტეფანეს დაუცურდა ფეხი იატაკზე და თავი ბრიგა კედელს ქალმა იხელთა დრო. გაძვრა ლოგინს ქვეშ და გამოვარდა აივანზე.

სტეფანე წამოდგა. მოისინჯა თავის მდგომარეობა ხელით და კიდევ უფრო გაწიწმატებული ტკივილის გამო გამოუდგა ცოლს.

ცოლმა იცოდა, რომ ცუდი დღე მელოდა, ისკუპა მეორე სართულის აივნიდან და ფეხისალვით გადაფრინდა ძირს.

ქალმა დაჰკრა თავი მიწაზე და მოჰრთო კივილი.

მოვარდა მეზობელი. ააყენა ქალი. სტეფანემ შეუტია მეზობელს.

— შენ რა ნება გაქვს ჩემს ცოლს ხელს რომ ახლებ!—ეჭვიანობს სტეფანე.

ქალი ჰკივის. მეზობელი ამშვიდებს. ამ დროს მეზობელს თავზე ათამაშდა სტეფანეს მუშტი. ერთი... ორი.

მოვიდა მილიციელი. ბრძოლა კიდევ გაგრძელდა. როგორც იქნა ნონიევი წაიყვანეს კომისარიატში.

— რატომ სცემთ ცოლს, განა ეს მხეცობა არ არის?—ეკითხება მოსამართლე ბრალდებულს.

— მაგიე სიტყვებს მეუბნება! „ნერვები" ვერ და ვერ ვიტან,—უპასუხებს ნონიევი.

ნონიევს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. სასჯელი შეეცვალა პირობით ორი წლის ვადით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. გაბუნია, სახალხო მსაჯულები: მაჭავარიანი და ჩარექვიანი, მდივანი—არ. აბზამიშვილი.

ჭორიკანების მსხვერპლნი

— ჰა! იცი რა მითხრეს?... კატუშა ქმარს ღალატობსო.

— მე, ჩემო კარგო, ეს ამბავი დიდი ხანია ვიცი.

— შენი აზრით; მართალია?

— მართალია მაშ! დიდი ეშმაკი ქალია კატუშა. ეხლა ყასიდათ შვილიც მოანათვლია ვასილას. აქაო და „მირონი" გვაკავშირებს ერთმანეთთანო! ისემც ღმერთი უშველის!

— მე ის მიკვირს—მის ქმარს რამ დაუბრმავა თვალი. რატომ ვერ ამჩნევს, რამ გამოაყრუვეტა ასე...

ასეთი მითქმა-მოთქმით დაიწყო ეს ამბავი. სოფელ საკირეს (გორის მაზრა) ჭორიკანა დედაკაცებმა მთელს სოფელს მოსდეს ხმა, რომ ვასილ კურტანიძესა და მის ნათლიდედას შორის რომანია გაჩაღებული.

იმდენი იქაქანეს ჭორიკანებმა, რომ ქალის ქმარს ვასილ აიწურაძესაც აწვდინეს ეს ამბავი.

ქმარი უკვე შეიპყრო ეჭვმა და ეს ეჭვი აღარ გასცილდა მის თავიდან. თითქოს ლურსმნით ჩასჭედეს შიგ.

დაირღვა ოჯახური მყუდროება. აფორიაქდა ვასილ აიწურაძის გული და განიმსჭვალა შურისძიების გრძნობით.

სექტემბრის საღამოა. კურტანიძეებს ჭირნახულის შესანახად მეზობლები ეხმარებიან. ქალის უხიან და განუწყვეტელი სიცილ-კასკასით არჩევენ სიმინდს.

დაღამდა. ქალის მოანათა ჭრაქმა. მუშაობა გრძელდება. ვასილ კურტანიძე ხან ეზიდება გარჩეულ სიმინდს, ხან ჩალა მიაქვს საბძელში.

მიხურა ვასილმა საბძლის კარი. უეცრად იგრიალა თოფმა. ვასილი უსულოდ დაეცა მიწაზე.

შეიქნა ჩოჩქოლი. შეგროვდა ხალხი. თოფის ხმა მოესმა ვასილის ძმას სიკო კურტანიძეს, რომელიც ამ დროს ოთახში იყო.

გამოვარდა გარეთ. დაინახა სისხლში გაღვარული ძმა. არ იცის ვინ არის მკვლელი. იცის მხოლოდ, რომ აიწურაძეები მტრულ განწყობილებაში იყვნენ ვასილთან.

ყვირილზე და ხმაურობაზე მოვარდა საქმის გასაგებად გიგა აიწურაძე.

— დაჭკათ მაგას! ეს არის მკვლელი!—დაიყვირა სიკომ. სტაცა ნაჯახს ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავში ჩაარტყა გიგას. სასიკვდილოდ დასახიჩრებული გიგა წაიქცა.

არაფერ შუაში იყო გიგა. ის მხოლოდ ამბის გასაგებად მოვიდა. მკვლელი იყო მისი ძმა ვასილ აიწურაძე, რომელმაც თავს უშველა და მიიმალა. შეცდომით მიიღო ის თავის ძმის მკვლელად სიკომ, მაგრამ გვიანღა იყო. მკვდარის გაცოცხლება ვის შეუძლია.

ასე დასრულდა ჭორიკანების მიერ გამწვავებული ამბავი.

სიკო კურტანიძე გაასამართლეს და მიუსაჯეს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზერ.

შემთხვევები

ტრამვაის ქვეშ

გუშინწინ, დღისით ტრამვაის ვაგონი № 118, მარშრუტი მე-14), რომელსაც მართავდა ვატმანი ლაცერელაშვილი საბჭოთა ქუჩაზე (1 რაიკომის პირდაპირ) დაეჯახა 12 წლის ევგენია სამადუროვს (მცხ. ლოტკინის ქ.). სამადუროვი მოჰყვა ვაგონის ქვეშ და მძიმედ დაშავდა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა გამომძიებელი ამხ. ხ. მესარქიშვილი, რომელმაც მოახდინა ადგილობრივი დათვალიერება.

ვაგონის ტეხნიკური შემოწმებით და მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვით გამოირკვა, რომ სამადუროვის ბავშვი მარცხენა მხრიდან შეახტა ვაგონს, უცაბედათ გადმოვარდა ვაგონიდან და მოჰყვა ვაგონის უკანა ბორბლების ქვეშ.

სამადუროვის ბავშვს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს რკინის-გზის საავადმყოფოში.

საავადმყოფოში სამადუროვს გაუკეთეს ოპერაცია ორივე ფეხის მოჭრით.

გამოძიებით დადასტურდა, რომ ვატმანს ლაცერელაშვილს არავითარი ბრალი არ მიუძღვის დაჯახებაში.

თვითმკვლელობა

გუშინწინ, დღისით რევოლვერის ტყვიით თავი მოიკლა ვალერიან ედუარდის ძე მაიერმა (მცხ. ფოთის ქ. № 21). თვითმკვლელობის მიზეზი ირკვევა.

შემთხვევა რესტორან „ოქროს კუთხე"-ში

კვირას, 20 მაისს, რესტორან „ოქროს კუთხე"-ში (ბრძოლის ქ. № 170), ჩხუბის დროს ალექსანდრე ივანეს ძე ახნაზაროვმა დანით მსუბუქად დასჭრა ხსენებულ სასადილოს პატრონი ვლადიმერ მამულაშვილი. ახნაზაროვი დაპატიმრებულია.

ბოროტმოქმედება სახკინმრეწვის ფოტო-მაღაზიაში

რამოდენიმე ხნის წინად სახკინმრეწვის ფოტო-მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 11) სისტემატიურად იკარგებოდა ფოტო-ქაღალდები. სახკინმრეწვის ადმინისტრაციამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდა ხსენებულ მაღაზიის თანამშრომელი გიორგი ჩერნიაევი.

ჩერნიაევი დაპატიმრებულია.

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აგრეთვე ნაქურდალ ნივთების შემსყიდველი შ. მანუსაჯიანი (მცხ. საბჭოთა ქ. № 104).

მკვლელობა

გუშინწინ, დღისით ვიღაც უცნობი პირის მიერ რევოლვერიდან გასროლილ ტყვიით უნივერსიტეტის ქუჩაზე (სახლი № 36 პირდაპირ) მძიმედ დაიჭრა 13 წლის კატუშა აკოპოვა. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიყვანისას აკოპოვის ბავშვი გარდაიცვალა.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დღისით ტრამვაის ვაგონი (№ 104, მარშრუტი მე-2) პლეხანოვის პროსპექტზე დაეჯახა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე დოსორეევს და მძიმედ დაშავა.

განმარტება

ჩვენი გაზეთის 104 №-ში მოთავსებული ცნობა ვასილ გრიგოლის ძე ოგანეზოვის აფერისტობისათვის დაპატიმრების შესახებ არ შეეხება პოლიგრაფტრესტის სარემონტო სახელოსნოს გამგეს ვასილ გრიგოლის ძე ოგანეზოვს.

ხელოვნება

მოსკოვის მცირე თეატრი

ოსტროვსკი:—„НА ВСЯКОГО МУДРЕЦА ДОВОЛЬНО ПРОСТОТЫ".

ა. ი. სუმბათაშვილმა—იუჟინმა ასე განსაზღვრა მცირე თეატრის ამოცანა: „მაყურებელთა საუკეთესო ნაწილი თეატრში „სინდისის სარკეს" დაეძებს, და პოულობს მას რწმენას იმ სიმბოლოში, რომელსაც მცირე თეატრი ჰქადაგებს: ეს სიმბოლო ეხება ადამიანის ფსიხიკას, მის ცრემლებს და სიცილს, მის მწუხარებასა და სიხარულს. სიცოცხლის აზრი ამ განცხადებაშია და არა მის გარეგან მორთულობაში". დღიდან მცირე თეატრის არსებობისა ეს შეხედულება საფუძვლად უდევს მის მხატვრულ პრაქტიკას. მცირე თეატრი განაგრძობს „აქტიორის თეატრის" ტრადიციებს: აქ რეჟისორი არ არის, არც „გაკეთება" პიესის, არც დადგმაა რაიმე: მცირე თეატრი ეს არის დიალოგის თეატრი; მისი თეატრალური ექსპრესია აქტიორულ განცდაში მდგომარეობს; მაგრამ ეს განცდა მოცემულია არა პლასტიურ ხაზებში, არა მოძრაობათა სისტემაში, არა ნივთების ამოძრავებაში, არამედ სიტყვაში: მომქმედნი პირნი სხედან და ერთმანეთს ესაუბრებიან: შემოქმედებითი სცენიური სახე სიტყვით გადმოიცემა და არა ბგერით თუ სინათლის მონტაჟით, არა ნივთების „გასულდგმულებით".

მცირე თეატრს არავითარი ფორმალური მიღწევა არ აქვს და არც პრეტენზიები აქვს ამისი. სცენიურ გამოსახულებათა საშუალებანი მეტის-მეტად ვიწრო და პრიმიტიულია—ოდესღაც მცირე თეატრი რუსულ სინამდვილეში უდიდეს რევოლიუციონურ როლს თამაშობდა: ოსტროვსკის, გოგოლის, გრიბოედოვის „გასცენიურებით" მცირე თეატრი დასცინოდა და ებრძოდა ყოველგვარ სიბნელესა და ჩინოვნიკურ ბოროტებას. ამ ტრადიციას დღესაც განაგრძობს ის ინერციით, რაიც სხვათა შორის იმ გარემოებაშიაც მჟღავნდება, რომ ოსტროვსკის თეატრის რეპერტუარში ცენტრალური ადგილი უკავია.

თბილისში მცირე თეატრის გასტროლები დაიწყო ოსტროვსკის პიესით: „На всякого мудреца довольно простоты". ეს პიესა მოხდენილი სატირაა მეფურ რუსეთის ჩინოვნიკურ და მემამულეთა ყოფა-ცხოვრებაზე. ოფიცრების, გენერლების, მათი ცოლების და სხვა „დიდი კაცების" ზნეობრივი დაცემა (მამაევის და გლუმოვის საუბარი: „შენ დაუახლოვდი ჩემს ცოლს, ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდეს, მგლებიც მაძღრები იქნებიან და ცხვრებიც უვნებლად გადარჩებიან") შინაგანი სიბეცე და გარეგნულ პოზის აბსოლიუტური სიცარიელე—აი, რა ახასიათებს ჩინოვნიკურ ყოფას. იშვიათი მხატვრული სატირით ოსტროვსკიმ გამოამჟღავნა ყველა ეს თვისებები და გლუმოვის სახით სასტიკად დასცინა რუსულ ჩინოვნიკობას. გლუმოვი არ არის რევოლიუციონერი; ის უფრო ლიბერალია, ვინემ რადიკალ-რეფორმატორი, მაგრამ მისი უკანასკნელი მონოლოგი ეს არის ნამდვილი პამფლეტი მიმართული მაშინდელ „წარჩინებულ" წოდების მიმართ.

მთელი პიესა „დიალოგის" ხაზებშია გაშლილი: ტიპაჟის სულიერი თვისებების გამომჟღავნება მხოლოდ „თქმაშია" მოცემული: არავითარი გარეგნული ეფექტები, არავითარი სცენიური „გაფორმება"; არის მხოლოდ „პროვინციალური" დეკორაცია და სცენის პრიმიტიული აქსესუარები. „სიტყვიერი" განცდა უდიდეს მხატვრული სიმართლითაა მოცული. აქტიორები აქ ამაღლებენ თავის უდიდეს კულტურას. პირდაპირ გენიალურია **კლიმოვი** თავისი არაჩვეულებრივი მხატვრული სიცილით. მშვენიერია **[illegible]** გლუმოვის როლში, **გოლევინი**—მამაევის, **იაბლოჩკინა** და **ტურჩანინოვა** თავის მხატვრული გულწრფელობით და ბუნებრივი განცდით.

მცირე თეატრი ნიჭიერ მსახიობების თეატრია. მაგრამ თავისი ტრადიციებით, ფორმალური „მიღწევებით" ის წარმოადგენს ცოცხალ მუზეუმს, რომელსაც დღეს მხოლოდ პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს.

ბ.

დისპუტი დავ. კაკაბაძის მხატვრობაზე

კვირას, 20 მაისს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის კლუბში შესდგა დისპუტი მხატვარ დავით კაკაბაძის სურათების გამოფენის შესახებ. დისპუტზე მოკლე მოხსენებით გამოვიდა თვით დავ. კაკაბაძე.

დასასრულ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: შ. ალხაზიშვილმა, შ. დუდუჩავამ, მ. თოიძემ, მარიამ ორახელაშვილმა, კროტკოვმა, კ. მეგრელიძემ, ვახ. კოტეტიშვილმა და ლისოვსკიმ. კამათი არ დამთავრებულა. დისპუტი გადაიდო მომავალ კვირისათვის.

—:—

15.000 შეღავათიანი ბილეთი პროფორგანიზაციებს

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ ხელშეკრულება დასდო მოსკოვის მცირე თეატრთან პროფორგანიზაციებისათვის თეატრის გასტროლებზე შესასვლელი ბილეთების შეღავათიან ფასებში მიწოდების შესახებ.

თანახმად ხელშეკრულებისა, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას დაეთმო 15.000 ბილეთი, რომელიც განაწილებული იქნება ცალკე კავშირებს შორის. აღნიშნულ რაოდენობიდან 5.000 ბილეთი კულტგანყოფილებამ მიიღო 50 პროც. ფასდაკლებით, ხოლო 10.000 ბილეთი 40 პროცენტით დაკლებულ ფასებში.

წარმოება-დაწესებულებებზე ბილეთების განაწილებას აწარმოებენ კავშირების კულტგანყოფილებები.

სატირის თეატრი

თბილისში დაარსდა სატირის თეატრი. წინად მრავალჯერ იყო სატირის თეატრის დაარსების ცდა, მაგრამ სხვადასხვა დაბრკოლებების გამო ეს არ მოხერხდა, თეატრის რეჟისორია ნ. კახიძე და ხელმძღვანელი გ. ბუჩნიკაშვილი.

4—5 თვეა, რაც მსახიობების ერთი ჯგუფი მუშაობს ყოველდღიურად თითქმის 10-12 საათს.

ეს მსახიობები არიან პროლეტარული წრიდან გამოსულნი, უმუშევარნი, ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრნი, ზოგ მათგანს შორეულ მანძილიდან უხდებათ ყოველ დილა-საღამოს ფეხით სიარული, ვინაიდან ტრამვაის ფულიც არა აქვთ.

სატირის თეატრი საჭიროა მეტადრე ეხლა, როდესაც ჩვენ წინ სდგას საჭირბოროტო ამოცანები, როგორიცაა: თვითკრიტიკა, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება და სხვა.

ამას წინად შემთხვევა მქონდა მენახა მათი ნამუშევარი. მათ ჯერ არ აქვთ დეკორაციები, კოსტიუმები, ეტყობათ დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ. მათ თამაშს ხელს უწყობს სრულიად ახალი რეპერტუარი—თანამედროვე მოკლე პიესები, დამაკმაყოფილებელია აგრეთვე მუსიკალური ნაწილი. მსახიობებს განზრახული აქვთ მოაწყონ გასტროლები საქართველოს მნიშვნელოვან პუნქტებში.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დიდ ნაყოფს მოიტანს მისი მუშაობა პროვინციებში.

სერგო მეგრელიშვილი.

კულტმუშაობის გამოკვლევა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა ყველა კავშირებს ჩაატარონ 1928 წ. პირველი კვარტალის (იანვარი-მარტი) კულტმუშაობის გამოკვლევა.

გამოსაკვლევია კლუბების მუშაობა და ძირითად პროფორგანიზაციების (წითელი კუთხეების) კულტმუშაობა. ამის გარდა 1928 წ. 1 აპრილის მდგომარეობის მიხედვით სავსებით აღრიცხული უნდა იქნეს პროფორგანიზაციებთან არსებული ყველა კულტდაწესებულებების ქსელი (კლუბები, ბიბლიოთეკები, ფიზკულტურის წრეები, სხვადასხვა სახის სკოლები და კურსები და სხვ.).

გამომცემლობა „შრომის" მიერ დამზადებულია საანგარიშო ბლანკები, ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობას ევალება გადაგზავნოს თავის სამაზრო განყოფილებაში გამოკვლევისათვის საჭირო მასალები. პროფკავშირთა საბჭოები და სამაზრო პროფბიუროები ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ სამაზრო განყოფილებების მიერ ამ მასალების ცენტრალურ გამგეობებიდან დროზე მიღებას და შევსებულ საანგარიშო ბარათების ცენტრალურ გამგეობაში უკან გადაგზავნას.

ამასთანავე პროფკავშირთა საბჭოებს და სამაზრო პროფბიუროებს დაევალათ მასალები საკავშირთაშორისო და გაერთიანებულ კულტდაწესებულებების გამოსაკვლევად.

კულტმუშაობის აღრიცხვის დიდი მნიშვნელობის გამო საქართველოს პროფკავშირთა საბჭო წინადადებას აძლევს ყველა ცენტრალურ გამგეობას, პროფკავშირთა საბჭოებს და სამაზრო პროფბიუროებს, მიიღონ ზომები, რათა გამოკვლევის გარეშე არ დარჩეს არც ერთი კლუბი და ძირითადი პროფორგანიზაცია (წითელი კუთხე).

რკინის გზებზე

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

საქართველოს ს. მ. უ. ს. ლითონის მრეწველობის ტრესტმა უკვე დაამზადა რკინის ანძები გადამცემი ხაზისათვის და მათი საანკერო ბოძები.

19 მაისს ლითონის მრეწველობის ტრესტმა ხელშეკრულება დასდო ა.-კ. რკინის გზის გამგეობასთან ანძებისათვის საძირკველის ასაგებათ. ამ დღეებში იგი შეუდგება უკვე ამ მუშაობას.

ყოველივე წინასწარი ტეხნიკური მუშაობა ელექტროფიკაციისათვის უნდა დასრულდეს მომავალი წლის გაზაფხულზე. ამჟამად რკ. გზ. ელექტროფიკაციის ბიურო აწარმოებს დამხმარე მუშაობას მიმსვლელ გზების გასაყვანად.

გარდა ამისა, ადგილობრივ აშენებენ 6 საცხოვრებელ სახლს, სადაც მოთავსებული იქნებიან გადამცემი ხაზის მუშა-მოსამსახურენი. სახლები შენდება: ხაშურში ორი ერთსართულიანი სახლი, ზესტაფონში 2 ორსართულიანი სახლი და მოლითში 2 ერთსართულიანი სახლი.

რაც შეეხება დროებით ნაგებობებს, ასეთები უკვე მოწყობილია და ისინი სავსებით არიან გამოყენებულნი.

ახალი კლუბები

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაასრულა სად. ევლახში რკ. გზის ახალი კლუბის აშენება. კლუბი გაიხსნება ა. წ. 30 მაისს.

ამას გარდა წარმატებით სწარმოებს მუშაობა ორი დიდი კლუბის ასაგებათ ხაშურში და ლენინაკანში, რომლებიც დაიტევენ თვითეული 800 მაყურებელს. უკანასკნელთა აშენება უნდა დასრულდეს მომავალი წლის იანვრისათვის.

ცისტერნების გაცდენა

უცხოეთის გემების მოლოდინში ამჟამად ბათომში სდგას 660 ცისტერნა ნავთის პროდუქტებით.

ცისტერნების ასეთი გაცდენა ართულებს რკინის გზების ნორმალურ მუშაობას.

ღუმელის დაწვა

ორთქლმავალი № 9828 „ფი"—სერიისა, ახლად გამოსული იყო შეკეთებიდან და იდგა ქუთაისის საყუდში. პირველ გახურებისთანავე ორთქლმავალზე დაიწვა გამხურვებელი, რითაც რკინის გზამ იზარალა 4.000 მანეთი.

აღნიშნული საქმე განიხილა შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე.

საგზაო კომისიამ გამოარკვია, რომ ორთქლმავალი გაახურა უწყლოდ საყუდ—ქუთაისის ცეცხლ-ფარეშმა ივანე გიორგაძემ. ასეთი დაუდევრობისათვის გიორგაძე მოხსნეს სამსახურიდან.

გარდა ამისა, ქუთაისის საყუდის მორიგეს მიხაილოვს, საყუდის უფროსს უგრეხელიძეს და მის თანაშემწეს კოხრეიძეს არა საკმარისი ყურადღებისათვის და აგენტთა მორიგეობის ნორმალური გრაფიკის დაუცველობისათვის გამოეცხადათ საყვედური.

11 საქმე

თავის უკანასკნელ სხდომაზე შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ, განიხილა რკ. გზაზე მარცხების და შემთხვევების 11 საქმე, რომელიც შეიცავდა მატარებლების თავის დროზე გაუგზავნელობას, დაჯახებას, ლიანდაგიდან აცდენას ორთქლმავლების გაფუჭებას და სხვ.

საერთო ზარალი, რომელიც მიყენებული აქვს რკინის გზას ამ 11 მარცხით, შეადგენს 77.511 მანეთს.

დამნაშავე აგენტები დაისაჯნენ ადმინისტრატიული წესით.

ქვიბის ხიდი

გუშინწინ ბორჯომში შესდგა ქვიბის ხიდის გამოცდა მდ. მტკვარზე. გამოცდა წარმატებით ჩატარდა. ამის გამო, მოძრაობა ხიდზე უკვე დაიწყო.

ცისტერნების გადაცემა

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის განკარგულებით მოსკოვ-კურსკის რკინის გზას გადაეცა 200 ორღერძიანი ცისტერნი ა.-კ. რკინის გზიდან.

მუშკოოპის მუშაობის გასაუმჯობესებლად

მუშკოოპის სარევიზიო კომისიამ მუშკოოპის ყველა წევრებსა და მომხმარებლებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

ჩვენი კოოპერატივის მუშაობის ზრდასა და გაფართოებასთან დაკავშირებით გართულდა და გამრავალფეროვანდა სარევიზიო კომისიის მუშაობაც.

ნამდვილი კონტროლის გაწევა მუშკოოპის მოქმედებაზე, საცავრო და საწარმოო წერტილების რევიზია, დუქნების და სხვა მხარეების აღმოჩენა მუშკოოპის მუშაობის ყოველ დარგში დიდ სიძნელეს წარმოადგენს მარტო სარევიზიო კომისიისათვის, რომელიც შესდგება მხოლოდ და მხოლოდ 5 წევრისაგან.

სარევიზიო კომისიის მუშაობას შეუძლია ნაყოფი გამოიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მუშკოოპის წევრები და მომხმარებლები აქტიურად დაეხმარებიან სარევიზიო კომისიას, რათა შეერთებული ძალებით გამოაშკარავებულ იქნეს მტკივნეული ადგილები მუშკოოპის მოქმედებაში.

ამ თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია მივაღწიოთ დადებით შედეგებს კოოპერატიულ მუშაობის გაჯანსაღების საქმეში. აღნიშნულ გარემოებათა გამო სარევიზიო კომისია მიმართავს ყველა წევრებს და მომხმარებლებს თხოვნით, რომ მიაწოდონ მას ცნობები (წერილობით ან სიტყვიერად) იმ უარყოფითი მოვლენების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვს მუშკოოპის მუშაობაში.

სასურველია სარევიზიო კომისიას ეცნობოს ბოროტმოქმედების ფაქტები, ბიუროკრატიზმისა და პროტექციის, უხეში მოპყრობის, ზედმეტი ხარჯების გაწევის, დუქნების ანტისანიტარულ მდგომარეობის, ფასების თვითნებობით აწევის და სხვ. შემთხვევები.

განცხადებები და საჩივრები უნდა გამოიგზავნოს მუშკოოპის სარევიზიო კომისიის სახელზე (კიროვის ქ. № 7).

საამშენებლო სეზონი

1926—27 წ. საამშენებლო სეზონის შედეგები

საქართველოს სახკომსაბჭომ დაავალა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—სამრეწველო აღმშენებლობის დარგში და შრომის სახალხო კომისარიატს—საბინაო მშენებლობის დარგში და აგრეთვე ყველა სახალხო კომისარიატს და ორგანიზაციას, რომელიც საამშენებლო მუშაობას აწარმოებს, მიმდინარე წლის ივნისის 15-სათვის წარუდგინონ საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საამშენებლო სატეხნიკო კომიტეტს დაწვრილებითი ანგარიში საამშენებლო სეზონის შედეგების შესახებ, სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს მშენებლობის ძირითადი ელემენტები, როგორიც არის მშენებლობაში მოთავსებული თანხებისა და შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა და მუშა-ხელისა და მასალის მიწოდების მდგომარეობა, იმის აღნიშვნით, თუ რა მიღწევებია მშენებლობის გაიაფების საქმეში.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა წარადგინოს ხოლმე საამშენებლო სატეხნიკო კომიტეტს, დადგენილი წესებისა და ფორმით, აღმშენებლობის საანგარიშო მასალა.

წყალდიდობის შედეგები

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მაზრებიდან მიღებული ცნობებით, წყალდიდობას მთელ რესპუბლიკისათვის მიუყენებია 361000 მანეთის ზარალი. ზარალის ეს რაოდენობა ჯერ კიდევ საბოლოო არაა, ვინაიდან მთელ რიგ მაზრებს არ წარმოუდგენია საბოლოო ცნობები წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალის შესახებ. ცნობები არაა მიღებული—რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებიდან.

დანარჩენ მაზრებიდან, წყალდიდობას ყველაზე უფრო დაუზარალებია ქუთაისის მაზრა, სადაც ზარალი 160.000 მანეთს უდრის, მეორე ადგილი ზარალის მხრივ უკავია ახალციხის მაზრას, სადაც ზარალი აღწევს—33.000 მანეთამდე, შემდეგ—აჭარისტანს, (ზარალი უდრის 15.400 მან.), სამხრეთ-ოსეთს (ზარალი 13000 მან.) და სხვა.

ქალაქებს შორის ყველაზე უფრო დაზარალებულია თბილისი, შემდეგ გორი და ქუთაისი.

წყალდიდობასთან საბრძოლველად სახელმწიფო თანხებიდან დაიხარჯა 115.000 მანეთი. მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად შრომის სავალდებულო ბეგარის წესით გამოყენებულია 28.500 სამუშაო კაც-დღე. საამშენებლო მასალების მოსაზიდავად უმუშავნია 8.000 ურემს.

დ ო ლ ი

კვირა, 20 მაისი

დოლის მეხუთე დღემ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. დოლი დაიწყო საბარიერო შეჯიბრით სამხედრო ნაწილების ხნიერ ცხენებს შორის. გადასარბენი მანძილი იყო 2.200 მეტრი 5 ზღუდით. თავიდანვე პირველობა ხელთ იგდო ქართულ ცხენოსანთა ლეგიონის ხუთი წლის ფაშატმა („ბულგარკამ"), რომელიც უკანასკნელ ბარიერამდე წინ უსწრებდა ერთი-ორი კორპუსით მოქიშპეებს. უკანასკნელ ბარიერიდან „ბულგარკამ" სისწრაფე გააორკეცა და 30 მეტრით უკან მოიტოვა დანარჩენები. ამგვარად, პირველი ჯილდო ხვდა „ბულგარკას".

ჟოკეი მამედოვი.

ფრიად საინტერესო იყო მეორე დოლი. ერთ მანეთის შეჯიბრა ოთხი ბედაური, პირველად ისინი იჩენენ თანაბარ სამკვირცხლეს, მაგრამ პირველ მოსახვევთან სხვებს წინ უსწრებს საქ. საჯინიბოს ცხენი „დარბაისელი", რომელსაც თავგამოდებით მისდევს და ნახევარი კორპუსით უახლოვდება აფხაზეთის „სერპი", მეორე მოსახვევთან უპირატესობა აშკარად რჩება. უკანასკნელ მოსახვევთან „დარბაისელი" ერთნახევარი კორპუსით წინ მიჰქრის და პირველად მირბის ფინიშთან; მას თან მისდევს „სერპი". ამგვარად, პირველობა რჩება „დარბაისელს". გამარჯვებული მხედარი—საჯინიბოს ბავშვი ა. ხაინდრავა. ჯილდო 60 მანეთი.

დოლის მესამე შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო შვიდმა ცხენმა. გადასარბენი მანძილია 1000 მეტრი. თავიდანვე ერთი მეორეს შეეტოქნენ შინ: საქმეების სახ: კომისარიატის საჯინიბოს ფაშატი „ლომის თვალი" და სამხრეთ-ოსეთის ულაყი „ვეტერი", მხოლოდ მეოთხე მოსახვევთან „ვეტერმა" შესძლო ოდნავ დაწინაურება და 1 წუთსა და მე-5 წამზე მივიდა ფინიშთან. გამარჯვებული ჟოკეი კაზუმ ოღლი. პირველი ჯილდო 72 მანეთი.

მეოთხე შეჯიბრში 2 ათასი მეტრის გასარბენ მანძილზე შვიდ კვიცს შორის პირველობა ხვდა 4 წლიან „გორგასლანს", რომელმაც მეოთხე ხვევაზე ერთბაშათ დასჯაბნა ორი თავისი მოწინააღმდეგე—„ალფა" და „ანაიდა". გამარჯვებული მხედარი თოხავა. პირველი ჯილდო 36 მანეთი.

დოლის მეხუთე დღის მთავარი ყურადღების ცენტრს წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის დერბი—ა.-კ. მთავრობის ჯილდო ათასი მანეთის რაოდენობით. ერთმანეთს დაუპირდაპირდენ საქართველოს საჯინიბოს სამწლიანი ულაყები —„დარდიანი" და „დარდიმანდი", სამხრეთ ოსეთის ფაშატი—„უატი" და აზერბეიჯანის „მერი-გრი", თავშივე „დარდიანმა" და „დარდიმანდმა" უკან ჩამოიტოვეს „უატი" და „მერი-გრი". მეოთხე მოსახვევამდე ამ ორმა ცხენმა ისე გამოიქროლეს, რომ „დარდიმანდს" ნახევარი კორპუსით მუდამ წინ უსწრებდა „დარდიანი". ფინიშთან 30 მეტრის დაახლოებით „დარდიმანდი" დაეწია „დარდიანს" და ერთ წამს შემდეგ ნახევარი კორპუსით წინ გაუსწრო. ვერც ცხენის და ვერც მხედრის თავგამოდებამ ვერ იხსნა „დარდიანი", რომელმაც გამარჯვება დაუთმო თავის ძლიერ მოქიშპეს—„დარდიმანდს". გამარჯვებული მხედარი ჟოკეი **მამედოვი**. ამგვარად პირველი ჯილდო 550 მანეთი ხვდა „დარდიმანდს", მეორე—250 მან. „დარდიანს".

დოლის მეხუთე დღე დამთავრდა შეჯიბრით ექვს-სამ წლიან ცხენებს შორის. პირველობა აიღო სამხრეთ-ოსეთის ცხენმა „როლანდმა", რომელმაც აჯობა „სანტს".

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

„დინამო ბ"—„საბჭოთა მუშაკები"

კვირას, 20 მაისს, „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართა კალენდარული შეჯიბრი „დინამო-მეორესა" და საბჭოთა მუშაკების გუნდს შორის. ამ შეჯიბრს უნდა გადაეწყვიტა საკითხი მესამე და მეოთხე ადგილის განაწილების შესახებ მიმდინარე სეზონის პირველობის გათამაშებაში.

მოსალოდნელი იყო, რომ „დინამო-მეორე" ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ეს შეჯიბრი თავის სასარგებლოდ დაემთავრებია. რითაც უზრუნველჰყოფდა თავისთვის მესამე ადგილს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უკანასკნელ ადგილზე გამოდიოდა.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. საბჭოთა მუშაკებმა თამაშის დაწყებისთანავე აგრძნობინეს „დინამო"-ს, რომ მას ძლიერ „მოწინააღმდეგესთან" ჰქონდა საქმე. ლამაზი პასები, გაბედული თამაში და სწრაფი ტემპი, რომელიც საბჭოთა მუშაკებმა აიღეს, ამტკიცებდა, რომ მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ „დინამო"-სათვის. და მართლაც მათ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. შეჯიბრი დამთავრდა 4:1 საბჭოთა მუშაკების სასარგებლოდ.

„დინამო—ა"—„გემო-კვების მუშაკები"

იმავე დღეს ლენინის სახ. სტადიონზე გაიმართა საფინალო შეჯიბრი „დინამო-პირველსა" და გემო-კვების მუშაკთა კავშირის გუნდს შორის. აღნიშნულ შეჯიბრის შედეგებზე იყო დამოკიდებული პირველი და მეორე ადგილის განაწილება მიმდინარე სეზონში.

ორივე გუნდმა ამ შეჯიბრში გამოიყვანა მოთამაშეთა ძირითადი შემადგენლობა, ამიტომ მატჩი დიდ ინტერესს წარმოადგენდა.

შეჯიბრის დასაწყისში თამაში თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა. შემდეგში გემო-კვების მუშაკებს დაეტყოთ ერთგვარი უპირატესობა. „დინამო"-ს კარებთან გახშირდა კრიტიკული მომენტები, ერთ-ერთი ასეთ მომენტის დროს დინამო დაჯარიმდა და **შ. მალალაშვილმა** 11 მეტრიდან დარტყმით პირველი ბურთი მოაქცია დინამოს ბადეში.

თამაში კიდევ უფრო გაცხოველდა. ბურთი ეხლა უკვე გემო-კვების მუშაკების ჰიშკართან ტრიალებს, რამდენიმე ძლიერი იერიში დინამოს მხრიდან და **ჭ. ფაჩულია** პირველი ბურთით უმასპინძლდება გემო-კვების მუშაკებს. პირველს ჩქარა მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე (ორივე ბურთი გატანილი იქნა **რ. მდივანის** მიერ) და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 3:1 „დინამო"-ს სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში გემო-კვების მუშაკებმა ძალა მოიკრიფეს და საკმაოდ ძლიერი შეტევა განავითარეს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს, რადგან მარბებიდან ფაქტიურად მხოლოდ სამი კაცი თამაშობდა, გარე-მარბები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ გუნდის საერთო ღონისძიებებში.

ფრონტის ერთ-ერთი გარღვევის დროს „დინამომ" მეოთხე ბურთი გაატარა გემო-კვების მუშაკების კარებში და შეჯიბრი მოიგო 4:1.

ამრიგად, გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშება დამთავრდა. პირველ ადგილზე გამოვიდა „დინამო—ა", მეორეზე—გემო-კვების მუშაკები, მესამეზე— „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი", მეოთხეზე—საბჭოთა მუშაკები და მეხუთეზე—„დინამო—ბ".

ავტო-მიმოსვლა

„ზაკავტოპრომტორგ"-ის სამზადისი

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორ ემზადება სააქციო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგი", „ზაკავტოპრომტორგის" თავმჯდომარემ ამხ. ა. ცურინოვმა განაცხადა:

ჩვენს სახელოსნოებში, თბილისში ამჟამად სწარმოებს კორპუსების დამზადება „ლაინი"-ს სისტემის ავტობუსებისათვის მუშაობა დასრულდება პირველ ივნისისათვის.

„ზაკავტოპრომტორგი" წელს მიიღებს 100 ახალ სხვადასხვა მარკის ავტომანქანას, უმთავრესად საბარგო ავტომობილებს და ავტობუსებს. უკვე შეძენილია „ფიატის" სისტემის 15 ავტობუსი, რომლებიც გაცილებით უკეთესია, ვინემ ამიერ-კავკ. გზებზე აქამდე მომუშავე ამ სისტემის მანქანები.

ახალ მანქანების მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდება არა მარტო ავტომიმოსვლის გაუმჯობესება უკვე არსებულ ხაზზე, არამედ ახალი ხაზების გახსნა ავტომიმოსვლისათვის.

მანგლისის გზატკეცილზე

მანგლისის გზატკეცილზე ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო მუშაობა. რეგულიარული საავტომობილო მიმოსვლის სეზონის გახსნა გზაზე მოსალოდნელია ივნისის პირველ რიცხვებში, სეზონის გახსნამდე გზა იმდენად იქნება შეკეთებული, რომ შესაძლებელი გახდება ინტენსიური საავტომობილო მოძრაობის წარმოება.

ავიაქიმში

საქ. ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე თბილისის წითელი არმიის სახლში შესდგება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრებიან მაზრებში მომუშავე ამხანაგები და ავიაქიმის თბილისის აქტივი.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობა და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას ამოცანები, 2) საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის ინფორმაციული მოხსენება, 4) ორგანიზაციული საკითხები და 5) მიმდინარე საკითხები.

ავიაქიმი წითელ ჯარში

წითელი ჯარის ყველა ლეგიონებსა და ცალკე ასეულებში ამჟამად ჩამოყალიბებულია თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები და მოწყობილია ავიაქიმის კუთხეები.

ასეულებში არსებობს წრეები, სადაც წითელ არმიელები და მეთაურები აწარმოებენ მეცნიერულ-გამოკვლევითი მუშაობას თავდაცვის საკითხების ირგვლივ.

მოტო გადარბენა

თბილისი—ფასანაური

შაბათს, დღისით ამხ. ელიავას სახელობის თბილისის ავტო-კლუბმა მოაწყო ავტო-გადარბენა თბილისი-ფასანაური-თბილისი.

ავტო-გადარბენაში მონაწილეობას იღებდა ავტო-კლუბის, საზოგადოება „დინამოს" და სამხედრო უწყების 13 მანქანა. ყველა მანქანები თავიანთ მოტორების სისტემის მიხედვით დაყოფილი იყო 4 კატეგორიად. გადარბენის მონაწილეობისათვის გადარბენის გასაადვილებლად ავტო-კლუბმა გააგრძელა გადარბენა 2 დღით ისე, რომ გადარბენის მონაწილეებმა ღამე გაათიეს ფასანაურში.

გადარბენა არ გამოდგა ადვილი, რადგანაც გზა არ იყო დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, განსაკუთრებით ანანურსა და ფასანაურს შორის. მთებიდან ჩამოდიოდა მთელი ნაკადები, რაც ხელს უშლიდა მანქანების მოძრაობას. მოხდა ავარია: მემანქანე რომანენკოს თბილისის მცხეთის გზაზე გაუტყდა საჭე. ვ. კოდოსოვის მანქანა ჩაუვარდა ორმოში და თითონ ძირს გადმოვარდა. მემანქანე დაშავდა იმდენად, რომ საჭირო შეიქნა მისი გადმოყვანა თბილისის საავადმყოფოში.

ყველაზე უფრო სწრაფად მანძილი გაიარეს: კაზუმოვმა—3 ს. 16 წუთში; შვეცოვმა—3 ს 36 წუთში; მარდიევმა—4 ს. 8 წ. და ანანოვმა—4 ს. 14 წუთში.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 22 მაისი

დღეს, 22 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—მოხსენება ქართულ ენაზე.

კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა—საუბარი რუსულ ენაზე.

ახუნდოვის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო,—მოხსენება თურქულ ენაზე.

რადიო-მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შედეგები—მოხსენება სომხურ ენაზე.

რაზედ ხარჯავთ დროს—მოხსენება რუსულ ენაზე. გაზეთი „პროლეტარი" სომხურ—ენაზე.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

ნ ა რ ე ვ ი

კატების მონასტერი

ასეთი მონასტერი მართლა არსებობს—ჰამბურგში (გერმანია). [illegible] „წმინდა დები" [illegible] ძღვნილთა [illegible] კატების [illegible] ცემა და კვება. როგორც ჩანს, კატებს ძლიერ მოსწონთ მონასტრის ცხოვრება, რადგან მათთვის მონასტერთან მოწყობილი „სასტუმრო" გაჭედილია კატებით.

კატები მშვენივრად ცხოვრობენ. თვითეულს აქვს საკუთარი საწოლი და ფინჯანი საჭმელისათვის. კვირაობით „სასტუმრო" ღია არის მნახველებისათვის. ჰამბურგელი „კაცთმოყვარე" ბურჟუა-მეშჩანები თავს იყრიან მონასტერში და ათვალიერებენ კატებს. კატა, რომელიც მოეწონებათ, მიჰყავთ სახლში. მონასტერი მდიდრდება, რადგან მოხერხებული მონაზვნები მრავალ აგროვებენ შემოწირულებებს „საწყალ უბინაო კატებისათვის". ჰამბურგელი ბურჟუებიც უხვად იღებენ შესაწირავს და სახლში ბრუნდებიან კმაყოფილნი „ადამიანური ვალის" მოხდით. კარგად ცხოვრობენ კატები ჰამბურგის მონასტერში. იქვე კი, ქუჩაში დახმარებისათვის ხელგაწვდილნი, შიმშილობენ ხელ-ფეხ მოჭრილნი, მსხვერპლნი იმპერიალისტური ომის.

რადიო-გამოფენა ვენაში

ავსტრიის მუშათა რადიო-საზოგადოებამ ვენაში მოაწყო რადიო-გამოფენა, რომელიც 7-დან 11 აპრილამდე გაგრძელდა. განყოფილებაში—„წინად და ეხლა" გამოფენილი იყო პირველი რადიო-აპარატები, სხვათა შორის 1914-1918 წ. აპარატები, რადიო-დამხმარებანი სანგრებისათვის და სხვ. სპეციალური განყოფილება დათმობილი ჰქონდა რადიო-მოწყობილობებს, დამზადებულებს პრიმიტიულად. მრავალი ექსპონატები იყო გამოფენილი მოკლე ტალღების განყოფილებაში. გამოფენაზე აგრეთვე გამოკრული იყო პლაკატები, რომლებიც ასურათებდნენ რადიო-აპარატებთან გაუფრთხილებლად მოპყრობით გამოწვეულ უბედურ შემთხვევებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია მნახველებში განყოფილებამ „რადიო-საბჭოთა კავშირში", განსაკუთრებით კი უზარმაზარმა პლაკატმა ციტატებით ლენინიდან.

ავსტრიის მუშათა რადიო-კავშირში შედიან როგორც კომუნისტები, ისე სოციალ-დემოკრატები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 21 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ: კვალიფიკაციური მუშათა პირველი სექცია, თავის უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, საჭიროა განუსაზღვრელი რაოდენობით პირველი და მეორე კატეგორიის ცომის მზელავები, მცხობელები და ფქვილის მცრელები. მსურველებმა უნდა მიმართონ შრომის ბირჟის პირველ სექციაში ამხ. შერიევს.. მედსექციიდან: ელენე ნიკოლაიშვილი; სარა კიგოვიჩი; ნინო დალაქიშვილი; ელენე ბაკულინოვა; მარიამ სისონიანცი; ვერა მამულაშვილი; ვიქტორ ილინი; ილარიონ როსტომაშვილი; ევდოკია პანჩუკ და კონსტანტინე სიბრუნოვი. სექციამ საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის საშუამავლო ბიუროდან მიიღო მოთხოვნილება საექიმო პერსონალზე: გინეკოლოგებზე; ქირურგებზე; სანიტ. ექიმებზე; ადმინისტრატორებზე; ვენეროლოგებზე და სხვა. მსურველებმა დაწვრილებით პირობების გასაგებად უნდა მიმართონ მედსექციაში ამხ. გოგიშვილს. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** არუთინ აკოპოვი; ალი ქიზირიმ-ოღლი; ყურბან-ალი-ოღლი, ასკარ-ალაფ ოღლი; გუსეინ-ალი-ოღლი და ახმედ-მუსტაფ ოღლი.

პარტიული კალენდარი

საქ. რემდახის ცკა იტყობინება, რომ დღეს, 22 მაისს, საღამოს 5 საათზე შესდგება საქართველოს რემდახის ცკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ პრეზიდიუმის წევრები ამხანაგები: შამშე ლეჟავა; ვანო სტურუა; სამსონ მამულია; თენგიზ ჟღენტი; ვანო ბოლქვაძე; ვარო ჯაფარიძე; ერმ. ბედია; ალ. ქოიავა; ალ. ფირალოვი; მ. ცქვიტინიძე; ივ. ნაცვლიშვილი; ბეს. მუმლაძე და აკოფ გეორქოვი.

—:—

საქართველოს ა/ლ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ხვალ, 24 მაისს საღამოს სრულ 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში (სოლოლაკის ქ. 7) შესდგება ა/ლ. ლ. კ. კ. ქალაქის რაიკომის პლენუმი.

რაიკომის წევრ-კანდიდატებისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრების დასწრება აუცილებელია.

—:—

სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 22 მაისს, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის შენობაში.

—:—

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის პარტკოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 22 მაისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია აგრონომიულ ფაკულტეტის პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სილოვან ხუნდაძის ოჯახის წევრნი დიდ მადლობას სწირავენ ყველა იმათ, ვინც პირადი დასწრებით, წერილობითა თუ დეპეშებით,—პატივი სცეს

სილოვან ხუნდაძის

ხსოვნას. 2432

თავზარდაცემული ცოლი ოლია დუნდუას ასული, შვილები: გიგუცა, აბიკო და ქაბატო ლოლაძეები ამით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 20 ამა მაისს ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მარად სახსოვარი დამცველთა კოლეგიის წევრი

ბარნაბ მიხარბეგის-ძე ლოლაძე

რომლის გამოსვენება მოხდება 24 მაისს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე, საკუთარ ბინიდან ცეტკინის (გაგარინის ქ.) მე-2 შესახვ. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე.

2—1 ნ. 1129

გულდამწვარნი: დედა ევდოკია ივანეს ასული, და ანიკო, ძმა ივანე, რძალი თამარი, ძმისწული პატარა ელიკო ბურჯანაძეები და დეიდაშვილი ვლადიმერ სიმონის-ძე ბაკურაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს

გრიგოლ შიოს-ძე ბურჯანაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ქოპორტში (დუშეთის მაზრა) 22 მაისს. 2428

სახკინმრეწვის კინოთეატრები

აპოლო არფასტო მინიონი	მხატვრული სურათი „მეჟრაბპომ-რუს"-ის გამოშვება 1927/28 წლ. **მიწა ტყვეობაში** რეჟისორი—ფ. ა. ოცეპ (სურათ „მის მენდ"-ის დამდგმელი) ოპერატორი—ლ. ფორესტიე.
პალასი	მეი მურეი მხატვრულ შედევრში **სენატორის კარიერ** პროგრამის გარდა ხანძარი ქუთაისში
სოლეი	სეზონის საუკეთესო სურათი **ორი ქმრის ცოლი** მისტერ გაზის მონაწილეობით პროგრამის გარდა ხანძარი ქუთაისში
ოდეონი	გრანდიოზული ფილმი **ორი მსოფლიო** 2 სერიათ. ორივე სერია ერთად
დარბაზი	რიჩარდ ტოლმეჯ ტრიუკებიან სურათში **ცეცხლის ალში**
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელად თბილისში **ბოშური სისხლი** პროგრამის გარეშე ხანძარი ქუთაისში

0—19

ქ. ტფილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 25 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 83, კალინინის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოლომონ ხანზინის მოძრავ ქონებას: ბუფეტს და სხვა საოჯახო ნივთებს, შეფასებულს 350 მანეთად, მოქ. კოსოიანის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 მარტის 1928 წ. თარიღით, № 761 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. ნ. 1131

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

საქართველოს სახკინმრეწვის დადგმა

მალე

კინო-თეატრებში

აპოლო-სოლეი

პირველი კომედია იმერეთის ცხოვრებიდან

„სამანიშვილის დედინაცვალი"

დადგმა რეჟისორ კ. მარჯანიშვილის

ოპერატორი—ენგელს

ნ. 1130

შეჯიბრი

საჯარო ოთხი მაღაზიის შეკეთებაზედ—დანიშნულია 1928 წლ. 26 მაისს, დღის ორ საათზედ, „მწყემსი"-ს გამსაღებელ პუნქტის ანბარიში

პუშკინის ქუჩა № 4. ცნობები ყოველ დღე დილის 10 საათიდან 12 საათამდე. 2433

„კავშირთა-კავშირის"

სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ კვირას, 27 მაისს, დილის 10 საათზე, დანიშნულია

მეორედ საჯარო ვაჭრობა

„კავშირთა-კავშირი"-ს უძრავ-მოძრავი ქონების, სოფ. მუკუზანში „კავშირთა-კავშირის" ბინაზე.

2435 სალიკვიდაციო კომისია.

დაიკარგა: პროფკავშირის წიგნაკი № 20730 და მუშკოოპის წიგნაკი № 25936—გიორგი ჯანდიერის სახელზე, ჩ. გ. 2429

დაიკარგა: დაზღვევის წიგნაკი, მოცემული ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიიდან იაკინთე კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. 2434

დაიკარგა: სამხედრო წიგნაკი ნიკოლოზ მიხეილის-ძე ესაკიას სახელზე, ჩ. გ. 2430

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 4502—პლატონ ბერძენის სახელზე, ჩ. გ. 2434

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 15156—შალიკო წივწივაძის სახელზე, ჩ. გ.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოვს") პირდაპირ ხოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება

უკანასკნელი და საბოლოო

საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.

მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8

ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5

მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორესის ქ. კუთხე.

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. ზ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი

ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, კამოს ქ. № 68